უმთავრესი მიზეზები

საქართველოს მიმართ რომის ყურადღებისა

ტფილისი
სტამბა ექ. ივ. ხელაძისა
1898

უმთავრესი მიზეზები

საქართველოს მიმართ

რომის ყურადღებისა

I.

უმთავრესი მიზეზები საქართველოსადმი რომის ყურადღებისა ნეტა რა იყოვო? უკითხავთ მრავალსა და იკითხვენ კიდევაც, ვიდრე ეს კითხვა არ გაირკვევა. ძველათაც და დღესაც ეს საგანი მრავალთათვის იყო საკითხ საგნათ გამხდარი და მით უფრო ქართველ კათოლიკეთათვის. საჭიროა გამოირკვეს კითხვები ამის შესახებ, თუ საქართველოს რომმა რათ მიაქცია უპირატესი ყურადღება, რა იყო ამის უმთავრესს შტოთ, რამ გამოიწვია ევროპის დაშორებულ მამათა მკაცრი ყურადღება? – რას აღიარებენ ამის საგნათ, სარწმუნოებრივ მხარეებს, პოლიტიკურს თუ კაცობრივს. უმეტესი ნაწილი ჩვენის ძველის თუ ახლის მოაზრებისა პირდაპირ სარწმუნოებრივ მხარეებს და ანგარიშებს აწერდნენ, გვაუწყებდნენ ასე: რომმა იმიტომ დაუწყო საქართველოს ქრისტიანულის სიბრალულით მზერაო, რადგანაც მათ ქართველების გაკათოლიკება სურდათო... ეს მოსაზრება ცალ მხრივანი უნდა იყოს,უმთავრეს კითხვის საგნათ და საფუძვლათ ჩვენ მიგვაჩნია კაცობრივი-ძმობა და სიყვარული.

ევროპიის კათოლიკეთ მამათა ყურადღება ძველათვე აღორძინდა, თითქმის იმ დროდგან, რა დროსაც ამ ლტოლვილებამ თვით საქართველოში-კი იწყო ვრდომა და გაქარწყლება, ამ ვრდომილების უმთავრეს მიზეზებათ მო-

ნგოლების გავლენა უნდა ვაღიაროთ, რადგანაც მათმა ანგარიშებით სავსე მოქმედებამ მოინარუქა ეს სენი ქართველთ შორის. ქართველებში გაამედიდურა მაღალი წოდება, მას მიანიჭა ძალა ურჩობის, გამგეობისა, სამეფოს მორიდებისაგან გადრეკის, უშიშრობა და სხვანი, რაც საქართველოს

დასაღუპს მომავალს უფრო აზვიადებდა. ქართველთა შორის მყარდებოდა დარღვევის ხანა, განდგომის, მტრობის, ქვეყნის და ტომის დავიწყების, თითქმის სრულიად გადაგვარების და განლტოლვის. აი ასეთ უნუგეშობის დროდგან იწყება ევროპის მამათა მიერ ღაღადება საქართველოს შესახებ. მათ ღაღადებას გარდა ხშირათაც უმგზავრიათ საქართველოში და ხშირათ ევროპაში საქართველოს რუკაც გამოუციათ. საქართველოს რუკის გამოცემის და ევროპაში გამოფენის უპირველესობა ამათ ეკუთვნისთ. ერთის წარჩინებულის ქართველის ნ. გამრეკელის სიტყვით, ევროპის ერთა ტერმინი „ლექსიკონი“ ქართულის სიტყვა „ლექსიკონიდგან” გადაკეთდა და გავრცელდა საქართველოში მყოფთ ლათინთა მსწავლულთ მოგზაურთ მოძღვრებისაგანო. ამ მოძღვრებმა ქართული სტამბა პირველათ რომში დააფუძნეს XVII საუკ. დამდეგს და იქვე მათ პირველათ დასტამბეს ქართულ-ტალიური ლექსიკონიო.

კათოლიკის ბერებს ხშირათ შეუდგენიათ საქართველოს ცნობები. ბევრს ცდილან, რომ საქართველო ევროპას ბაეცნა. ევროპაში საქართველოს რუკა პირველათ გამოიცა 1520 წელს. რუკა შედგენილია კათოლიკის ბერებისაგან, არშინის ზომა ექმნება, რუკაზე მთელი საქართველოს კუთხეები არის მოთავსებული. დასავლეთ საქართველო ცხადათ სჩანს, რადგანაც მაშინ სამცხე განმდგარი არ იყო. საქართველოს ერის საბინადრო კუთხეები – თუმცა შტოებია დაყოფილი, მაგრამ საერთო ტომის ერთს საბინადრო შეერთებულს გეგმას წარმოადგენს. რუკა იმ დროის კვალათ, ტლანქის ხელოვნებით არის ნახატ-ნაბეჭდი. ცხადათ აღნიშნულია შავი ზღვის ნა-

პირები, კასპის, კახეთი – ალბანია, ქართლი – იბერია სამეგრელო – კოლხიდა, გურია და სხვები. ეს რუკა დღეს იშვიათია. მეორე რუკა დაიბეჭდა 1580 წლებში, რომში, ისევ კათოლიკის ბერებისაგან. ეს რუკაც ცხადათ და დაურღვევლად აჩენს საქართველოს, მის მოსამზღვრე სახელმწიფოებს, ზღვებს, გზებს და ქალაქებს. ამ რუკებს გარდა შემდეგ დროებში სხვა და სხვა ევროპის მსწავლულთ მოგზაურებსაც შეუდგენიათ და დაუბეჭდიათ ახალი რუკები, მაგრამ შემდეგ დროის გამოცემაებზე ჩვენ ბევრი არა ვიცით-რა. ზემო ხსენებულ რუკების გამოცემას ჩვენ დიდს მნიშვნელობას ვაძლევთ, იგი საყურადღებოა, არ შეიძლება, რომ ვატიკანში ამ რუკებს გარდა სხვებიც არ აღმოსჩნდეს, საქმეები უნდა გახდეს ჩვენის ქვეყნის ევროპაში გაცნობის და გავრცელების საგნათ. ამას უეჭოთ ასაბუთებს 1520 წ. ევროპაში გამოცემული საქართველოს რუკა.

ამ რუკების გამოცემის დროსვე კათოლიკე მამები აუწყებდნენ ევროპას, რომ საქართველო ქრისტიანობას ეცლება ხელიდგანაო. დღეს თუ ხვალ მთელს ქვეყანას თურქები დაიპყრობენ და ქრისტიან ქართველებსაც გაათათრებენო. ამის

საფუძველს მამებთ შორის ის უფრო ჰბადავდა, რადგანაც ამ დროს მუსლმანთა მეოხებით სომხეთი დანაცრებულს ფერფლს წარმოადგენდა, ვიზანტიის იმპერიაც მოისპო, მათ მიჰყვა მრავალი სამეფოები სლავიანთა. აბა ვის არ წარმოუდგებოდა საქართველოს დაცემა და განადგურება, როცა ძრიელი ვიზანტიის იმპერიაც-კი თვალთ წინ ედგათ ახალად დამხობილი. კათოლიკის მამათა მოსაზრება მაინც უმნიშვნელოთ არ დარჩა. განვლო დრომ, საქართველოს მოადგა დაგეშილი ოსმალი. ხშირათ მათ სპარსნიც ემხრობოდნენ, – გაიმართა ომები და უკანასკნელ, ბევრის ბრძოლის შემდეგ დასავლეთ საქართველო ძალადობით შეიერთა ოსმალმა, ხალხი გაათათრა. იმ კუთხეს, სადაც ძველათ ჰყვავოდა ქრისტეს სწავლა, განვითა-

რება და განათლებაც, იქ დაიკარგა ქართული ენა, გამოეცალა ქართველობას ქართველობა ხელიდგან.

აი ამ დროს-კი აღსრულდა კათოლიკეთ ჭკვიან და შორს მხედველთ მოძღვართ მოსაზრება. მართალია დასავლეთ საქართველო ქართველის ერით დაკარგა საქართველომ, ცხადია ისიც, რომ ოსმალმა საქართველოს ადგილები წაართო გურია და ტაშის-კარამდის, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ვიზანტიის იმპერიის დამამხობელმა, სომხეთის ნაცრათ მქცეველმა, სერბიის, ბოლგარიის და სხვა ასეთ ტომთა დამრბევმა ოსმალეთმა-კი ქართველობას, საქართველოს-კი საერთოთ ვერა დააკლო რა. ბევრის ტანჯვით, წამებით და სისხლის ღვრით ამგზავრებადა ქართველი თავის დღეს, იგი მოისპო თითქმის ბრძოლაში ქვეყნისთვის, მაგრამ ქვეყანა-კი სრულიად არავის დაუთმეს, – მეფობა არ მოსპეს, შეინახეს თვით მეცხრამეტე საუკუნის დამდეგამდე. ეს არ დასავიწყებელია და ქებით მოსაგონარი! დაემხო ძველი კიზანტიის იმპერია, სომხეთი, სერბია, ბოლგარია, თვით არაბისტანი, აისორნი და მრავალნიც სხვები - და ყველა ამათ დამამხობელს ოსმალს გაუმკლავდა მხოლოდ ქართველი! ქართველმა თავის მეფობა შეინახა დიდის გმირობით, სახელოვნებით და სამარადისოდ სახელოვანის მოგონებით. თუმცა საქართველოც ხშირად ჩავარდნილა უკიდურეს განწირულებაში, მაგრამ ყოველს განწირულების წუთშიაც-კი, ქართველი კაცის ხსოვნაში არ მოსპობილა მკაცრი მოწინააღმდეგობა მტრისა და თავ-გადადებით ბრძოლა მომავალის თავისუფალის საიმედოს ცხოვრებისათვის.

ქართველთა უბედურმა გარემოებამ და მდგომარეობამ სიმონ მეფე ოსმალთა ხელში ტყვეთ – პატიმრათ ჩააგდო. ამ მეფის ტყვეობის დროს საქართველო დიდს განსაცდელს მიეცა. ამ გაჭირების დროს ოსმალებს სიმონ მეფე სტამბოლის ერთს საპატიმროში ჰყვანდათ დაპატიმრებული და თამამად აუწყებდნენ მეფეს, რომ მას მაჰმადიანობა მიეღო და მასთანვე ოსმალეთის ქვეშევრდომობა ეღიარებინა. ამას

გარდა, საქართველოზე შეწერილი ხარკის გადახდაც ეკისრნა, შემდეგ ამის გადახდაც დაეწყოთ საყოველთაოთ. ყველა ამაების აღსრულების შემდეგ მეფეს განთავისუფლება ელოდა, ვითომც საქართველოსაც შვება, მაგრამ ეს იყო ოსმალეთის გველური კბენა და მელური ცოცვა.

მეფემ ოსმალთ უარი განუცხადა: მე ვერაფერს მივიღებ, საქართველო საქართველოთ უნდა დაშთეს, მასთან ხელი არავის აქვს, რადგანაც თვით იგიც არავის აწუხებს, არსებობს თავის კერძ და ყველა მეზობლებთან სიყვარულის და პურმარილის მეტი სხვა არა აქვს რა გულში ჩანერგილი... მეფე ყოველთვის ბრძნულათ და ბრძნულის კილოთი აძლევდა პასუხებს, რაც ოსმალთა ბრძანებლებს დიდათ აკვირვებდა ტყვე პატიმარ ქართველ მეფის გამბედაობა. ოსმალეთის წინაშე სიმონ მეფე საქართველოსადმი დიდს სიყვარულს იჩენდა, დიდს პატრონობას, შეძლების და გვარათ კამათობასაც სწევდა. ოსმალეთმა გადასწყვიტა ამ დროს საქართველოს მთლათ დამორჩილება, საქართველოს მეფობის სამუდამოთ მოშლაც. სიმონი-კი თამამათ აუწყებდა ოსმალთ, რომ ქართველ ხალხის სრულიად დაცემას ოსმალეთი ვერა დროს მოახერხებსო.
– საქართველოს თუ გაუჭირდება, იგი ევროპას ჩაბარდება მონათ და ოსმალის ხელით-კი არ მოიშლებაო.

მთელმა კონსტანტინეპოლის ქრისტიანებმა კარგათ იცოდნენ, რომ სტამბოლის ერთს მთავარს საპატიმროში დაპატიმრებული იყო საქართველოს სიმონი. რამდენიც ეს პატიმარი მეფე მხნეთ იქცეოდა საპატიმროში ოსმალთა წინაშე, იმდენი კონსტანტინეპოლის ქრისტიანთ შორის მასზე დიდი სულოვნებაც იბადებოდა. ყველა ქრისტიანი ნატვრით იხსენიებდა სიმონის სახელს და მხნეობას. ამ მდგომარეობაში მყოფ მეფესთან დაახლოვება გაბედეს მხოლოდ კონსტანტინეპოლში მცხოვრებთ რომის მოგზაურ მქადაგებელ მამებმა. ესენი თამამათ მივიდნენ მეფესთან, გამოეცხადნენ, გაიცნეს, მეფეზე დიდი გავლენა მოახდინეს, მათ შორის მეგობრული

კავშირი დამყარდა. ამ მოძღვართ გარდა მეფესთან მისვლა და რამის კითხვა ვერც ბერძმება მოახერხეს, სომხებმა, ქართულებმა და სხვებმა, ვინც-კი მაშინ იქ სცხოვრებდნენ.

სიმონ მეფემ ლათინთ მოძღვრებს დიდი ჭკუა, ცოდნა და პატიოსნება შენიშნა. დამეგობრების შემდეგ მეფესა და მოძღვართ შორის საუბარი მოხდა საქართველოს მდგომარეობის შესახებ. მეფემ მოძღვართ აუწყა ქართველთ გაჭირება, თავის პატიმრობის ვითარება. მოძღვართა მეფის მუდარებას დიდის სიბრალულით შეხედეს. მეფეს აუწყეს, რომ რომის ტახტს მიმართე, დახმარება სთხოვე და ნიშნათ პატივისცემის და მორჩილებისა შემდეგში რომის ტახტის დაკავშირებაც აღიარეო. მეფეს ძალი მიეცა, იმედი, სასოება შქვეყნის შველის და განთავისუფლების.

რამდენიმე ხნის შემდეგ სიმონ მეფემ პატრების რჩევით, ჩაგონებით და შრომით მიმართა რომის პაპს პავლე მესამეს. პაპის თხოვნა და მუდარება სტამბოლში მყოფ იეზუიტებმა წაიღეს, რომელთაც ქრისტიან მეფის დიდი სიბრალული ჰქონდათ. სიმონ მეფემ პაპს პავლე მესამეს აუწყა საქართველოს მეტათ გაჭირებული მდგომარეობა, მუსულმანებისაგან უღმერთოთ თავს დაცემა, ხალხის ხოცვა, ცემა, დარბევა, ეკკლესიების ქცევა, ნგრევა და ბევრიც სხვა, რაც საქართველოს და ქართველ ერს სატირელს მდგომარეობაში ათავსებდა. ბევრის გოდების, ცრემლის და ბედშავი საქართველოს მუდარებას და შველის თხოვნას მეფე ასე ათავებდა:

„წმიდის რომის ტახტის წინაშე დავემხები, წმიდის პაპის წმინდას მუხლს და ფერხთ ვეამბორები“.

მე და ჩემი ქვეყნის გაჭირებული მდგომარეობა ცამდის მისწვდება. მე ქრისტიანი ვარ, ქრისტიანი ერის მეფე. დღეს ტყვეთ გახლავართ, ერი და ქვეყანა ჩემი იღუპება, ოსმალნი აიკლებენ, ძალით დაიმორჩილებენ, უკანასკნელ გაათათრებენ კიდეც. ამისი მოწინააღმდეგე და მოკამათე არავინ გაჩნდება იქ, საქართველოს ისეთი საზღვრები აქვს. თუ თქვენი წმი-

დათა წმინდა უნეტარესობა ისურვებს და მფარველობას გამიწევს, რომ ამ ტყვეობისაგან თავი ვიხსნა და მით ჩემი ქვეყანაც და ერიც არ დაიღუპოს, არ მოისპოს, ყველა ეს მოხერხდება ქართველი ერის სასარგებლოთ, უბედურებისაგან თავს ვიხსნით, ჩემი ქრისტიანი ერი არ დაიღუპება, ჩვენ გვეშველება რამე, თუკი თქვენი უნეტარესობა ისურვებს, თუ ღმერთმა მაღირსა და შველა მომეცა, მერე მე დიდათ ვეცდები თქვენს ძ მ უ რ ს მორჩილებაზე, ერთგულებაზე და უკანასკნელ თუ ს ა ჭ ი რ ო ი ქ მ ნ ე ბ ა თქვენს წმიდა საყდარსაც შეუერთდები, მერე ჩემის ცდით, შრომით და მაგალითით შემოგიკაკშირდებათ მთელი ჩემი ერიც, მთელი ქართველობა თქვენის წმინდათა სიწმინდის მორჩილი გახდება. თუ ეს არ მოხდება, მაშინ საქართველოს დღეს თუ ხვალ გათათრება მოელის, ჩვენ-კი ამის საწინააღმდეგო ძალა არ შეგვწევს და მომხმარე ჩვენ არ გვყავს, თვით ჩვენი მერჯულე ბერძნებიც დიდს გაჭირებაში არიან ჩავარდნილნი. იმათ ჩვენი შველა-კი არა და თავიანთ თავის პატრონობაც აღარ შეუძლიანთ, ისე აწუხებენ და ათათრებენ ოსმალნი.

ასეთ მიწერ-მოწერათა ცნობები ვატიკანის წიგნთ საცავში მრავალი უნდა იყოს. ერთი წიგნი ძველათვეა ამის შესახებ დაწერილი და დაბეჭდილი რომში, რომელ წიგნიც დაუწერია და დაუბეჭდია იმავ დროს პატრი ფრათომასო კარმილიტიანელის ორდენის მამას. ამ პატრს დელავალეც მოიხსენებს, – დელავალე ფრა-თომასოს ცნობების მეოხებით სიმონ მეფეს რომის ტახტის ერთგულათ აღიარებს. კათოლიკის ბერებმა საქართველოს დიდი ყურადღება მიაქციეს, ამათ ძრიელ ბევრი სამწუხარო და საბრალო ცნობები განავრ-

ცეს ევროპის ქრისტიანთ წრეებთ შორის, – საქართველოს განწირულს მდგომარეობას ასაბუთებდნენ თვით იმ სამწუხარო გარემოებითაც, რომ დღეს ამ უბედურ ერის მეფე დაპატიმრებული ჰყავსთ ოსმალთაო. მეფე თუ ასე ჰყავთ დაპყრობილი, თვით ერს რაღა დღეში ამყოფებენო. ასეთს ძმურს,

კაცობრივს მუდარებას გამგელებულმა ოსმალებმაც მიაქციეს ყურადღება, სიმონ მეფეს მეტათ ცუდის თვალით შეხედეს, განიძრახეს მის მოსპობა, ამით ფიქრობდნენ ნატვრის აღსრულებას, მალე მოახერხეს და პატიმარი სიმონ მეფე მოწამლეს. მეფე საპატიმროში მოკვდა მოწამვლით. ამ გარემოებამ და ქრისტიან მეფის უკანონოთ და შეუბრალებლათ მოწამლვამ და სიკვდილმა უფრო აღაგზნეს ლათინთ პატრები, ამათში დიდი თანაგრძნობა აღფრთოვანდა და ამ აღფრთოვანებამ უფრო მკაცრათ და უხვათ იწყო ევროპის ერის წინაშე ქართველთ შესახებ საუბარი და წერა.

სტამბოლში კათოლიკეთ მოძღვართ მონასტერი, ძმობა და ბინა ძველათვე არსებობდა. სტამბოლში მყოფნი პატრები და სხვა და სხვა ორდენის მამანი საქართველოსაც ჯეროვან ყურადღებას აპყრობდნენ. ევროპის და აზიის ქრისტიანთ მოძღვართ შუა გულათ კონსტანტინეპოლი ითვლებოდა და იქ მყოფნი კათოლიკეთ მამანი. ეს მამანი დიდის დაახლოვებით, სიბეჯითის მისვლა-მოსვლით უმზერდნენ საქართველოს, ქართველთ ვითარება მათ კარგათ შეიგნეს და გაიცნეს. ჩვენი მოსაზრებანი რომ მართალია, ამიტომ აქ მოვიყვანთ შემდეგს, რომელიც ცხად ჰყოფს კონსტანტინეპოლის კათოლიკის ძმობის წესდების სინამდვილეს და ხილულათ საქმის ჭვრეტას. აი რას სწერს დელავალე:

ერთი კონსტანტინეპოლის იეზუიტთაგანი, პატრი, რომელიც წასულიყო სამეგრელოში ქრისტიანობის მდგომარეობის გასაცნობათ, დაბრუნდა იქიდგან 1615 წელს, როცა მე კონსტანტინეპოლში ვიყავი. დაბრუნების შემდეგ მან იცოცხლა სამი თუ ოთხი დღე, რადგანაც ჩავიდა თუ არა კონსტანტინეპოლში, მას შეხვდა მძიმე ჭირი და რამდენიმე დღის შემდეგ გარდაიცვალა. მან მოკლედ მიამბო ზემო ხსენებულ ქვეყნის ამბები. პატრს თურმე დიდს პატივს სცემდა იმ ქვეყნის მთავარი, მეალერსებოდაო, მხოლოდ საუბედუროთ ენის უცოდინრობის გამო მე არა მესმოდარაო. – ამის მეტი იმ

პატრის მოგზაურობისაგან მაშინ იმ ადგილებში არ შეიძლებოდა შეტყობა, ჯერ იმიტომ, რომ ის პატრი, როგორც ვსთქვი, მოკვდა და გარდა ამის მისი ნაწერებიც ზღვაში დაიღუპნენ ღელვის დროს. მაგრამ მე მინდა ვაიმედო თავი, კონსტანტინეპოლის იეზუიტებს, – რომელნიც მის მეზობლათ არიან ამ ქვეყანასთან, რომ ათ დღეში და უფრო ადრეც, თუ

კარგი ტაროსი იქმნება, შეუძლიანთ იქ ჩავიდნენ ზღვით, თუ არ მიუტოვებიათ ეს მისია, არამედ იქნება გაგზავნეს იქ სხვები და ან მზათ არიან მაინც შემდგომისთვის გაგზავნონ იქ სხვები.

ოსმალეთში და ოსმალეთის საქართველოში კათოლიკის ბერები ძრიელ ხშირად და მრავლათაც მოდიოდნენ. ზღვით და ხმელეთითაც ამათ ძრიელ ემარჯვებოდათ აქეთ შემოსვლა. 300 წლის განმავლობაში ძრიელ ხშირათ შემოსულან აქ ეს მქადაგებელი მამები. ხსენებულს ადგილებიდგან საქართველოშის სამფლობელოშიაც ხშირათ გადმოსულან ხოლმე, ოსმალეთის საქართველოს და ქართველობის შესახებ ამათ ერთობ ხშირათაც უწერიათ წერილები და რომში უგზავნიათ მოხსენებათ, მაგრამ საუბედუროთ ამათ ნაწერებმა ჩვენს დრომდის იშვიათობით მოაღწიეს. უმეტესი ნაწილი მათის ნაწერების მგზავრობის დროს გზაში მტრისაგან უქმდებოდა, ან კიდევ ზღვის ღელვის დროს მასალებს გარდა თვით მოძღვარნიც იღუპებოდნენ. ამის მაგალითს წარმოადგენს ზემოხსენებული ცნობა, ამასვე ასაბუთებს საბა ორბელიანის „მგზავრობა“ და ამასვე აჭეშმარიტებს 1781 წ. მეფე ერეკლესაგან ევროპაში გაგზავნილი ცნობილი პატრის დაღუპვის ცნობა, რომელიც მეფის თხოვნით და ქაღალდებით შავ ზღვას ჩაუნთქავს. არა მგონია, რომ ამ ბერის შესახებ იმ დროის „Mision“ კატოლიკში არაფერი იქმნეს დაბეჭდილი.

ოსმალეთში მცხოვრებ კათოლიკის ბერებმა რომის ტახტის წინაშე საქართველო საკმარისის სამწუხაროს სურათებით დახატეს, საქართველო ცხადლივ გადაშალეს და მის

ყოველი ვითარება დაწვრილებით აღნუსხეს. ამ აღნუხსვას ჯეროვანი შედეგიც მოჰყვა. უფრო კარგიც მოჰყვებოდა, მაგრამ სიშორემ დაუშალა ხელი, ჩვენის ქვეყნის მდგომარეობამ და გარემოებამ შეაბრკოლა საქართველოს წარმატების წინ სვლა, აღორძინება და ევროპასთან დაახლოვება.

სპარსეთში, ლათინთ მოძღვარნი სცხოვრებდნენ სხვა და სხვა ქალაქებში. მოძღვართა რიცხვი შესდგებოდა სხვადა-სხვა ორდენის მამებისაგან. ამათ იქ ჰქონდათ გაკეთებულები მონასტრები, სკოლები, საავათმყოფოები და მოგზაურთა თავშესაფარი სახლები. ეს გვამნი დიდს მფარველობას უწევდნენ სპარსეთის ხელში ყოფილთ ტანჯულთ ქრისტიანთ, ნამეტურ აისორებს, რომელნიც უფრო დევნაში იყვნენ შთაცვივნული. აისორებს ხშირათ ათათრებდნენ კიდეც. რაც დღეს აისორებში კათოლიკის სარწმუნოების მაღიარებელნი არიან, სულ ამ კეთილ მოძღვართაგან არიან თათრობისაგან გადარჩენილნი, დაფარულნი და კათოლიკობასთან შეერთებულნი. მთელი აისორის გვარი წინეთ სიმონ მოციქულის სწავლის თანახმად აღიარებდა ქრისტიანობას, დღეს მათი გვარი ხუთის სარწმუნოებისაგან შესდგება: კათოლიკის, პროტესტანტის, გრიგორიანის, მარშიმონის, მართლ-მადიდებლის

და მუსულმანის – შეის. იმ დროს არც სომხები იყვნენ საკეთილო დღეში, თუმცა, როგორც ადრიდგანვე ერთობის დამკარგველთ, უფრო მეტი ნდობა ჰქონდა სპარსების წინაშე მოპოვებული. მოძღვარნი ჰპატრონობდნენ ნამეტურ მოგზაურ ქრისტიანებს. ამისთვის მათ ულუფა რომიდგან ეძლეოდათ და თვითაც იძენდნენ ხელსაქმით და ექიმობით ფულს.

მოძღკართ ისე ოსტატურათ ეჭირათ თავიანთი საქმეები, რომ ამათ პატივს სცემდნენ ფანატიკი სპარსნიც, სასულიერო წოდებაც და თვით უმაღლესი სამეფო პირნიც-კი. ამათ დიდი ზეგავლენა ჰქონდათ სპარსეთის ბრძანებელ ლომებზედაც. ბრძანებელს ესენი ხშირათ ასწავლიდნენ, სწურთნიდნენ კიდეც და ევროპის სახელმწიფოებთა წესწყობილებასაც აცნობე-

ბდნენ. მბრძანებელნი მოძღვართ რჩევას სიამოვნებით ისმენდნენ, ყველაფერს აკკირდებოდნენ. ხშირათ ბძანებელნი ამ პირებს თავიანთ საიდუმლოებასაც-კი უმხელდნენ. ასე დაწინაურებულნი და ნდობა მოპოვებულნი იყვნენ ეს მამანი. სხვათა მრავალთა შორის პატრი დელავალეს მოხსენებით, სპარსეთში ყოფილა ცნობილი ლათინთ მოძღვარი ფრა ჯოვანო თადეოსი, წმინდის ელისეის კარმილიტიანელების ფეხშიშველა ორდენის მამა, რომელიც თავის ენერგიით და ცოდნით დიდათ შესანიშნავი და თავდაჭერილი მოძღვარი ყოფილა. ეს მოძღვარი დიდხანს სცხოვრობდა სპარსეთში, ამიტომ იგი სპარსეთში პყრობილ ქართველებსაც კარგათ იცნობდა, დიდი ცნობის მოყვარეობა ჰქონდა, მათთან ხშირათაც დაიარებოდა, დიდათ ჰმეგობრობდა და ქართული ენაც შეესწავლა. ქართველთა ცხოვრების გარემოებამ ეს მოძღვარი ისეთის ცნობის მოყვარეობით შემოსა, რომ იმავე დროს მან საქართველოს გეოგრაფიული და ისტორიული მდგომარეობაც შეისწავლა. ეს პატრი იქამდე სახელოვანი იყო, რომ იგი იცნობდა თმით ქართველთა მეფეს, ბატონიშვილებს, და თავადებს, ამათი მოქმედების და გამგეობის ძალაც კარგათ იცოდა. მთელს სპარსეთში პყრობილ ქართველები ამ მოძღვარმა გაიტაცა, იგისი მოაცილა გათათრებას, ე. ი. შეის სარწმუნოების მიკედლებას და უკანასკნელ ყველა იგინი 100 ოჯახზე მეტი, თათრობის მისაღებათ განმზადებულნი ქართველნი დასტოვა ქრისტიანობაზედვე. რადგანაც ამ ქართველთ სპარსეთში თავიანთი სჯულის არც მღვდელი ჰყავდათ და არც ეკკლესია ჰქონდათ, ამიტომ იგინი შეკავშირებულ იქმნენ კათოლიკობასთან. ასეთ უპატრონო ქართველთ ცხოვრების შესახებ ამ პატრს არა ერთხელ გაუგზავნია რომში ვრცელი მოხსენება.

უნდა შეინიშნოს, რომ ამ დროს უნდა ეკუთვნოდეს სპარსეთში ანდრონიკაშვილების გაკათოლიკება, საკაძის, მაყაშვილების, ხერხეულიძეების, ვაჩინაძის, ჯორჯაძის, ჯანდიერის და სხვების, რომელთაც ჟამთა ვითარების მეო-

ხებით და სპარსეთში სხვა-და-სხვა ენების ზეგავლენის წყალობით დაკარგეს მათ ქართული ენა, სხვა ტომის და ენის კათოლიკებს და გრიგორიანებს შეუერთდენ. დღეს ამ გვარეზის კათოლიკის სარწმუნოების მაღიარებლობა ჩვენთვის საოცნებოთ დაშთება, მაგრამ თუ მხედველობას და დაკვირვებას ვიქონიებთ და გავიცნათ სპარსეთში მცხოვრებთ კათოლიკეთა და გრიგორიანთა რიცხვს, იქ არა ერთ ქართველ გვარის მოდგმას ვპოვებთ, რომელთაც მცირეთ თავიანთ ვინაობის ხსოვნაც ექმნებათ. სწორეთ ასეთსავე მდგომარეობაში შთავარდნენ ის ქართველ კათოლიკენი და მაჰმადიანებიც, რომელნიც ადრიდგანვე ოსმალეთის სამფლობელო საქართველოში მოემწყვდნენ საცხოვრებლათ. ქართველ ებრაელთ გარდა ამათაც ადვილათ დაკარგეს დედა-ენა. ძველი ქართველ გვარის კათოლიკენი დღეს სომეხ კათოლიკეთ იწოდებიან და ქართველ მაჰმადიანები – თათრებათ – თურქებათ. ერთსაცა და მეორებსაც ისევ ქართველ ებრაელებმა აჯობეს. ამათ ქართული ენა ყველგან მტკიცეთ და შეურყევლათ შეინახეს. ქართული ენის პატრონობით და შენახვით ქართველ ებრაელნი წინ უსწრობენ თვით ქართველთ ქრისტიანებსაც.

როცა თეიმურაზ პირველ მეფეს პირველი მეუღლე გარდაეცვალა, მაშინ სპარსეთის ყეინმა თეიმურაზს სამძიმრის სათქმელათ ეს პატრი, ფრა ჯოვანო თადეოსი გამოუგზავნა. შემდეგ დროებში ეს პატრი გამხდარა მთელის სპარსეთის მისიის უფროსათაც. თეიმურაზ მეფის კარზე მოსული პატრი ქართველთა დიდის პატივით მიიღეს, შესაფერი თავაზი გაუწიეს. მთელს კახეთის ერს გაეხარდათ, რომ ძლივს მათ ეღირსათ და სპარსეთის ყეინისაგან ქრისტიანი კაცი მოეგზავნათ. ეს უცხო მაგალითი იყო ქართველთა წინაშე, მაგრამ იგი არ იყო მაინცა და მაინც ყეინისაგან წმიდის გულით მოხერხებული. ამ თავაზში და სალამშსი იფარებოდა ის განსაცდელი და შავი დღეები, რაც შემდეგ ჩვენს სამშობლოს მოევლინა უსამართლო ნადირის მეოხებით. ამ ღრძო გულის

თვისებას და განსაცდელს თვით პატრიც აუწყებდა ხოლმე მეფეს. პატრს ქართველთათვის ბევრ გზის უამბნია ყეინის საიდუმლო მოსაზრება, რაც ხშირათ ქართველთათვის დიდს სახელმძღვანელოთაც დაშთენილა.

ამ პატიოსან მოძღვრის სიბრალულმა გააკვირვა ქართველნი, გაკვირდა თვით მეფეც. ევროპის საქმეებით გამოცდილმა მოძღვარმა გაიტაცა თვით კახეთის სამღვდელოებაც, ნამეტურ ალავერდის მიტროპოლიტი, რომელმაც დიდის პატივისცემით შეიტკბო პატრი. მიტროპოლიტმა რომისადმი დიდი გულწრფელობა და ერთგულება აღმოიჩინა. ამ თანაგრძნობას და პატივისცემას ჩვენს ისტორიულს ცნობებს გარდა პატრი დელავალეც ასახელებს. აბატი იქამდის პატი-

ვისცემით შემოსეს, ისე კადნიერ ჰყვეს და უაღრესობით სავსე უპირატესობა მიანიჭეს, რომ მეფემა და მიტროპოლიტმა აბატს სთხოვეს და დაავალეს, რომ მას ალავერდის ეკკლესიაში მიტროპოლიტთან ერთათ უნდა ეწირა უმაღლესის სამღვდელოების თანამწირმველობით და მეფის თანადასწრებით. პატრმა მეფის და მიტროპოლიტის თხოვნა აღასრულა. ერთ დღესასწაულს დღეს მიტროპოლიტმა სწირა ალავერდის ეკკლესიაში უმაღლესის სამღვდელოებით. მიტროპოლიტის მარჯვნივ ნეკრესელი იდგა და მარცხნივ აბატი. მიტროპოლიტმა მსოფლიო პატრიარქის და საქართველოს ქათალიკოზის მოხსენების დროს მოიხსენა რომის პაპიც. წირვა დიდის ღაღადებით შესრულდა, მხოლოდ ავათმყოფობის გამო თეიმურაზ მეფე ვერ დაესწრა. წირვის შემდეგ აბატს სადილი მიართვეს. აბატი გაკვირდა ქართველთ ასეთ პურმარილზე, პატივისცემაზე და სიყვარულზე. მის გვამში დიდი თანაგრძნობა აღიგზნა, დიდი სიბრალული ქართველთა, გაკვირვებული იყო ქართველთ პურმარილზე და სიყვარულზე. საოცარი იყო მისთვის უფრო ის გარემოება, რომ მას ნება მისცეს და თან დაავალეს მართლ-მადიდებელთ ეკკლესიაში წირვის შესრულება.

აბატმა მიმოვვლო მთელი საქართველო, გაიცნა სქართ-

ველოს სოფლები, დაბები და ქალაქები, გაიცნა ხალხი, მეურნეობა, ვაჭრობა, სარწმუნოება, სამღვდელოება, ეკკლესიები, მონასტრები და ძველი ნაშთები. რამდენიმე ხნის შემდეგ აბატი მეფეს გამოეთხოვა და სპარსეთში დაბრუნდა იმ პირობით, რომ ის რამდენიმე ხნის შემდეგ საქართველოში ისევ მობრუნდებოდა, რადგანაც თეიმურაზმა მათს მისიის ძმობას თელავში და გორში კათოლიკის ეკკლესიების აღსაგებათ ადგილი დაჰპირდა და მასთანვე ფულიც. აბატი მშვიდობით ჩავიდა სპარსეთმი, ყეინს მიუტანა ამბავი ქართველთა კეთილ განწყობილებისა. იქვე ნახა მან სპარსეთში ყოფილ და პყრობილ ქართველნი, რომელთაც უამბო საქართველოს ამბები. აუწყა ბევრი რამ ქართველთა შესახებ, რაც ყარიბ ქართველთათვის ცრემლით მოსაგონი გახდა და სატირალ საწუხარი. ამ ბედშავთა და ობლათ შთენილთ სულიერთ განწირულს მდგომარეობას ვერ ავნუსხავთ, კმარა მის გახსენება, კაცს ჟრუანტელს მოჰგვრის.

სპარსეთში მისულმა აბატმა, კარგათ მცოდნემ და მცნობმა საქართველოსი, თავიანთ მისიის ძმობას ბევრი რამ აუწყა საქართველოს შესახებ. აცნობა ბევრი რამ ღირსეულებითი მხარეები, მთელმა მისიის ძმობამ გაიცნა ტანჯული საქართველო. მალე აბატმა რომში საქართველოს შესახებ ვრცელი მოხსენება გაგზავნა, რომის ტახტს ბევრი რამ აუწყა საქართველოს საყურადღებოთ. ამ ბერმა და მისმა მისიამ საქართველო ცნობილ ჰყვეს კათოლიკეთ სახელმწიფოთა წინაშე, მთელმა მისიის ძმობამ საქართველო და ქართველი ერი ყურადღების მისაპყრობ საგნათ და სადიდებლათაც-კი გახადეს,

როგორც მხნე და გაუტეხავ ქრისტიან ტომის შთამომავალნი.

ჩვენის სამშობლო ქვეუნის მდგომარეობა იმ დროს მეტათ გამწვავდა, შინაურ და გარეულ მტრებთა მეოხებით მაჰაბაზის გული მეტათ აღრძოლდა. ამან განიძრახა საქართველოს მიწის პირიდამ მოსპობა, ქართლის ამოწყვეტა და კახეთის მთლათ სპარსეთში გადასახლება. მტერმა მალე იშოვ-

ნა შინათ გამცემნი. გამცემთა მათ გადუშალეს სული და გული. ბოროტებით აღვსილთა ბევრი რამ აუწყეს მტერს ქართველთა სავნოთ. ქვეყნის უბედურების ასაცდენათ რჩევა ქმნეს ქართველთა, გარდაწყვიტეს სპარსეთში მოციქულების გაგზავნა და თხოვნა მუდარებით ღრძო გულის დაწყნარების და მისი მტკიცება, რომ ჩვენ რუსეთს არ უახლოვდებითო. უბედურების მოსვლა მოასლოვდა. მალე გაგზავნილ იქმნა კახელთა საყვარელი დედოფალი ქეთევანი, თავის ორის შვილის შვილით, ლევანი და არჩილით. ეგონათ მრავალთა, რომ ქეთევან დედოფალი, როგორც ჭკვიანი, ენერგიული დედაკაცი, მცოდნე კარგათ ყეინის თვისების, ზედმიწევნით მცოდნე სპარსულის ენის და რამდენჯერმეც ნამყოფი სპარსეთში, რომ იგი დააცხრობდა ღრძო გულს და საქართველოს თავიდგან ააცდენდა დიდს უბედურებას. საუბედუროთ ქართველთ თათბირი ამაოთ დაშთა. ქეთევან დედოფალი სპარსეთში დასტოვეს, საქართ- ველოში აღარ გამოუშვეს, ცსოვრების ნება შირაზში მიეცა, სასტიკ ტყვეთ იპყრეს.

სპარსეთში ყოფნის დროს ქეთევან დედოფალმა გაიცნა კათოლიკის ბერები. მალე ისე მოეფინა ამ ქალს სახელი, რომ მთელ სპარსეთის კათოლიკის სარწმუნოების მისიის ძმებმა შეიტყეს, რომ სპარსეთში დაკავებულია ქართველთ ქრისტიანი დედოფალი ქეთევანიო. ამ დროს სპარსეთში სცხოვრებდნენ დომინიკიანელების მამები , ფრანცისკოელების , კარმილიტიანელები და იეზუიტები. დედოფალსა და ამათ შორის მალე დამყარდა მტკიცე კავშირი. მოძღვარნი ხშირათ დაიარებოდნენ დედოფალთან და როგორც ჭკვიანს დედაკაცს ყოველთვის ამხნევებდენ, ამაგრებდნენ და დიდს იმედებსაც აძლევდნენ საქართველოს დასახმარათ. ესენი აუწყებდნენ დედოფალს ევროპის სახელმწიფოთა ვითარებას, ცხოვრების პირობებს და გარემოებას. ქეთევან დედოფალი გაიტაცა ავგუსტინელების ბერების ცსოვრებამ. ქეთევან დედოფალი ამ ბერებს დიდის პატივისცემით უმზერდა, ხშირად საწირავებსაც

აძლევდა, – ბერებიც ასვეე თავაზს უწევდნენ და რითაც-კი შეეძლოთ დედოფალს ხელ უწყობდნენ. ქეთევან დედოფალი ბუნებით ჭკვიანი ქალი ყოფილა და პატრებთაგან დიდათ განღვიძებულ დხ გამხნევებული. ეს ჭკვიანი დედაკაცი მკაცრათ და ჭკვიანათ აძლევდა პასუხებს ყეინს და ამ პასუხების ძლევაში

მას დიდათ ეხმარებოდნეხ პატრები. პატრებს მეტათ დიდი სიბრალული ჰქონდათ ქეთევან დედოფლის. ამ ქალს იგინი უმზერდნენ, როგორც დიდებულ გვამს, მასთანვე მეტათ ჭკვიანს. ქეთევან დედოფალი სპარსეთში ყოფილთ ქართველთ ქრისტიანობისადმი დიდს გულ-გრილობას ამჩნევდა და ამიტომ ქართველებს ხშირათ ავალებდა, რომ მათ ლათინთ პატრებთან დაახლოკებული მეგობრობა ჰქონოდათ, მისვლა-მოსვლა და ნათლიაობაც. ლათინთ მოძღვარნი ქეთევან დედოფლის თხოვნით ხშირათ ყოფილან ქართველთ ნათლიებათ, ხშირათ თვით მოძღვართ მოუნათლავთ ყმაწვილებიც-კი, რადგანაც იქ ქართველი მღვდელი არ ყოფილა.

ქეთევან დედოფალი დიდს ნაღვლიანობაში იყო შთავარდნილი. ამან პატიმრობის დროს „ანბანურის" წესით გლოვის კილოთი ლექსიც სთქვა. უფრო დიდს მწუხარებას მიეცემოდა, მაგრამ ბედზედ ამას მოევლინენ ლათინთ მოძღვარნი, რომელნიც ყოველს მწუხხრებას შუა უყუფდნენ. პატრებს დიდი გავლენა ჰქონდათ ქეთევანის შვილის შვილებზედაც, რომელთა ცხოვრების საქმე და მომავალი შავის უბედურებით გათავდა, რადგანაც ეს ყმაწვილები საჭურისი ჰყო ყაენმა. ამავე დროებში საქართველოს შემოესია მძლავრი ავშანი შაჰაბაზი. იქმნება მტერს კერა დაეკლო რა, მაგრამ ქართველთ შორის გაჩნდნენ შინათ გამცემნი, ესენი მიემხრნენ მტრებს, გაუხსნეს გზა და კვალი და გაალეწინეს ქკეყანა. ამ გალეწის დროს საქართველოდან ქართველნი სპარსეთში გადაასახლეს. საზოგადო რიცხვი ამ გადასახლებულებისა 120 ათასამდის არის. სპარსეთის პოლიტიკა ასეთი იყო: – „ქართლი ამოვსწყვიტოთ, კახეთი სპარსეთში გადმოვასახლოთო". ლუარსაბ

მეფეც ამიტომ შეიპყრეს ტყვეთ. უკანასკნელ ლუარსაბი და ქეთევანი გახდნენ ღირსნი სიკვდილით დასჯის, რადგანაც ქართველ ხალხს ეს ორი მეფე ძრიელ უყვარდათ, ამათის სახელით და სიცოცხლით სასოებდნენ ქართველნი. თუ რა საბრალო მდგომარეობა მოჰყვა ქართველთა გარდასახლებას სპარსეთში, თუ იგი რა მეხი იყო ჩვენის ტომისთვის, რა მუსვრა და უბედურება, ამას გამოაჩენს შემდეგი ადგილები, რომელიც მოგვყავს მღვთის მოსავ ბერის დელავალეს წერილიდგანა, რომელ წერილიც მან რომში გაგზავნა მოხსენებათ პაპს ურბანუს მერვეს წინაშე.

ქეთევან დედოფალს, ამის შვილის შვილებს და ლუარსაბ მეფესაც კარგა ხანს ეკავათ ქრისტიანობა. ამათ გვერდით სცხოვრებდნენ მრავალნი ქართველნი და ესენიც თავიანთ მეფეების შეხედულობით ქრისტიანობაზე მტკიცედ იდგნენ, რადგანაც ქეთევანი კახელებს ძრიელ უყვართ და ლუარსაბი ქართლელებს. ქართველთ რიცხვი სპარსეთში ასი ათაზე მეტი იყო. ქართველთაგან იქ იყო შემდგარი ცხენოსანთა ლაშქართ გუნდი, რომელთა რიცხვიც 30,000 ათას კაცისაგან შესდგებოდა. ესენი მეტათ ხელმარჯვე მებრძოლათ ირიცხებოდენ. ამათ გარ-

და ყველა დიდ კაცის სახლში მონებათ, მოსამსახურებათ ქართველთა კაცნი და ქალნი იყვნენ, იყვნენ ისეთნიც, რომელნიც თავისუფალ იყვნენ მონობისაგან. იგინი თავიანთის ხელსაქმით სცხოვრებდენ, მაგრამ დიდს გაჭირებაში იყვნენ შთაცვივნული თვით თავად-აზნაურნი და სამღვდელო პირნი. ფიქრი არ უნდა, რომ ასეთ გაჭირებაში მყოფთ ქართველთ-კათოლიკის ბერები ხშირათ დაეხმარებოდნენ, ხშირათ გაამხნევებდნენ კიდეც, რის ცნობებიც კარგათ სჩანს ევროპის მოგზაურებთაგან. ამ გარემოებამ დიდი ძალი ქართველობა დასტოვა მტკიცეთ ქრისტიანობაზე და უკანასკნელ თათრობის მაგიერ ესენი შეუერთდნენ კათოლიკობას და გრიგორიანობას, რადგანაც სპარსეთში პყრობილთ 120 ათას ქართველს ერთი ქართული ეკკლესიაც-კი არ ჰქონდა, ამათვის არა-

ვინ ზრუნავდა. იმ დროს, სადაც-კი 100 სომეხი სცხოვრებდა, ან კათოლიკი, მათთვის თავისუფლათ აგებდნენ ეკკლესიებს, იქ თავისუფლათ ასრულებდნენ თავიანთს სჯულსა და ენაზე წირვა-ლოცვას. ამ ბედნიერებას მსოლოდ ქართველნი იყვნენ მოკლებულნი, თუმც ხშირათ სპარსეთში თვით ქართველ უმაღლეს სასულიერო პირნიც სცხოვრებდნენ, მაგრამ ქართველებმა სპარსეთში ვერსად და არას დროს ერთი ეკკლესიაც კერ აღაგეს. ქართველი ვინც-კი მიდიოდა სპარსეთში საცხოვრებლათ, ან ტყვეთ მიჰყვანდათ, ის მაშინ თავის სარწმუნოებას უნდა გამოსთხოვნოდა. მას ან გათათრება მოუხდებოდა და ან კათოლიკობას და გრიბორიანობასთან დაკავშირება.

ქეთევან დედოფალი, როგორც ვსთქვით, წაყვანილ იყო თავის პატარა შვილის შვილებით ქ. შირაზში, სადაც მას საკმარისად კარგათ ეპყრობოდნენ. მას თავის სახლში ჰყვანდა მოსამსახურე ქალი და კაცი, დიდის სიმტკიცით ადგა ქრისტეს სარწმუნოებაზე, რომელსაც ასრულებდა რამდენათაც იცოდა და შეეძლო, ძვირფას საეკკლესიო ნიკთებს, წიგნებს და სამოსლძეს დიდის თაყვანისცემით ინახავდა. მაგრამ იმ დროს მას არ ჰყავდა არც ერთი მღვდელი წირვის აღმსრულებლად. ერთი-კი ჰყავდა წინეთ, რომელიც ვფიქრობ იყო რაღაც საეკკლესიო თანამდებობისა, მაგრამ რადგან ის იყო ძრიელ კეთილი ქრისტიანე, მაჰმადიანებს ეგონათ, რომ ის იმაგრებს დედოფალსაო და რაკი მოშორდება, დედოფალიც გაუდგება თავის სარწმუნოებასაო. ამისათვის მას შესწამეს, არ ვიცი, რაღაც დიდი დანაშაულობა და მოკლეს. ის ქართველი ბერი მოკვდა ცეცხლზე დამწვარი, ქალაქ შირაზში, თავდადებული სარწმუნოებისათვის აღსავსე დიდის მოთმინებით.

ჩვენი მატიანე ამ ბერის ვინაობას კარგათ არ გადმოგვცემს, თუმც ქეთევანის თანხლებულთ ამბავი-კი უწყებულია.

ეს გვამი იყო მოძღვარი ბერი ქეთევან დედოფლისა, რომელსაც სახელათ დავითი ერქო. იგი იყო დიდი კრძალუ-

ლების მექონი პირი, დიდი თანამოზიარტე ქეთევან დედოფლის, ყველა შეწუხების დროს სევდის მქარვებელი, დიდი მოყვარე ქრისტიანობის და ქართველის. ეს ,ოძღვარი მართლაცა და ხშირათ ამხნევებდა ქეთევან დედოფალს, აფრთხილებდა, სარწმუნოებისვის თვით თავის დადებასა-კი ავიწყებდა, თორემ სპარსეთში ყოფილ ქართველ ტყვენი თქვენს მაგალითს მიჰბაძვენ და მალე სულ გათათრდებიანო. ერთის მხრით ესეც იყო მის მიზეზები, რომ სპარსეთის მთავრობა პყრობილ ქართველთ ვერ ათათრებდნენ ადვილათ. გადასახლებულთა დაკარგეს ყველაფერი, სულ დღიურ მუშებათ გადიქცნენ და სარწმუნოებას-კი მაინც არ ჰყრიდნენ გულს, რადგანაც სამშობლოში დაბრუნების იმედიც ჰქონდათ. ამ უბედურ ქართველებს დიდი მტრობა, ზიზღი და შური ჩაენერგათ სპარსების შესახებ, რადგანაც მათ ეს უბედურნი ბედშავათ მოჰგლიჯეს თავიანთ სამშობლოს და სპქრსეთში გადაასახლეს. ყველა ამ ქართველთ მხნეობას მჭიდრო კავშირი აქვს დავით ბერის ქადაგებასთან და იმ სარწმუნოებრივ გარემოებასთანაც, რომ ეს ბერი ცეცხლზე იქმნა ქრისტიანობის გულისთვის დამწვარი.

მეორე მღვდელთაგანი, მწირ ბერი, თანხლებული აგრეთვე დედოფლისა, თან ჰყავდა, – ამბობს იგივე პატრი: იგი იყო ვითარცა სახლის ზედამხედველი, განაგებდა მთელს სახლის საქმეებს. უცოდინარობისა თუ სხვა რამ მიზეზების გამო ეს ბერი არაოდეს არ სწირავდა. – ამ ბერის შესახებ ჩვენი მატიანეც მოგვითხრობს. ცნობებიდგან სჩანს, რომ შემდეგ დროებში ეს მეორე ბერიც სპარსელებს უწამებიათ და ისე მოუკლავთ. ამ პირს გარდა ჰყოლია კიდევ ერთი ბერი – მაგრამ წმინდათ უვიცი და საეკკლესიო საქმეებში არ მომზადებული რიგიანათ, არაფრის მცოდნე. ამათთან ერთიც არის კაცი იყო, მაგრამ ეს პირი ამისთანაებში ვერაფრათ გამოადგებოდა დედოფალს. ამათ გარდა ჰყვანდა კიდევ ერთი მწირ ბერი, სახლის მზარეულივით. უკანასკნელ ეს მწირ ბერი მიზიდულ იქმნა თათრობაზე, იგი უნდა გათათრებულიყო, მაგ-

რამ როცა მხნე ქეთევან დედოფალმა შეიტყო, არცხვინა იგი სასტიკათ, კამათობა გაუმართა და ბერის საქციელი უზდელათ და ურიგოთ აღიარა. შერცხვენილი ბერი ვეღარ დადგა ქეთევან დედოფალთან, მალე საიდუმლოთ მოშორდა დედოფალს, სხვაგან გადავიდა, სადაც გათათრდა კიდეც. ჩვენის მატიანის მოთხრობით: იყო კიდევ ერთი ანტონ ბერი, კაცი მწიგნობარი. ეს ბერი შერჩა დედოფალს სიკვდილამდის გვერდით, მას არა დროს არ მოშორებია, ყოველთვის მის მწუხარებაში თახაზიარი ყოფილა. ამ ბერმა ქეთევან დედოფლის ტანჯვას და წამებას თავის თვალით უყურა. ეს ბერი იცნობდა ლათინთ მოძღვართ, მათთან ჰქონდა ხშირი მისვლა-მოსვლა და მათი სიყვარულიც არსებობდა მის გვამში. დედოფლის სიკვდილის შემდეგ ეს ბერი შეეწება კათოლიკის ბერებს და რამდენიმე

ქართველთა ოჯახებით კათოლიკის სარწმუნოება მიიღეს, და რომს შეუერთდნენ. ესენი ამით დახსნილ იქმნენ თათრობისაგანა, შემდეგ ესენი აღმოსჩნდნენ ნამდვილს და მტკიცე ქრისტიანებათ, სპარსეთში პყრობილ იყვნენ, თორემ იგინი საქართველოში დაბრუნდებოდნენ კიდევაც. უნდა ვსთქვათ, რომ ქეთევან დედოფლის წამებამ მართლაც დასცა და დააუძლურა მთელი სპარსეთის ქართველობა და ამათ გადაუწყდათ იმედი და სასოება ქრისტიანობის შენახვაზე. – ესენი ჰფიქრობდნენ, რომ დღეს თუ არა, სპარსეთის ყეინის ბრძანებით ძალათ გაგვათათრებენო, მათ მოიმედეთ აღარავინ იყო, გარდა ლათინთ მოძღვართა, რომელთაც დიდი სიბრალული ჰქონდათ მათი. განვლო მცირე დრომ და საბრალო ქართველნი სასტიკს დევნას მიეცნენ, ამათ ეუწყათ გათათრების ცნობა. ამ დროს ესენი უკვე კათოლიკის ეკკლესიებში დაიარებოდნენ და თავს კათოლიკეთ აღიარებდნენ. ამიტომ ზოგი ქართველნი უცბათ დაუკავშირდენ კათოლიკობას, – განვლო დრომ, და შემდეგ ესენი სომეხ კათოლიკეთ იქმნენ ხმობილნი. დღეს ესენი ჩვენთვის დაკარგულნი არიან. მათი რიცხვი-კი მოფენილია მთელს აზიაში. ქეთევანის შესახებ დელავალე განაგრ-

ძობს კიდევ: მე ვფიქრობ, რომ მას აქეთ, რაც ჩვენს პატრებს, კარმელიტიანელ ფეხშიშველებს და აგრეთვე ავგუსტიანელებს აქვსთ შირაზში დგომა და ეკკლესია, ისინი არ დაკლებდნენ იმას ნუგეშს და გაამხნევებდნენ ყოველნაირის სულიერის შემწეობით. მე გავიგონე აგრეთვე, რომ დედოფალს, არა ოდეს, ვიდრე ცოცხალი იყოს, არ დაუკლია მათთვის უხვი საწირავები და სხვა გვარი შემწეობაც, მე ვამბობ, მიდრე ცოცხალი იყო მეთქი.

ქეთევანის შესახებ ვიცით, რომ იგი კათოლიკის ბერებს დიდს შმწეობას და საწირავებს აძლევდა. ნამეტურ საეკკლესიო ნივთებს, რასაც შენდეგ დროში უპატრონობის მეოხებით გაუქმება ელოდა. ქეთევანის ცხოვრება პირველათ ანტონ ბერმა ასწერა, შემდეგ სხვებმა. ამ აღწერდგან ისარგებლა ანტონ პირველ ქათალიკოზმა თავის „მარტირიკის“ შედგენისთვის. არ შეიძლება, რომ ამ აღწერის პირი რომშიაც არ იქმნეს გაგზავნილი. ქეთევან დედოფალი იქამდის მოწყალის თვალით უმზერდა ბერებს, იქამდის მაღალი პატივისცემა და სიყვარული აღფრთოვანდა ამ ქალის გვამში, რომ იგი არ ეწამებინათ და ცოცხალი დაშთენილიეო, უკანასკნელ ის თავის ქართველებით კათოლიკობას შეუერთდებოდა, რადგანაც მის თანხლებულთ ქართველთ სპარსნი თვისკენ იზიდავდნენ, ნელ-ნელა დედოფალს აცილებდნენ მათ, რომელთაც დედოფალი ყოველთვის მაღალის ქრისტიანობით გამსჭვალული და აღფრთოვანებულიც ამხელდა.

ქეთევან დედოფლის წამებას ქართველთა მწარეთ დასტირეს და კათოლიკის ბერებმა კიდევ ბევრი ცდა და შრომა მიიღეს, მაგრამ მათი შრომა ამაოთ დაშთა, რადგანაც ქეთევან

დედოფალი დაბეზღებულ იქმნა მის გვერდზედ ყოფილთ სასუ-
ლიერო პირთაგან, რომელნიც დედოფალს მოსცილდნენ და
თათრობაზე იქმნენ მიზიდულნი. ესენი სპარსთ აუწყებდნენ იმ
გარემოებას, რომ დედოფალი გათათრების მოსურნეებს დი-
დათ არცხვენს, აფრთხილებს, ჭკვიანის მუქარებით ამხილებსო,

ბევრს ერიდებათ მისი და მიტომ ვერ ბედვენ გათათრებასო.
მანამ დედოფალი ცოცხალი იქმნება, მანამდის სპარსეთის ქარ-
თველნი მუსულმანობას ადვილათ ვერ მეუერთდებიანო. ქეთოე'
ვან დედოფალი აწამეს, კათოლიკის ბერებმა ამის შესახებ
რომში ვრცელი მოხსენებები გაგზავნეს. მთელი კათოლიკის
სახელმწიფოები მოჰფინეს ამის ცნობებით. წამებულის დედო-
ფლის ძვლებს უპატრონეს, დიდის ცდით მოიპოვეს და სა-
ქართველოში მოასვენეს თეიმურაზ მეფის წინამე, რაის გამო
მეფისაგან პატივი და დახმარებაც მიიღეს. ზოგნი უწყიან,
რომ ვითომც ზობი ნაწილები დედოფლის რომში წაიღესო.
იგი წამებულათ შერიცხეს, მოწამეთ იცნესო. ქეთევან დედო-
ფლის წამების შესახებ დაუწერია იმავ დროს აღწერა პატრი
ფრა გრეგორიო ორსინო დომნიკიანელების ორდენის მამას,
რომელ აღწერაც რომში გაუგზავნია. ყველაზე მეტი-კი დედოფ.
ლის შესახებ ავგუსტიანელებს უწერიათ, რადგანაც მათ დედოფ-
დოფალთან ხშირი მისვლა-მოსვლა ჰქონიათ. ქეთევან დედოფ-
ლის ნაწილები აკგუსტიანელ ბერებმა მოიპოვესო, რამდენიმე
თვე კუბოში ჩასვენებული ჰყვანდათ და საიდუმლოთ ინახავდ-
ნენ, ვიდრე საქართველოში წამოასვენებდნენო.

პატრი დელავალე აი რას სწერს: – „რამდენიმე თვის
წინეთ, ინდოეთიდგან დავბრუნდი სპარსეთში, მერე ქალაქ
ბაზორაში ჩაველ, იქ მე შევიტყე შემდეგი ამბავი: 24
სექტემბერს, 1624 წელსა, ქეთევან დედოფალი სპარსე-
თის ხელმწიფის ბრძანებისამებრ, დიდის წვალებით მოუ-
კლავსთ ქრისტეს სჯულზე მტკიცეთ დგომისათვის, იმა-
ვე ქალაქ შირაზში, სადაც ამდენი ხანი დაკავებული იყო.
არ ვიცი რა მოქმედებას თხოულობდნენ მისგან. სიკვ-
დილს შეხვდა მხნეთ, ვითარცა უდიდებულესი მოწამე. ამ
ცნობის საფუძვლათ მე ვასახელებ ღირსის პატრი ფრა
გრეგორიანო ორსინო დომინიკიანელის მოხსენებას, იგი
იყო სპარსეთის სამხრეთ ქალაქების მთავარ ვიკარი, და
თავის მოგზაურობის დროს გადასულიყო სპარსეთში, სა-

დაც ცოტა ხნის წინეთ ეს შემთხვევა მომხდარიყო, ბა-
ზორაში მას შევხვდი მე და პირველად მან მიამბო ეს ამ-
ბავი, გარდა ამის მან ამის შესახებ რომში მიიტანა ვრცე-
ლი მოხსენება.

როგორც ვიცით, ქეთევან დედოფლის შესახებ ლათი-
ნურს ენაზე ძრიელ ხშირათ უწერიათ. ძველათვეა დაშთენილი

ცნობები ამის შესახებ, რომ ვატიკანი სავსეა საქართველოს
და ქეთევან დედოფლის ცნობებით. ეს ცხადი ჭეშმარიტება
არის. საქართველოს შესახებ რაც ლათინურს ენაზე XVII
საუკუნეში დაწერილა, იმდენი მას შემდეგ თვით დღევანდლამ-
დე აღარაფერი დაწერილა. ჩვენის სამშობლო ქვეყნის ბედშავ
მდგომარეობის შესახებ მოგზაურს მოჰყავს შემდეგი ადგილე-
ბი, ეს აქ უნდა მოვიყვანო, როგორც დამამტკიცებელი საგანი
მის, თუ რა გარემოებაში უნდა ყოფილიყოს საქართველო
იმ დროს მოთავსებული და ან ევროპიელთა ქრისტეს მოსავთ
მამათ როგორ უნდა ემზირნათ საქართველოსთვის.

ქართველთა დიდს გარდასახლებას მოჰყო საზარელი წყვე-
ტა-ჟლეტა, რამდენი სიკვდილი – გაჭირებისაგან, რა გლეჯა,
რა გახრწნა, რა ძალ-დატანება, რამდენი ჩვილი ყმაწვილები თა-
ვიანთ მშობლებმა დაახრჩეს, ან წყალში ჩააგდეს სასოწარკვე-
თილებისაგან, რამდენი სხვა მოჰკლეს სპარსელ ჯარის კაცებ-
მა იმიტომ, რომ ისინი სასიცოცხლო არ იყვნენ, რამდენი ძა-
ლათ მოჰგლიჯეს დედის ძუძუს და დააგდეს შარაზე მხეცების
საჭმელათ, ან მხედრობის ცხენების და აქლემების ფეხქვეშ
სასრესად. მხედრებს არა ერთხელ უვლიათ ქართველთა მიც-
ვალებულთა ლეშებზედ, რამდენი მიცვალებულის გვამი მგელს,
ძაღლს და ნადირს უხრია და უგლეჯ-უჯიჯგნია, რამდენჯერ
მამა შვილს, ქმარი – ცოლს, ძმა – დას მოაშორეს და წაიყვანეს
სხვა-და-სხვპა შორს ქვეყნებში ისე, რომ დაშორებულებს იმე-
დიც არ შერჩენიათ როდისმე ერთმანერთის ნახვისა. ამ სამ-
წუხარო შემთხვევაში რამდენი ქართველი ქალი და კაცი იყი-
დებოდა ყველგან პირუტყვებზე უფრო იაფათ, რამდენი ამის

თანები სხვა მოხდა, ღირსი შებრალებისა, მაგრამ ვინ მოსთვ-
ლის ყველას თქვენის უნეტარესობის და წმიდის ფერხთა
წინაშე.

მე აქ ბევრს ცნობებს არ მოვიყვან მის დასამტკიცებ-
ლათ, თუ ლათინთ ბერებს თავიანთის მოხსენებით რა გვარის
მიდრეკილებით აღსავსე სიბრალული უნდა დაებადნეთ რომის
ტახტის წინაშე. ამ საგნის სინამდვილეს და ჩვენის ჰაზრების
ჭეშმარიტებას თვით მათგან გაკეთებული საქმეების ისტორიაც
დაამტკიცებს, ამ საქმეებს ჩვენ მალე ჩამოვსთვლით და იმედი
გვაქვს, რომ მახვილ გონიერი ქართველი მას ჯეროვან ყურა-
დღებას მიაქცევს, საქმის ვითარებას დააკვირდება და მერე ისე
მიუწყავს ლათინთ მოძღვართ მოქმედებას და განძრახვას თვის
საწყაულს.

პატრების მოქმედებამ რამდენის ზომის სიბრალულითაც
საქართველო რომის ტახტის წინაშე დახატა, იმდენივე კაცთ
მოყვარეობით სავსე თანაგრძნობაც საქართველოსადმი რომში
აღფრთოვანდა, – ამაზე არა ნაკლების ზომით ჰღძრავდნენ თვით
ქართველთა სულსა და გულსაც საქართველოს სიბრალულის
და სიყვარულისათვის. სპარსეთში ყოფილ ქართველთ მეფის
ძენი და დიდებულნიც გაკვირვებულნი იყვნენ პატრების გულ-

მხურვალეს მოქმედებისაგან, – ამათი დრტვინვა გასაკვეთათ ხდებოდა ქართველთა წინაშე, თან საკკირველათაც. ქართველ კათოლიკობაშიაც ამათ დანერგეს შეურყევდათ ქართული ენის სიყვარული, ამის საფუძვლათ და აღსადგენათ მათ ქართული წიგნების ბეჭდვის ზრუნვასაც მიეცნენ, – ქართველ კათოლიკებში ქართული ენის საქმეც კარგს ნიადაგზე დამკვიდრდებოდა, მას სხვაფერი მომავალი მიეცემოდა და ეს მომავალი აიყოლიებდა მთელ ქართველობას, მაგრამ წინაღმდეგ წავიდა, ჟამთა ვითარებამ, ცსოვრების პირობებმა ქართველ კათოლიკების რიცხვი და ძალა ჩაინთქა სომეხთ, აისორთ და სხვა კათოლიკების გავლენის მეოხებით და ოსმალ-სპარსთაგან ქართველთ გვართა მწარეს დევნით.

– 27 –

მე ვაღიარებ, რომ სპარსეთში მყოფნი ქართველნი საყოველთაოთ პატრების მეოხებით ახელდნენ თვალს, ამათის მეოხებით ჩაენერგათ მათ გვამში პატრიოტობა. თითქმის პატრების მაგალითმა გაამხნევა ირაკლი ნაზარალი ხანი, რომელიც საიდუმლოთ ქრისტიანობდა და კათოლიკობას აღიარებდა. ამას დაახლოვებული მისვლა-მოსკლა ჰქონდა სპარსეთში მცხოვრებ კათოლიკის ორდენის ყველა ბერებთან. ასევე განაღვიძეს პატრებმა ლეონ ირანთა მსაჯული, დიდი პატრიოტი ქართველთა, რომელიც კათოლიკის სარწმუნოებაში მყოფი აღესრულდა სპარსეთში. პატრების მეოხებით თვით სასტიკ გამაჰმადიანებულ როსტომ მეფეც-კი დალბილდა. ამანაც-კი ვერ მოახერხა მკაცრის წინაღმდეგობით და მტრობით საქართველოს უარ ყოფა. თვით ეს მეფე როცა საქართველოში მოვიდა და გამეფდა თფილისში, თავის სახლში თფილისის პატრებს პირველი ადგილი მისცა, პატრები მასთან ყოველს მეჯლისში დაიარებოდნენ, – მეფის სასახლეში მეჯლიში გაუმართეს მოგზაურს ვაჭარს შარდენს, რომელსაც მეფის წინაშე მთარგმნელებათ თფილისის პატრები ასლდნენ. – შემდეგ დროებში პატრების დიდი პატივის მცემელი იყო ვახტანგ მეექვსე. სპარსეთში ამას პატრები ამხნევებდნენ და გულში მკაცრათ უნერგავდნენ საქართველოს სიყვარულს, თორემ ვახტანგ მეექვსე თავის მუსლიმანობის მიღების წუთსვე ჰაზრებითაც დაუკავშირდებოდა სპარსეთს და საქართველოს დაუძინებელ მტრათ აღმოსჩნდებოდა, მაგრამ პატრების მეოხებით ეს არ მოხდა. ვახტანგმა საფრანგეთს მიმართა საქართველოს დახმარების სათხოვრათა. ამათვე გააკაჟეს და გააბრწყინეს ბერი საბა ორბელიანი, რომელიც უკანასკნელ ევროპაშიაც წავიდა, იყო საფრანგეთში და საქართველოს სასარგებლოთ შრომობდა. სულხან საბა ორბელიანის დროს, თფილისში ხშირათ მოდიოდნენ ფრანგის პატრები, სხვათა შორის ყოფილა პატრი-მოგზაურ რიშარი, რომელსაც საქართველოში ადრეც უმგზავრია, ამ მოძღვარს კარგათ სცოდნია ქართველ სამეფოს მდგომარე-

ობა, ქრისტიანობის ქენჯნა მუსლიმთაგან და ბევრიც სხვა
რამ ღირსი ცნობები ქართველთ შესახებ, მას მეტათ დიდი
სიბრალულიც ჰქონია ქართველ ერის. დაახლოვებით იცნობდა
იმ დროის ქართველთ ყველა დიდებულებს, მისვლა-მოსვლა
ჰქონდა მეფე ვახტანგთან, სხვა ბატონიშვილებთან და მწიგ-
ნობრებთან. იცნობდა კარგათ თვით საბა ორბელიანს, ესევე
ლათინთ მოძღვარი გახდა წამქეზებლათ და გამღვიძებლათ მის,
რომ ქართველთ საბა ორბელიანი საფრასგეთის კოროლს ლუ-
დოვიკთან საქართველოს დახმარების სათხოვნელათ გაგზავნეს.
თვით ეს ბერი იქამდის მაღალის სათხოებით ყოფილა სავსე,
რომ გასტანგ მეფის ყველაფერს თხოვნებს ეს სწერდა ფრან-
გულს ენაზე. ვახრანგ მეფის წინაშე არ გამორჩეულა არც ერთი
კითხვა უცხო სახელმწიფოებთა დამოკიდებულების შესახებ,
რომ იქ ამ პატრს მონაწილეობა არ მიეღო.

საბა ორბელიანს ევროპაშიაც თვით ეს პირი გაჰყვა. ამან
აუწყა და აჩვენა გეგმა მოგზაურობისა. თვით ეს მიჰყვა საფ-
რანგეთის კოროლის წინაშე და ქართველთა თხოვნა საბას
პირით ფრანგულის ენით აუწყა კოროლს. ყოველივე კითხვის
და ცნობის მთარგმნელათ იგი ირიცხებოდა. საქმიანობის შე-
მდეგ რიშარი საქართველოში აღარ დაბრუნდა, სტამბოლში-კი
მოჰყვა საბას. იგი ევროპაში თუ რომში დაშთა. ზოგნი-კი
ამბობენ, რომ ვითომც იგი იმ თორმეტ მქადაგებელ ბერებს
მოჰყვა წინამძღოლათ, რომლებიც რომიდგან საბა ორბელიანს
გამააყოლეს საქართველოშიო. საბა ორბელიანის საქართველო-
ში მოსვლის შემდეგ მამა რიშარის სახელი აღარ სჩანს. პატ-
რების მაგალითებით გატაცებული იყო სპარსეთში ყოფილი
მეფე ერეკლე მეორე. ერეკლე მეფემ იცოდა მათი ღირსება, მიტომ
იგი საქართველოში მათ დიდს პატივსაც ანიჭებდა. ასევე გაწურ-
თნეს ვახუშტი და ნათლათ განასპეტაკეს ანტონ საქართველოს
ქათალიკოზი. ამათ გარდა კიდევ ბევრს სხვა უმაღლეს პირებს
აღუგრძნეს საქართველოს სიყვარული, ცხადათ და ნათლათ
ამცნიეს მათ მათი გვარტომობის, ქვეყნის და ქრისტიანობის

თაყვანება და პატივისცმა, რის წინააღმდეგ ხშირათ ამ პი-
რებს პატრების წინაშე წინაღმდეგის განცხადებაც არ შეეძ-
ლოთ, რადგანაც ამათ მის მომზადება არ ჰქონდათ. მოკლედ
უხდა ვსთქვათ, რომ რამდენათაც პატრებმა საქართველო ევ-
როპის კათოლიკეთა ერის წინაშე დახატეს დიდის შეწუხებუ-
ლის მდგომარეობით, სიბრალულით და ტანჯვით, მასზე უცხო-
კელესათ უნერგავდნენ ქართველთა მცნობელობას თვით ქარ-
თველთაცა.

საქართველოში პატრების უმაღლეს გავლენის შესახებ
აი რას სწერს პეისონელი:

„მეფე შაჰნავაზის დროს მისიონერები სრულიად და-
ცულნი და დაფარულნი იყვნენ. ესენი ამ მეფის დროს სრუ-
ლის თავისუფლებით სარგებლობდნენ, რადგანაც ესენი ხალხს
ასწავლიდნენ ბევრ რამეს და თან ავრცელებდნენ თავიანთ ექი-

მობას“. ჩვენდა საუბედუროთ და ჟამთა ვითარების მეოხებით ჩვენ დრომდის ყველა მოძღვართა ცნობებმა ვერ მოაღწიეს, თორემ იქიდგან ნათლათ და აშკარათ გამოჩნდებოდა ისტორია იმ ღვაწლდებისა და ამაგისა, რაც ლათინთ მოძღვართაგან ჩვენში აღორძინებულა. დრო, გარემოება, ისტორიული ცნობები-კი ამას ოდესმე უეჭვოთ დაამტკიცებს.

მგონი კმარა, რაც ჩვენ ვისაუბრეთ, მგონი რომ ორი და სამი ცნობაც კარგათ გადაშლის მკითხველის წინაშე ჩვენის მოსაზრების სინამდვილეს და ლათინთ მოძღვართ მოქმედების ჭეშმარიტებას. არა მგონია, რომ ჩვენთაგანმა წაიკითხოს ზემოთ გადაშლილი მცირე ოდენი ცხობები, მაგრამ უაღრესის სიბრალულით აღსავსე და ის არ დარწმუნდეს ამაზე, რომ ამ უზომოს ცრემლებით დაწერილს მოხსენებაებს რომის ტახტის წინაშე, ქრისტიანობით აღჭურვილს და აღფრთოვანებულს ბერებზე საკმარისი დიდი გავლენა არ მოეხდინათ, ცხადია, რომ ქრისტიანობის სიყვარულით გამსჭვალულნი მამანი ქართველთ შავის დღეების მგრძნობელნი ჩვენი თანამოზიარენი არ გამხდარიყვნენ. ჩვენ ვიცით, რომ

მათ ბევრი რამის გაკეთება სდომნიათ ჩვენი ტომის სასარგებლოთ. რის გაკეთებაც მოსახერხებელი ყოფილა, ის გაუკეთებიათ კიდეც. რაც ვერ შესძლებიათ და ან კიდევ ქვეყნის სიშორეს და უცნობლობას შეუბრკოლებია და ვერ გაკეთებულა, ვერა გაუწყვიათ რა, ამაზე კიდევ გულ-ნაკლულათ დაშთენილან და ნატვრას საზღვარი არ ჰქონია, რადგანაც მათ წინაშე საქართველო ისე იყო დახატული, როგორც ობოლი ხის სუფთა ნაფოტი, რომელიც ხანდახან ზღვაში ჩავარდება და ზღვის ღელვის დროს ზვირთებში აკვანივით ირწევა და ირყევა, – ამას წარმოადგენდა სწორედ მაჰმადიანთ შორის შუაგულ მომწყვდეული საბრალო საქართველოს საქმეები. – ვამბობთ ჰქონდათ პატრებს სიყვარული ქართველთა ქრისტიანობის მეოხებით და ამას ის ისტორიული სინამდვილეც ამტკიცებს, რომ ქართველთა შავის დღეების შესახებ, მაგალითებრ საქართველოდგან სპარსეთში 120 ათასი ქართველთ გადასახლების გამო, იმდენს ცნობებს ჩვენი მატიანე არ მოგვითხრობს, რამდენსაც ლათინთ ბერები. – ჩვენი ისტორია ამ სამწუხარო ქართველთ ემიგრაციის ისტორიას სამი სიტყვით ათავებს. ქართლი ამოსწყვიტეთ და კახეთი აჰყარეთ და სპარსეთში გადმოასახლეთ. სხვა დანარჩენი ცნობები ჩვენის მატიანისთვის მკვდარია, იგი არაფერს ადევნებს თვალ-ყურს. ქართველს არამც თუ სპარსეთში ყოფილს და პყრობილს, არამედ საქართველოში მცხოვრებლებსაც არ აქცევს ყურადღებას. ლათინთ ბერები-კი ყოველივე ამ უბედურების და გარდასახლების ამბებს რომის ტახტს დაწვრილებით მოუთხრობენ. რაც ამ ბედშავთ ქართველთა გარდასახლებულების შესახებ პატრებთაგან ცნობები დაწერილა, ყველა მათ რომ ჩვენ დრომდის მოეღწიათ, მაშინ ქართველი გაჰკვირდებოდა და არცარა ვის-

თვის ის გარემოება იქმნებოდა საკვირველი, თუ რომის ქრისტიანობით აღსავსე ბერებმა ქართული სტამბა რათ დააარსეს 1630 წლებში, ბევრათ უწინარეს, ვიდრე ქართველნი მოიფიქრებდნენ და საქართველოში დააარსებდნენ სტამბას. ამ სტამ-

ბის დაარსების ისტორიას ჩვენ დიდი მნიშვნელობა უნდა მივსცეთ, ჩვენს ისტორიაში მას შესამჩნევი ადგილი უნდა დაეთმოს, ქართველ კაცის განვითარების ისტორიის მასალებს ერთი საუკუნით წინა სწევს. ადვილი საქმე არ არის, ეგროპაში ქართული სტამბის დაარსება 1630 წლებში. მგონი, რომ თვით ეს ერთად ერთი ცნობაც კმარა ჩვენის საუბრის უმთავრეს საფუძვლათ, მგონი არავის უნდა აქვნდეს მის უფლება, რომ ეს კეთილი საქმე და ამის დაარსების ისტორია კათოლიკის ბერებს ბოროტებაში ჩამოართვან და უმთავრეს საგნათ კათოლიკის სარწმუნოების გავრცელების ისტორია აღიარონ.

თუ ეს ასე არ არის, თუ რომის ყოველივე დახმარებას საგნათ მხოლოდ ქართველთ ქრისტიანთ გაკათოლიკება ჰქონდათ სახეში, მაშინ თუნდა დაასახელონ ქართველთა ერთი მაგალითი თუ პატრებმა სად რომელი ქართველ ქრისტიანი მოჰგლიჯეს თავის ეკკლესიას და რომს შეუერთეს. ერთს მაგალითსაც ვერავინ დაასახელებს, თუმც მეჭორეების და ცილის მწამებლების ენა ყოველთვის ამაების საწინააღმდეგოთ იღწვის. პატრებისათვის ქრისტიანი ქართველები სულაც არ იყო საჭირო რომ გაეფრანგებინათ, მათთვის გათათრებული ქართველებიც კმარობდა, რომელთა რიცხვი სპარსეთში 20,000-ამდის ირიცხებოდა და ოსმალეთის სამფლობელოში – 600,000 ათასამდის. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ მარტოთ სპარსეთში 10,000-მდე სული იქმნა ქართველთ თათრებთაგან კათოლიკობასთან შეკავშირებულნი. ვფიქრობთ, რომ ამ დროს უნდა შეეხებოდეს მიზანდარის გვარის შეერთება და ძველის ქართველთ აზნაურის გვარის აგულაშვილების. მგონი, რომ აგულაშვილები, მიზანდარი და მრავალიც სხვები შემდეგ დროებში საქართველოში დაბრუნდნენ, ეღირსათ თავის განთავისუფლება და როგორც კათოლიკის სარწმუნოების მაღიარებელნი საქართველოშიაც ისევე დაშთენ, აზნაურებს აზნაურისშვილობაც უნდა დაბრუნებოდა მეფეთაგან, საქართველოში წოდე-

ბრივი უფლება და უპირატესობა არავის ერთმევოდა, გარდა თათრობაზე გადასვლისა, ამას თმით მუსლიმანობაც მუსრავდა. ამის მაგალითს წარმოადგენს ისარლოვების გვარის ისტორია, ჩხეიძესი, სააკაძის, ზუბალაშვილების, ანდრონიკაშვილების, ბაქრაძის და ბევრიც სხვების, რომელნიც ზგნხი თავადათ იწოდებოდნენ და ზოგნიც აზნაურათ. პატრებთა ნაკლულევანებათ ერთი მხოლოთ ის დაშთა, რომ ამათ ქართველ კათო-

ლიკეთათვის საეკკლესიო ლოცვის საჭირო წიგნები ადრიდ-
განვე არ შეადგინეს ქართულს ენაზე, ამათ ბედნიერება სომ-
ხის გვარის კათოლიკებს მიანდეს, ერთად-ერთ ნაკლათ მხო-
ლოდ ის ჩაითვლება, რომელ ნაკლმაც შემდეგ დროებში ქარ-
თველ კათოლიკენი „არმიანე კათოლიკათ“ აქცია. – ამას გარე-
შე-კი ყველა საქმეთა აღორძინების მიზეზებათ-კი პატრები
უნდა ჩაითვალონ. აი დღესაც ვატიკანის წიგნთ-საცავში დი-
დი ძალი მასალები აღმოაჩინა მამა მიხეილ თამარაშვილმა.
ვინ გახსნა XVII საუკ. ქართული სტამბა რომში, ვინ და-
იწყო წიგნების შეჭდვა, ვინ გააცნო საქართველო ევრო-
პის სახელმწიფოებს და ნამეტურ კათოლიკობას, ვინ აღ-
ძრა ამ ერის სიბრალული, ვინ გაავსო ვატიკანის წიგნთ-სა-
ცავი შესანიშნავის მასალებით, ვინ აცნობებდნენ ჩვენს მეფეებს
და მათ შვილებს ევროპიულს ამბებს და სამაცნიერო ცნობებს.
ამას თვით სომხის მეისტორიენიც სწერენ. ვინ გაავრცელა
საქართველოში ჯარა ექიმობა (ხირურგია), წამლობა, აფთიე-
ქების დახსნა და ევროპიდგან საექიმო იარაღის შემოტანა?
ამაების საპასუხოთ ჩვენ არას ვიტყვით. ვისაც სმენა და ჩვე-
ნი ისტოოიის ცოდსა აქვს, იმას ჩვენი მტკიცება არ მო-
უნდება.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტოთ სტამბის სა-
ქმე ახდენს ჩვენზე განცვიფრებას. საქართველოში 1630 წლებ-
ში სტამბის ამბავი ზღაპრათ იცოდნენ, რის წვალებით მხო-
ლოდ 1709 წ. გახსნეს ქ. თფილისში და რომში-კი 1630
წლებში შეუდგნენ ქართული სტამბის დაარსებას. რომის ქარ-

თული სტამბის დაარსება გახდა მაგალითად თფილისში ქარ-
თული სტამბის დაარსებისთვის. მე განკვირვებით ვსომ ასეთ
ნიშანს: რომი, 1630 წლები და ქართული სტამბა! ქართ-
ველთ წინაშე ევროპიული საგრამატიკო ნიშნების შემოტანაც
ამათ ეკუთვნის, რადგანაც ? – ! - „ , (და ნიშნებიც
ამათ ახმარეს პირველად. ქართველთა ამ ნიშნების ხმარება თვით
XVIII საუკუნის დასასრულსაც-კი არ იცოდნენ საერთოთ.
იცოდნენ მხოლოთ მათ, ვისაც თელავის სემენარიაში მიეღოთ
სწავლა.

ლათინთ მოძღვართ არც ერთი ქართველ ქრისტიანო-
ბის მექონი არ გაუფრანგებიათ. ესენი კათოლიკოს სარწმუ-
ნოებას უერთებდნენ მუსლიმანობაზე გადასულ ქართველთა, რო-
მელთა ქრისტიანობაზე მობრუნება ქართველ სამღვდელოებას
არ შეეძლო, რადგანაც ქართველ სამღვდელოება XIV საუკუ-
ნიდამ უკვე სასტიკათ დაეცა. ეს საგანი მრავალის ცნობებით
დამტკიცდება და ამასვე ამტკიცებს ქართველ მრავალ გამოჩე-
ნილ გვართა კათოლიკის სარწმუნოებასთან შეერთების ისტო-
რია. იმასაც ვიტყვით, რომ სამცხეში მოხდა რამდენიმე ქრი-
სტიან ქართველთ კათოლიკობასთან შეერთება, მაგრამ ეს იმ
გარემოების მეოხებით, რომ მათ მხარეში ქართველთ სამღვდე-
ლოება ადრიდგანვე მოისპო, მათ ხალხი უმწყემსოთ დასტო-

ვეს, უმწყემსოდ დატოკებულ ქართველთ გათათრება მოელოდათ. პატრებმა ესენი კათოლიკობას დაუახლოვეს და უკანასკნელ რომს შესძინეს. თუ ეს ასე არ არის, მაშინ დაასახელოს ვინმემ, თუ ჯავახეთში ან სამცხეში რომელ ქართველ გვარის ქართველ ქრისტიანი შეუკავშირეს რომს. არც ერთი და არც სად.

სრულს ჭეშმარიტებას წარმოადგენს და ამ მოსაზრებას ამტკიცებს თუმანიშვილების გვარის ისტორია, ზუბალაანთი, მეფისაშვილების, მჭედლიშვილების, ანდრონიკაშვილების, ჩაქუანების, სააკაძეების, ბაქრაძების, მხეიძების და მრავალიც სხვების. – რაც შეეხება ქართველთ კათოლიკეთა სომხათ წოდებას

და ქართული ენის და გვარტომობის დავიწყებას, ისე-კი ჭეშმარიტია, ამაზე ჩვენ უარს არ ვიტყვით, ამაზე ბევრჯერ გვისაუბრია და კიდევაც ვისაუბრებთ. ეს უბედური მომავალი სრულდებოდა ქართველ კათოლიკეთა უნებლიეთ, თვით ჩვენის დაუდევრობით და სხვათა მანქანებით, მაბრამ ის რაც აქამდის მოხდა, მოხდა, გათავდა, დაინთქა, დღეის შემდეგ-კი ასე აღარ იქმნება, რადგანაც მთელმა ქართველმა კათოლიკობამ თვალი გაახილა და იგინი მკაცრათ დავობენ თავიანთ გვარტომობის შესახებ, ისტორიულს ჭეშმარიტებას სიმართლით იფარავენ და სადაც ჯერ არს, იქ თხოვნასაც აძლევენ ამის შესახებ, რომ იგინი საქართველოში თავიანთ გვარტომობით იქმნენ ცნობილნი. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ისტორიული სინამდვილე თავისას გაიტანს და მომავალში ქართველ კათოლიკენი ქართველათვე იქმნებიან ცნობილნი.

II

ლათინთ მოძღვართ მტრობის გვერდით ხსენებული პირი ლუტერის სარწმუნოებასაც აღიარებს, რომელთაც განძრახვა ჰქონიათ ქართველთა ლუტერის სჯულზე მოქცევის. საქართველოში ამ სარწმუნოების წარმომადგენ პასტორებათ ყოფილან სხვათა შორის იაკობი, რომელსაც დოქტორის წოდებაც ჰქონია, პასტორი ანდრია, პასტორი გელარხი, პასტორი ანტონი, სულიკეცერი და პასტორი მარტენი ტიბინგენის პროფესორი. ამათ მიუქცევიათ ლუტერის სჯულზე საათაბაგოს მთავრის ყვარყვარე ათაბაგის შვილი მზე-ჭაბუკ დიდი, მაგრამ მზე-ჭაბუკ დიდი ამ სარწმუნოებაში დიდხანს არ დარჩენილა. ამას მალე უყვია უარი და მაჰმადიანობას მიჰკედლებია, გათათრებულა. ამ ცნობებიდგან სჩანს ისიც, რომ მთავარი მუსულმანობაზე წინათვე ყოფილა მიზიდული. პასტორებს ეს პირი მუსულმანობიდგან მიუზიდნიათ ლუტერის სჯულზე. ლუტერის სარწმუნოების პასტორების

შრომა საქართველოში ამით დასრულდაო. ამის რიცხვს იგი აწერს XV საუკ. დამდეგის წლებს.

გინდ ეს ამბებიც რომ მართალი იყოს, მაინც ვიტ-ყვით იმასაც, რომ ლუტერის სჯულის მექონ პასტორები საქართველოში თავის დღეში ფეხსაც ვერ შემოსდგამდნენ, რომ მათ წინ სახელმძღვანელოთ ლათინო მოძღვართ ცნობები არ ჰქონოდათ. მათ იქნება საქართველოს ხსენებაც არ სცოდნოდათ მაგრამ იცოდნენ ლათინთ მოძღვართ ნაწერებიდგანა, რომლე-ბიც სხვა და სხვა დროს ევროპის ქალაქებშიც იბეჭდე-ბოდნენ. რა ცნობებიც მოვიყვანეთ, მგონი კმარა რომის ტახ-ტის წინაშე სიბრალულის გამოსაწვევათ, მგონი საკმარისი უნდა ყოფილიყოს ქართველთა იმდენი ცრემლი და სისხლი, რაც-კი დაინთხა და რის ამბებიც ლათინთ მოძღვართაგან რო-მის ტახტის წინაშე ერთობ ხშირათ მიდიოდა მოსახსენებლათ. ისეთი რა ქვის გულის მექონი ქრისტე მოსილი მამანი უნ-და ყოფილიყვნენ, რომ საქართველოს შესახებ სხვა და სხვა პატრებთაგან მაღალის სიბრალულით აღვსილი წერილები წაეკი-თხათ და მასთანვე საქართველო-კი არ შებრალებოდათ. რო-მის ტახტის მფარველნი, როგორც მოწყალებით სავსენი, საყოველთაოდ აცხადებდნენ მამობრულს საქციელს. ყველა ვრდომილთ და ჩაგრულთ მფარველობა ამათ ადრევე გამოჰფი-ნეს ქართველთა წინაშე ასე: – „წმიდა მამა და უფალი ჩვე-ნი კლემენტე პაპი მეათოთხმეტე, რადგანაც ზრუნავს მა-მობრივად ყოველთა მორწმუნეთა ზედა, ამიტომ რაო-დენთაცა ჯერ არს ქართველთათვის სამსახურს არ ვაკ-ლებთ მათ“.

აქ მოხსენებულს „ქართველთათვისაც სამსახურს არ ვაკლებთ“ ცხადათ მოწმობს, რომ რომის ტახტმა ქართველთ გვარი, ქართველი კათოლიკობა და ქართული ენა ადრევე იც-ნა. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ ამ მოხსენებაში ქართველს ადგილი არ ექმნებოდა.

ქართველთა რომის ტახტის ცნობას ცხადათ ამტკიცებს

და ასაბუთებს ის გარემოებაც, რომ პირველათ და შემდეგ დროებშიაც რომშივე დაიბეჭდა ქართველთ კათოლიკეთათვის საჭირო წიგნები. რომის ტახტს ქართველ კათოლიკობა და ამათ დედა-ენათ რომ ქართული ენა არ ეცნათ, მაშინ ქარ-თულს ენაზე ლოცვებსაც ხომ არ დაბეჭდავდნენ. რომში ქარ-თული სტამბის დაარსების ისტორიაც ცხადათ ამტკიცებს, რომ ქართველთ გვარის კათოლიკობა რომის ტახტმა ადრევე იცნა, საქართველოში ამ გვარის კათოლიკენი ადრევე იქმნენ რომისაგან ცნობილ და შეწყნარებულნი.

რომში ქართულ სტამბის დაარსების დროთ 1630 წ. უნდა ვიწამოთ და არა შემდეგ. თუმც ამ სტამბის არსებო-ბის ცნობები მხოლოდ 1643 წ. სჩანს. სტამბაში ქართული ბეჭდვის გამგეთ ყოველთვის ქართველთ გვარის და ენის მცო-დნე გვამნი ჰყოლიათ. უმეტესი ცხადი საქმეა, რომ პაპის

„პროპაგანდოს" ქართული ენის და სიტყვიერების პროფესორე-
ბი იქმნებოდნენ. ასეთი გვამნი რომ აქ დრო და დრო ყო-
ფილან, ეს ცხადათ სჩანს ისტორიულის ცნობებიდგანა და
ერთი ამათგანი ყოფილა თვით ქართველ გვარის კათოლიკე
გორელი პატრი ტულუკაანთ დავითა, რომელსაც 1730-1770
წლებში რომში უცხოვრია. იქ ქართული ენის მთარგმნე-
ლათ ყოფილა პაპის კოლეგიაში და ქართულივე წიგნებიც უბე-
ჭდავს. პატრი ტულუკაანთ დავითა, როგორც თვით სწერს,
გორის მკვიდრთ მცხოვრებთაგანი ყოფილა. საქართველოში
სწავლის მიღების შემდეგ იგი ართვინში ყოფილა, მერე არ-
თვინის კათოლიკების წრიდგან კონსტანტინეპოლს წაუყვანიათ.
კონსტანტინოპოლის კათოლიკების სკოლაშიაც კარგა ხანს და-
უყვია, მერე წასულა რომში და პაპის კოლეგიაში შესულა.
კოლეგიაში დარჩენილა კარგა ხანს, სწავლა დაუმთავრებია და
მერე კოლეგიაში ქართული ენის მოთარგმანეთ და ქართული
წიგნების მკითხველათ დაუდგენიათ. პატრი დავითა სწერს
1741 წ. რომ აგერ, აქ, რომში რაც ვარ, ათი წელიწადია
გასულიო. მაშასადამე ამისაგან რომში წასვლის ხანა უნდა მი-

ეწეროს 1731 წ. გორში მაშინ ქართველ კათოლიკეთა რიც-
ხვი საკმარისი ყოფილა უკვე. გორის ქართველ კათოლიკებს
თავიანთ გვარტომობის და ქართული ენის საქმე ისე საჭი-
როთ სცნობიათ, რომ დავითიც-კი წასულა რომში სასწავლე-
ბლათ და ამის წინა დროს სხვებიც ყოფილან რომში წასულ-
ნი.

გორელი პატრი დავითა თავის გვარტომობას სომხათ
აღიარებს. სომხათ აღიარება მას ქართულს ენაზე აქვს მხო-
ლოდ, ლათინურს, ანუ იტალიურს ენაზე-კი, სადაც ეს თავის
გვარტომობას აცხადებს, – იქ სომხობის შესახებ არას ამ-
ბობს, იქ თავის თავს ქართველათ აღიარებს. ჩვენ ამ გარემო-
ების მეოხებით გორის მცხოვრებთ ქართველთ კათოლიკეთა
რიცხვს ყურადღება მივაქციეთ და პატრი დავითას გვარის
კაცნიც და მათი ცნობაც ვიკითხე, მაგრამ არამც თუ გორში,
არამედ მთელს ქართველს კათოლიკობაში საკმარისი ცნობა
ვერ შევკრიბე რა. რაც ვიცი, ისიც განსვენებულის ქართველ
კათოლიკის „ცისკრის“ მწერლის ალექს. ჩიქუანის მდიდარის
წიგნთ-საცავის ხელთნაწერი წიგნების მეოხებით.

ტულუკაშვილების გვარის წევრნი ქიზიყში მთელი სო-
ფელი სცხოვრებს. იგინი გვარტომობით ქართველები არიან,
სომხობის მათ არაფერი სცხიათ.

ეხლა ჩვენ აქ უნდა გავარკვიოთ ის შეცდომითი უნებლიე
მოვლენა, თუ პატრი დავითა თავის თავს რათ უწოდებს სო-
მეხს, რამ აიძულა ეს გვამი ასე წოდების და რა გარემოების
მეოხებით. ჩვენის საუბრის შემდეგ ყველასთვის ცხადი იქ-
მნება ამ შეცდომის მეოხებით ქართველთ კათოლიკეთ გვართა
გადაყლაპვის წარმატება.

კათოლიკის სარწმუნოების აღორძინება სომხეთში ძველს

დროსვე მიეწერება. – სომეხ კათოლიკეთა რიცხვი ძველათ-
ვე გამრავლდა საკმარისად. მათი რიცხვი იმოდენად იყო და
მათში ბევრი ისეთი მხნე და ენერგიული პირნიც მოიპო-
ვებოდნენ, რომელნიც კათოლიკის სარწმუნოებასთან ერთათ

სომხური ენის დიდს საჭიროებასაც აღიარებდნენ, ნამეტურ ამ
ენის მეოხებით სომხებში და კავკასიის სხვა ქრისტიან ერ-
შიც კათოლიკობის გავრცელებისთვის. მხნე გვამთა მეოხებით
დაიბადა ჰაზრი თვით ლათინთ ეკკლესიის წეს-რიგის წიგნე-
ბის სომხურს ენაზე თარგმნის საჭიროებაც. საჭიროება მთელ
სომეხ კათოლიკობამ დაინახა. ამ საჭიროებას რომის ტახტ-
მაც ჯეროვანი ყურადღება მიაქცია და სომეხ კათოლიკეთა ყვე-
ლაფერი საეკკლესიო წიგნები შეადგინეს სომხურს ენაზე და
მის დროსვე სომეხ კათოლიკეთათვის სომხურს ენაზე დაიწ-
ყეს წირვა-ლოცვა, გალობა და ყველა საჭირო წიგნების წაკი-
თხვა. მალე სომხურს ენაზე ლათინთ ეკკლესიის წეს-რიგის
წიგნების კითხვამ და აღორძინებამ დიდი წარმატება მიიღო.
მალე სომეხ კათოლიკეთა მწიგნობრობაც დაიბადა. გაჩნდნენ
სომეხ კათოლიკეებში სომხური ენის მეტრფე მწიგნობარ
გვამნი და რომის ტახტის დიდი პატივისმცემელნიც. ამათი
ერთგულება და მორჩილება თვით პაპებმაც იცოდნენ.

განვლო დრო ჟამმა და სომეხ კათოლიკებმა დაიწყეს
სკოლების დასხნა და სწავლა-განათლების მოფენა კათო-
ლიკებთ შვილებთ შორის. ხშირათ ამათ სასწავლებლებში
სომხის გვარის კათოლიკეთა შვილებს გარდა სწავლობდ-
ნენ სხვა-და-სხვა ტომის შვილნიც, მაგალითებრ ქართველ
კათოლიკეთა შვილებიც. რადგანაც კათოლიკის და სომხის
კათოლიკის სარწმუნოება ორივ ერთი იყო, ორივ კათოლი-
კები იყვნენ, ორივ რომის ტახტის შვილნი, მხოლოდ ერ-
თი ქართველის გვარის და მეორე სომხის. სომეხ კათოლი-
კეთ წარმატების საქმეებს ბევრნაირი გარემოება უწყობდა
ხელს და ეს გარემოებავე იბირებდა სომხებთაკენ თვით ქართ-
ველთ გვარის კათოლიკებსაცა. სომეხთ წარმატების გარემოე-
ბა თვით ქართველს ისე აწებებდა სომეხ კათოლიკებთან, რომ
მეორე მესამე თაობა ქართველთ კათოლიკეთა ნამდვილს სო-
მეხ ცხარე კათოლიკეთ ცხადდება.

სომეხთა სამეფო ძველათვე დაეცა, – ერი ამ ტომის გა-

ნიბნა ოთხსავ კუთხივ. ამ ტომის ძეთა აღარც ოსმალთ ჰქონ-
დათ შიში და აღარც სპარსთ. უშიშარ ხალხს იგინი აღარც
სდევნიდნენ, არც დიდს ხარჯს ართმევდნენ და თუ საქმე და
საჭიროება იქმნებოდა, გადასახადსა და სხვა რამე სახელ-
მწიფო ხარჯში შეღავათს და დახმარებასაც აძლევდნენ. ყვე-
ლა ეს მის მეოხებით ხდებოდა უფრო ოსმალთაგან, რად-
განაც სომეხნი თვის სამშობლოდგან გასულ-განდევნილნი,

ყველგან მოქალაქურს, ვაჭრულს ცხოვრებას მიეცნენ, მუსლიმის წინაშე ბრძოლას თავი გაანებეს, ჟამთა ვითარებას და გარემოებას დაემორჩილნენ. მეტი გზაც არ ჰქონდათ, ერთაობა დარღვეულ ერმა, სამეფო და სამშობლო დაკარგულმა ხალხმა რაც დაკარგა ერთხელ, მხოლოდ ის იყო. სამეფოს დაცემის შემდეგ დროებში მათ აღარაფერი დაუკარგავსთ რა, ყველგან შეძენას შეეჩვია და მელა-კატუნობას. ასეთმა მელა-კატუნობამ იგინი წინ წასწია ეკონომიურის მხრით. მწიგნობრობით იგინი ისე მოეწყვნენ თავიანთ მრისხანე ბარბაროს მტრებს, რომ, რომელ ბარბაროს მტერიც მათ ჩანთქმას ექადებოდა, ამის მაგიერ მათ დაუწყო მფარველობის აღმოჩენა. ეს ხალხი მალე გახდა უმაღლესად საყვარელი თავის მტრისა. ამათ მალე სრული გამგეობაც-კი მოიპოვეს მათს ხელში.

ქართველთ სამეფო და ერი-კი ამ დროს ოსმალს მედგარს ბრძოლას უწევდა, დღე და ღამე ქართველი ოსმალს მუსრს ავლებდნენ და საქართველოს ადგილებს-კი არ უთმობდნენ. ოსმალთ ჯავრი მოსდიოდათ. ყველას მოერივნენ ესენი, საბერძნეთის იმპერია დასცეს, არაბისტანი, სომხეთი, ბოლგარეთი, სერბია, რამდენი კიდევ სხვა სამეფოები და ვერა დააკლეს რა ქართველებ. – ქართველები ამიტომ სასტიკათ შეიძულეს ოსმალთა. ქართველი ისე სძულდათ მათ, როგორც მათი მოსისხლე მტერი. განვლო ჟამთა ვითარებამ. შინაურ და გარეულ მეამბოხეთა მეოხებით დასავლეთ საქართველოსკენ ოსმალებმა ფრთების გამაგრება იწყეს, ქართველ-

თა ზოგი ერთი ადგილების დაკავება ისე, რომ წართმეულ ადგილს ქართველნი ვეღარ ახერხებდნენ კვალინდებურათ ოსმალთაგან განთავისუფლებას, თუმცა, ხშირათ ბრძოლასაც იწყებდნენ ხოლმე. ხშირათ მომხდარა, რომ ასეთ შემთხვევების მეოხებით ოსმალთა დამონებულ ქართველთათვის თავები უჭრიათ. ვისაც თავის მოჭრის ეშინოდა, ის მაშინათვე მთელის ოჯახობით მუსლიმანობას უერთდებოდა.

სადაც კი ოსმალნი საქართველოს ადგილებს იღებდნენ, ხალხს იმორჩილებდნენ, იქ მყოფ ქართველელებს იმავე წუთში უწყებდნენ დევნას, ჟლეტა-წყვეტას და გათათრებას. თვის ქვეშევრდომ ოსმალნი „ქართველის" წოდებას ქართველთ სასტიკათ უკრძალავდნენ. ოსმალთა განკარგულებით ქართველის დარჩენა არამც თუ მათ ხელში არ შეიძლებოდა, არამედ თვით თავისუფალს იმ ადგილებში, რომელნიც საქართველოს სამეფოს ეკუთვნოდნენ. ერთის სიტყვით, ოსმალეთის მოსისხარ მტერს ქართველთა შვილებს ყველგან დევნა და მუსრი მოელოდათ. სადაც უნდა ყოფილიყო ქართველი, იქ მას ოსმალთაგან გათათრება, ან მწარე სიკვდილი ელოდა. ნელ-ნელა გარემოება ისე მოეწყო, რომ ნახევარი საქართველო ოსმალმა დაიჭირა. ფეხის გამაგრების შემდეგ დამონებულ ქართველთ შორის სიტყვა ქართველი სამუდამოთ უნდა ამოეგდოთ ძი-

რიანათ. ამ დროს-კი სრულის თავისუფლებით სარგებლობდ-
ნენ სომეხ გრიგორიანები და სომეხ კათოლიკენი. ქრისტი-
ანთ მოძღვართ ქადაგებით ოსმალთა წინაშე ქართველთ ზოგ-
ნი თავიანთ ვინაობას სომხებათ აღიარებდნენ და ზოგნი სო-
მეხ კათოლიკებათ. მალე სიტყვა „ჰაი“ გახდა ქართველთა ზია-
რებათ, ქართველთა მსხნელად ოსმალის ხელში. – ამ გარემო-
ებას ზედ დაედო სომეხთ მოძღვართ მხნე მოქმედება და სულ
მცირე დროის განმავლობაში ქართველთათვის დედა საეკკლე-
სიო ენათ სომხური ენა გახადეს და ქართველნიც „ჰაებათ“
გადაიქცნენ ოსმალთა დევნის მეოხების გამო. აი ამ დრო-
დგან და ამ გარემოების მეოხებით ნელ-ნელა ქართველ კათო-

ლიკებმი გამოირკვა უნებლიე ჰაზრი, რომ ვითომც ისინი სო-
მეხ კათოლიკენი იყვნენ. ასე მოუვიდათ მრავალთ ქართველთა
და ასევე დამართვია პატრს დავითას. – დღეს-კი ამ უნებლიე
შეცდომას თავისი გააქვს და ქართველ კათოლიკენი სომეხ
კათოლიკებათ იწოდებიან, ნამდვილ ქართველთ გვარის კათო-
ლიკეთა ეკკლესიებში სომხურ ენაზე უწირავენ ხალხს, საჭი-
რო ენათ სომხურს ენას უხდიან – ერთის სიტყვით დრო და
გარემოება ჩანთქავს ქართველობაში ქართულ ენას, თუ მას წა-
მალი არა მოევლინა-რა.

ქართველთ კათოლიკობა რომს ადრევე უცვნია, 1741
წლებში, ამის შესახებ რომში კრებაც ყოფილა. პაპს ქარ-
თველ კათოლიკობის გვაროვნობის ცნობის შესახებ კონდაკიც
გამოუცია. სჩანს, რომ მოქართულე ქართველ კათოლიკენი ძვე-
ლათვე ყოფილან საქართველოში. ამათ დიდი სურვილიც ჰქონიათ
ქართველათ წოდების, ქართულ წირვა-ლოცვის ქონვის.

ქართველ გვარის კათოლიკების გადაგვარების საქმეს და
გასომხებას ერთის მხრით შემდეგი დიდი გარემოებაც უწყობ-
და ხელს. სომეხთ კათოლიკობაში ადრევე აღორძინდა მწიგ-
ნობრობის და სკოლების დაარსების სიყვარული. ამას რომიც
უწყობდა ხელს. კათოლიკეთ მამანი მიეკედლენ რომს. ამათ
მალე ვენეციის კუნძულზე სადგომი მონასტერი გააკეთეს.
მალე ამ მონასტერს მიეკედლა მხითარი. ამან დააფუძნა სო-
მეხ კათოლიკეთა დიდი ძმობა – კონგრეგაცია – იყო დიდი
შეძლების პატრონი – აღაგო მონასტერი, შეკრიბა ძმები, და-
აარსა სასწავლებელი, სამკითხველო და სტამბა. ეს მონასტე-
რი გახდა სომეხთა გვარის სანთლათ. მალე სასწავლებელი
უმაღლეს წერტილამდის აიყვანეს. ამ სასწავლებელში სწავლობ-
დნენ კათოლიკეთა ძენი, განურჩევლად გვარტომობის და ენის.
ამ სასწავლებელში მთავარ ენათ სომხური ენა იყო მიღებუ-
ლი. სომეხ კათოლიკეთა შვილებს აქ დიდის მამულის მოყვა-
რეობით სდიდნენ. უაღრესად უნერგავდნენ სომხეთის სიყვა-
რულს, ძველის სომხურის მწიგნობრობის, ისტორიის, კულ-

ტურის და ახლის მდგომარეობის და მწერლობის. მამათა მხნეობა უნაყოფო არ იყო. ამათ გამოსწურთნეს მთელი გუნდი სომეხთ მსწავლულ პატრიოტ-მოძღვრებისა. ამ გამოწურთნულებმა აღადგინეს ძველი და ახალი სომხური მწერლობა – თვით სომხეთიც-კი *).

დღეს მხითარისტები სომხის გვარის უდიდებულეს მფარველათ ითვლებიან ევროპაში, ვენეციის კუნძულზე, ლაზარეს მონასტერში. მთელი კონგრეგაცია მუშაკობს სომხეთის სასარგებლოთ. ბეჭდავენ აუარებელ წიგნებს სომხურს ენაზე და მით ამდიდრებენ სომეხთა გვარს. ამ ძმობას ვეცელი ისტორია აქვს. ჩვენ აქ ამაზე არ ვილაპარაკებთ, რადგანაც ეს შორს წავა. ამათვე მიიზიდეს ადრიდგანვე ქართველთ კათოლიკეთ ძენი სასწავლებლათ. აქ სწავლობდნენ ქართველთ შვილები სომხურს ენას ზედ მიწევნით, მწიგნობრობას, ისტორიას და სხვა-და-სხვა საგნებს. უკანასკნელ ესენი როგორც კათოლიკის ეკკლესიის შვილნი, სომეხ კათოლიკეთა სკოლაში სომხურათ აღსდილნი, მომავალშიაც სომხური ენით მლოცველნი, მწირველნი და მოლაპარაკენი, ეძლეოდნენ სომხის გვარის სიყვარულს, ეძლეოდნენ სომხობას, თავს ყველგან სომხათ აღიარებდნენ და ერთის მხრით ქართველობას გარდა თვით საქართველოც საოცნებო არსებათ მიაჩნდათ. მხითარისტებთ ძმებთაგან ქართველ გვარის კათოლიკებთა დაახლოვებას ისიც უწყობდა ხელს, რადგანაც ქართველ კათოლიკებში ისეთის წარმატებით ვერ წავიდა ის საქმეები, რაც სომეხ კათოლიკებში აღორძინდა. ამის დაბრკოლობის მიზეზათ იხატება ის გარემოება, რომ ქართველთ თავიანთ სამეფოს და პირად-უფლებათა გამო ოსმალებთან დღე და ღამე ბრძოლა ჰქონდათ და სომხები-კი ყველა ასეთ რამეებისაგან თავისუფალნი იყვნენ და შეძენას ეძლეოდნენ. ამათი მხნეობა ისე გაიშალა, მხითარისტებმა მთელს ევროპაში ისე წადგეს ფეხი წინა, რომ დღეს მათის მეოხებით სომხეთი და სომხების ერი ცნობილ

*) ინჭიჭიანი – ახალი სომხეთი, ვენეტიკი 1806 წ.

ერათ ითვლება მთელს ევროპაში. ესენი ხმა-მაღლა დავობენ სომხეთის შესახებ. სიყვარული და ოცნება უსაზღვროთ უღელავსთ, თვით საქართველოსაც სომხეთათ აღიარებენ, საქვეყნო სახეს გლობუს აკეთებენ და იქ მთელი საქართველოც სომხეთად არის აღიარებული. სხვა-და-სხვა ისტორიულს წიგნებში ხომ თამამათ ასახელებენ, რომ საქართველო სომხეთი არისო! ბევრნი ასეთის მოსაუბრეს პირებისა თვით ქართველნიც არიან, ქართველ გვარისანი, მაგრამ დროის მეოხებით და მხითარისტების წყალობით სრულიად გადაგვარებულნი-გასომხმბულნი.

მხითარისტებში ყოველთვის ყოფილან ქართველ გვარის კათოლიკენი. ზოგნი მათში საკმარისად მდიდრებიც ყოფილან. სხვათა შორის ვიცით შემდეგი: წარსულის

საუკუნის დამლევს სცხოვრებდა ქართველთ კათოლიკეთა ცნობილი მოძღვარი სტეფანე მეფისაშვილი. ამ მეფისაშვილის გარდაცვალების შემდეგ ქონება დაშთა მის ძმა ბაღდასარას! ბაღდასარა შევიდა ვენეციის მხითარისტების ძმობაში და თან ფულათ შეიტანა 45,000 მანათი. ამ მღვდელს საკვირვლად გრძელი წვერი ჰქონია, თან მაღალი ტანის ყოფილა. წვერი სულ შეკრული ჰქონია და უბეში სდებია თურმე. როცა ახალ-ციხეში ახალ-ახალი ფაშები მოგიდოდნენ, მაშინ წაიყვანდნენ ამას ფაშის წინაშე, ეს გახსნიდა წვერს და ჩაუშვებდა ფეხე-ბამდის დავარცხნილს და ისე ეჩვენებოდა მათ. დიდის სია-მოვნებით უყურებდნენ ფაშები, დაასაჩუქრებდნენ და ისე გაისტუმრებდნენ შინ. ამ მოძღვარს ექიმობაც სცოდნია, ხში-რათ ფაშის ექიმათაც ყოფილა. ამასვე შეუდგენია ქართული „კარაბადინი“, რომელ წიგნის მკურნალობაც ზოგი ჯავახურის ქართველ დედა-კაცების ზეპირ ექიმობიდგან უწერია და ზო-გიც სხვა-და-სხვა ექიმობის მცოდნე პატრების წიგნებიდგან. ამ ექიმ მოძღვრის ხელთ ნაწერი ქართულ რეცეპტებმა ჩვენს დრომდისაც მოაღწიეს ახალციხისკენ. სხვაც ბევრი რამ სანა-ქებო საქმეები სცოდნია ამ გვამს. ეს მოძღვარი გარდაიცვალა

მხითარისტებთა ძმობის სენაკში და ამ ქართველ კაცის ქო-ნება 50,000 მანათზე მეტი დაშთათ სომეხთ მხითარისტებს. აქ ჩვენ ერთი მაგალითი მოვიყვანეთ, თორემ ქართველთა-გან ასეთი შეწირულებანი სომეხთ სასარგებლოთ ძრიელ ხში-რათ მომხდარა. ერთი ქართველ შემწირველის, რომელმაც 6,000 მ. შესწირა, მის ვინაობის ცნობაც-კი არ სჩანს. თუმც ის-კი ვიცით, რომ იგი თფილისელი ქართველი იყო.

მივაქცევთ ყურადღებას აქ ერთ კითხვას და იმედი გვაქვს, რომ ამის დასკვნას თვით ჩვენი მკითხველი წარმოიდგენს, თუ რა შედეგი უნდა მოჰყოლოდეს ასეთს მაგალითებს, ესე-თი ცნობები უეჭვოთ დაამტკიცებენ ჩვენს მსჯელობას: მაგა-ლითებრ ძველის-ძველს ქართველთა შთამომავალთა გვარის მე-ფისაშვილის ერთს სასულიერო პირს სახელათ ბაღდასარა ერ-ქვა.

ქართკელი და ბაღდასარა?

მეფისაშვილებზე მე არას ვიტყვი, მოვიყვან თვით პა-ტივცემულის მეფისაშვილის სიტყვას თავიანთი გვარტომობის შესახებ: ეს პირი სწერს რომ მეფისაშვილები ნამდვილი ქარ-თველის შთამომავალნი არიან და არა სომხისო, როგორც ეს ჰგონიათ ზოგიერთებსო. მეფისაშვილები ოსმალთა მეოხებით ძველათ მუსლიმანობას შეერთებიან, მაგრამ რომის კა-პუცინების მეოხებით იგინი მუსლიმანობას განშორებიან და კათოლიკობას დაკალშირებიან, დღეს ქრისტიანები არიან – ქართ-ველ გვარისანი, საქართველოს შვილები. მაგრამ მრავალნი ამათ ქართველობაზე ეჭვობენ და ამბობენ რომ სომხები არია-ნო. თვით სომეხ კათოლიკენიც უარს ჰყოფენ ამათ ქართ-ველობას და თამამათ ბძანებენ, რომ თუ მეფიისოვები ქართვე-

ლები არიან, მაშ მათ ძველებს ბაღდასარა, ოჰანეზა და ასეთი სახელები რათა რქმევიათო. იგინი სომხები არიანო. მათის ფიქრით ეს ცხადი საქმეა, რადგანაც მოძღვარ ბაღდასარას ტერ-ბაღდასარ ერქვა – ანუ როგორც გვარამაძეს ტერ-ოჰანეზი – კათოლიკს ხიდირბეგისშვილის გვარის ერთ მოძღვარ-

თაგანს ასატურა – მერე ტერ-ასატურა და დღეს გვარათაც ტერ-ასატუროვებათ იწოდებიან. მგონი ამ მაგალითების შემდეგ აღარავისთვის უნდა იყოს საეჭვო ის, თუ პატრი დავითა თავის თავს სომხათ რათ აღიარებს. აი უფრო ახალი მაგალითი, თვით ქართველ გვარის მეტრფიალე ქართველს პეტრე ხარისჭირასშვილს კათოლიკენი ტერ-პეტროზ ხარისჩარიანცს უწოდებდნენ. ჩვენ აქ კიდევ მოვიყვანთ რამეს, რომ მით დამტკიცდეს უნებლიეთ წარმოთქმა პატრი დავითასაგან თავის შეცდომის, თორემ ამას სომეხთ ისტორიკოსმაც ისევე სომეხი უწოდა.

მხითარისტების მეოხებით ქართველთა შვილებმა იწყეს განათლება, გონებით გააზატება. ამ სასწავლებელში ქართველთა ძენი ყოველთვის ყოფილან. დღესაც არიან იქ რამდენიმენი და სამნი არიან ბერი კალატოზისშვილი, საფარაშვილი და მერაბაშვილი. მკითხველი მიხვდება, რომ სამივ ეს გვარი უნდა იყოს ძველი ძირეული ქართული გვარები, მაგრამ დღეს ამ გვარების წარმომადგენნი ბერნი მხითარისტები სრულიად სომხობენ, ქართველობა მათ ოცნებათ მიაჩნიათ. მერაბაშვილებით სავსეა რაჭა, ქართლი, სამცხეშიაც იყვნენ ძველათ არტაანისაკენ. დასავლეთ საქართველოს მერაბაშვილები დღეს მერაბიანცათ იწოდებიან. საფაროვიც ხომ VI საუკუნის ძველი ქართველი გვარია, მაგრამ დღეს მხითარისტს საფაროვს თავის გვარტომობის მომდინარეობის აღარა ახსოვს-რა. ამას კანი გადაბრუნებული აქვს, გული და სული გამოცვლილი, ორივე ესე მხითარისტები ღამურას ტყავებში არიან გახვეულნი. კარგი იქმნება, რომ საფარიანცმა გაიხსენოს სამცხის საფარის ტაძარი, მისი ისტორია, – საფარელთა გვარი და გაბრიელ კათოლიკოზ საფარელი VI საუკ. იქმნება ყველა ამაებმა რამე აღძრას მის გვამში, რადგანაც ასეთის კან-გამოცვლილის მოძღვრის მიმატებით არცა რა ბევრი სომხებს მიემატებათ, ეს მათვისაც არ უნდა იქმნეს კარგი.

მესამე დღევანდელი ბერი – მხითარისტ გალატოზიანცის

ძველი გვარი არის უცინარაძე. ესენი სამცხეს, ახალციხეს სცხოვრობდნენ. ოსმალთა მფარველობის დროს ერთ უწინარაძეთაგანს გვარათ კალატოზი დაერქვა, რადგანაც ხელობითაც კალატოზი ყოფილა – დღეს-კი გალატოზიანცია. ესლა ამ გვარის წევრნი ოზურგეთში სცხოვრობენ და გურულებათ ირიცხებიან. ეს გურული მხითარისტებს ისე გამოუწურთნავთ,

ისე გადუბირებიათ, რომ მის გვამში სულ აღმოუკვეთიათ ქართველობის ოცნებები. ყოფილა ისეთი დღეები, როცა ვენეტიკის მხითარისტი ოზურგეთში თავის მშობლებს ასე სწერდა: – „ეცადეთ, რომ დღეის შემდეგ სახლში სულ სომხურათ ილაპარაკოთ, რადგანაც ჩვენ სომხები ვართ, ჰაი კათოლიკები. ჩვენი დედა-ენა სომხური ენა არის, ჩვენი სჯულის ენაც სომხური ენა არის. ჩვენც სომხეთიდგან ვართ მოსულნი. აბა თქვენ იცით, თუ ამის სასარგებლოთ იშრომებთ და სახლში და კარში სომხობას დაიწყობთ“. გურული ქართველი მშობლები ძრიელ შესწუხდნენ ამაზე, მაგრამ რას იზავდნენ, შვილის სიტყვა შეისმინეს, ბევრი ეცადეს, მაგრამ სომხურ ენაზე ლაპარაკს-კი ვერ მიეჩვივნენ. ამ ბერმა ამ მხითარისტებში სახელი მოიპოვა, რადგანაც ამ ბერმა ქართული წერა-კითხვაც იცის და მცირედ ქართული წიგნებიც უკითხავს, ამის მეოხებით მხითარისტებს შეუტყვიათ, რომ ქართულს ენაზე არსებობს წიგნი „კავშირი" ფილოსოფოსის პროკლე დიოდოხოსისა, თარგმნილი ძველათ ბერძნულის ენიდგან და ასლად სომხურის ენიდგან ნამსაჯულევის იონე ორბელიანისაგან იმ დროის სომეხთა და ლათინთ მოძღვართ დახმარებით.

ბერი დიონოსე თფილისში მიტომ დაენიშნათ და გამოეგზავნათ მხითარისტებს, რომ ამ ბერს უნდა გაეშინჯა ეს ხსენებული ხელთნაწერი წიგნი და მის ბიბლიოგრაფია უნდა დაეწერა სომხურს ენაზე. ბერმა გაიცნა ხელთნაწერი თფილისში ყოფნის დროს. მე კარგათ გავიცანი ეს ბერი და შევატყე თამამათ, რომ მასში ქართველობის ყოველივე ამო-

ღადრული და გაწუწნილი იყო. მას ესიამოვნებოდა ქართველთ გაცნობა, მაგრამ არა იმ ჰაზრით მგონი, რომ შემდეგ ამათვის ერგო რამე, არამედ ქართველთ გაცნობის მეოხებით რამე გარეგნული ცნობები მაინც შეედგინა და მერე იგი სომხურს მწერლობაში გადაეტანა. ეს ქართველი უცინარამე-გალატოზიანცი ბერი ნამდვილი სომხის გვარის პატრიოტია, ნამდვილი სომეხთ მოძღვარი, სომხურის სულის და გულის მექონი. თვით ძველი გვარი უცინარამეც ოცნებათ მიაჩნიათ. ცხადი საქმეა, რომ ეს ბერები ამ რამდენიმე წლის შემდეგ ქართულ ენას სამუდამოთაც დაჰკარგავენ, ქართული მმწერლობა ისტორია და ერთობრივი ძალაც უბრალო რამეთ მიაჩნიათ. ამ ბერს თფილისში ლაპარაკი მოსვლოდა ქართველ გვარის კათოლიკეთა მოძღვარს მჭედლიშვილთან და ამ მოძღვარს აი რა ეთქვა: – გეუწყებოდეს შვილო დიონოსე, რომ ჩვენ ქართველები ვართ, ქართველის გვარისანი, ჩვენი ქვეყანაც საქართველოა, ჩვენი ენაც ქართულია და მწიგნობრობაც ქართული უნდა იყოს. არა შვილო, ეს არავის არგებს ასე, უარს ნურავინ ამბობს თავის გვარზე და ნურც იტყვით, ნუ დასტოვებთ, ნუ დაივიწყებთ ქართველობას, კარგი არ არის, ამიტომ არაფერი გა-

მოვა, გარდა მრევლის აშფოთებისა“.

მოძღვარი მჭედლიშვილი ძველი დროის მოძღვარი იყო და სომეხთ კათოლიკეთ ტიბიკონზე იდგა. იგი მტკიცე „ჰაი კათოლიკი" უნდა ყოფილიყო, მაგრამ არა, იბი ქართველი კაცი იყო და მიტომაც ქართველობდა, თუმცა სომეხნი-კი ტერ-პეტროზს უხმობდნენ. ამ მოძღვრის შენიშვნა მე სანა-ქემოთ დამიშთა დიონოსე ბერის წინაშე, რადგანაც მხითარი-სტებს უმაღლეს სასწავლებელში დღეს ქართველთა შვილებს თვით თათრულს, ჩინურს და ვინ იცის რა ენებს და მწიგ-ნობრობას არ ასწავლიან და ქართულზე-კი ხმასაც არ აღებინე-ბენ. განა ეს შეეფერებათ ჩვენ მეჭირნახულე კულტუროსან მოძმე სომეხთ კათოლიკებს.

– 48 –

უნდა ითქვას, რომ ქართველ გვარის მოყვარე მოძღვარ-ნი ძველის დროდგანვე ყოფილან აქა-იქ თითო-ოროლა. მათ კარგათ სცოდნიათ თავიანთი ქართველობა, მაგრამ საქმით-კი ვერა უკეთებიათ რა, რადგანაც სომეხთაგან დამონებული ყო-ფილან. ესენიც თურმე თავიანთ თავებს პატრის გორელის დავითასავებ სომხებათ აღიარებდნენ. ასეთ გარემოებაში ყოფილან შთაცვივნულნი მღვდელი გრიგოლ ბაღინაანთი, სტე-ფანე ხუციშვილი, მღვდელი ნავროზაშვილი, მღვდელი იესა-შვილი, მეფისაშვილი, ხოჯივანაშვილი, თუმანიშვილი და სხვე-ბი. ბევრნი ყოფილან ისეთი გულ-შემატკივარ მოძღვარნიც, რომ ამათ ხშირათ უსაუბრიათ ხოლმე ქართველთ ერთ-მეფო-ბისათვის და ქართლ-კახეთის და იმერეთის დაკავშირებაზე. ერთი ასეთ მოძღვართაგანი ყოფილა ივანე ხოჯივანაათი, რო-მელიც გარდაცვლილა 1809 წლებში. ამ მოძღვარს უცხოვ-რია წარსულს საუკუნეში, ახალციხეს, ხან ქუთაისს, ხან სხვა-და-სხვა სოფლებს. მას შეუდგენია ერთი ქართული ხელთნა-წერის რვეული, ე. ი. დღიური, რომელშიაც აწერილია ამბე-ბი 1763-1808 წლებამდის. ამ დღიურს მისიონარული ხა-სიათი ჰქონია მიცემული, თუმცა შიგ ძლიერ ბევრი ცნობები ყოფილა მოთავსებული საქართველოს შესახებ, მეფეების, ერის, ნამეტურ იმერეთის მეფის და სამეფოს მდგომარეობისათვის.

მოგვითხრობენ, რომ მეტათ საინტერესო დღიურიაო. ამის რამდენიმე ფურცელი ჰქონია პატივცემულს ვინმე მესხს. უმეტესი ხაწილი ფურცლებისა ადრევე დაკარგულა. მთელი დღიური-კი ამ მოძღვრის გვარის კაცთა ხელშია დაშთენილი. ბევრი რამაც-კი აქა-იქ გაპნეულა. ამ მოძღვარზე არა ნაკლე-ბის სიყვარულით ყოფილა აღვსილი ქართველ კათოლიკეთა მოძღვარი ანტონ ხუციანცი-ხუციშვილი, ხიზაბავრელი. ორივ ახალციხეში გასდილან, მერე მხითარისტებში ყოფილან და შემდგომ მის რომის „პროპაგონდოში" სწავლის დამთავრე-ბის შემდგომ სამშობლო ქვეყანაში დაბრუნებულან. ანტონ ხუციანცს (!) ხიზაბავრაში 50 წელს უმღვდლია, გარდაცვლილა

1859 წ. მოხუცი. ეს პირი ყოფილა მომსწრე ძველის ქართველ გვარის კათოლიკეთა მოძღვრების, რომელთაგანაც მას ძრიელ ბევრი ძველი ამბებიც შეუკრებია. ეს მოძღვარი მეტათ მხნე ყოფილა, 300 ხელთნაწერი ქართული წიგნი დაუწერია. ზოგი ხელთნაწერი „დაბადების" ტანის ყოფილა. გარდა ამის თვით ძველის დაბეჭდილის „დაბადებიდგან" გადუწერია მხედრულათ. ასეთ დიდ შრომის მოყვარეობის გარდა იგი ყოფილა შესანიშნავი მოქანდაკე, ჩუქურთმის მჭრელი, შესანიშნავს ყვავილიანს ქართულს ასოებს ხატავდა და სჭრიდა, ბეჭდავდა კიდეც. ფერადის წამლებითაც კარგათ იცოდა თურმე მხატვრობა. ყველა ამაობთან იგი ყიფილა მქადაგებელი მოძღვარიც. თავის დროს ამას ხიზაბავრელების დახმარებით ძრიელ ბევრი ქართველთ ტყვეები დაუხსნია ლეკებისა და ოსმალებისაგან და ქართლში დაუბრუნებია. ამისაგან დახსნილ ქართველთ ტყვეთა რიცხვი ერთობ დიდია. ასეთისავე თვისების პირათ სჩანს ქართველთ კათოლიკეთა მოძღვარი ანტონ თუმანიანი, თანამედროვე პირი შაჰყულიანისა, ერთათ გაზდილნი „პროპაგანდოში", ერთათვე დაბრუნებულნი საქართველოში 1795 წელს. ამ მოძღვარსაც მშვენივრათ სცოდნია ქართული წერა და მასთანვე ძრიელ ბევრიც უწერია ქართულს ენაზე სხვა-და-სხვა ისტორიული წიგნები. ბევრი რამ საქართველოს საისტორიო მასალებიც დაშთენია, მაგრამ ყველა ესენი მის სიკვდილის შემდეგ აქა-იქ უღვთოთ გაპნეულან მის ნათესავებთ შორის: თფილისს, გორს, ქუთაისს, ახალციხეს და ბათუმს. ეს მოძღვარიც მკაფიოთ ქართველობდა, სამშობლო ენეზე წერას მისდევდა.

მხნე პ. ხარისჭირაშვილის მარჯვენა მკლავი იყო მოძღვარი ივანე მამულაშვილი, მხითარისტი, ქართველობის დიდი მეტრფე. ვენეციაში დაბეჭდილი წიგნების თარგმანნი ამისაგან არის დაწერილი. ამაებს გარდა სხვაც ბევრი მასალები დაშთენია ქართველთ გვარის სასარგებლოთ. ამის გულის ძგერა, მაღალის უსამზღვროებით აღფრთოვანებული ნატვრა ყოველ-

თვის ქართველ კათოლიკეთა ქართველ გვარით დარჩენას ჰღაღადებდა. ეს მრავალ გზის შებმია ქართველ კათოლიკებს და უღვწია ჭეშმარიტების სასარგებლოთ. თვით თავის გვარიდგან იწყებს დავას და კამათს. როგორ, მამულაშვილი და სომესხიო? – ეს შეუძლებელიაო! ამ გვარის წევრნი მთლათ ქართველ გვარს ეკუთვნიანო. გავიდა ხანი, მსწავლულ მოძღვრის ქადაგებამ უნაყოფოთ არ ჩაიარა, მის ქადაგებას ბევრი პატივის მცემელი გამოუჩნდათ. მათ აიყოლია მთელი გვარეულობა კათოლიკებისა და უკანასკნელ ხანებშიაც-კი, ერთი ქართლელი, მამულაშვილი, სულით და გულით შეემსჭვალა ქართველობას. ამას აქ ალაგი არა აქვს, მაგრამ აღსანიშნავათ მის, რომ რაც კეთილია და ჭეშმარიტი, ის არა დროს არ უნდა დაიკარგოსო. მხოლოდ ამის საბუთად და ჩვენს საიმედოთ ვასახე-

ლებთ ამ ფაქტს, თორემ ასეთ საქმეების გამო მე ინდიფერენ-
ტიული შეხედულება მაქვს.

ყველა ამ მოძღვრებს დიდათ სურდათ, რომ ქართულს ენაზე ბეჭდვაც დაეწყოთ. ამისთვის რასაკვირველია ახალციხეში ქართული სტამბის გახსნა იყო საჭირო, მაგრამმხნე მოძღვარნი ვერ მოესწრნენ ამას, ჰაზრი ვერ განუხორციელდათ, ახალციხეში ქართული სტამბის საქმე ვერ მოხერხდა, – მხნე მუშაკნი განვიდნენ ამ სოფლით, უმადურობით ყოფილნი გარდაიცვალნენ, ქართული მწიგნობრობის ვრდომილებამ მათ სასოება წაართო. მათ მოადგილეთ მომავალში პეტრე ხარისჭირაშვილი გამოვიდა, რომელმაც განახორციელა ხსენებულ მამებთა ნატვრა და ამან ქართული წიგნების ბეჭდვაც დაიწყო ახალციხის მაგიერ ვენეტიკს, კონსტანტინოპოლს და ფრანციას. დღეს-კი ამათ წარმომადგენლობა მქრალდება, აქა-იქ მიბჟუტვით თითო-ოროლა ქართველთ კათოლიკეთ მოძღვარნიღა სჩანან. დანარჩენი სულ სომხათ იწოდებიან. უნდა ვსთქვათ, რომ ყველა ჩვენ მიერ ქართველთ მოძღვარნი სომეხთ კათოლიკეთა ტიბიკონზე იდგნენ, ყველას სახელი და გვარებიც სომხურათ ჰქონდათ გადაკეთებულნი – ტერ და იან-

ცები – უხვი იყო მათში. კეთილი მოძღვარნი თითქმის მიბირებულნი და ცთუნებულნი იყვნენ. ჯერ დღეს, ამ მეცხრამეტე საუკუნეში, რომ ქართველთ ღვიძლთ შვილებთ შორის სომხობა ანუ „ჰაი კათოლიკობა" ასეთის უნებლიეს ცთუნებით იყო მითვისებულ-გავრცელებული, აბა XVIII საუკუნეში ვიღასთვის უნდა ყოფილიყო ის საეჭვო, რომ დავითა პატრს თავის თავი სომხათ არ ეღიარებინა. იყო ძველათაცა და დღესაც ქართველთ კათოლიკეთა მოძღვართ შეცდომა, რომ თვით მოქართულე მოძღვარნიც-კი თავიანთ ვინაობას სომეხ კათოლიკეთ აღიარებდნენ.

ბევრნაირს გარემოებას გარდა, ქართველებში სომეხთა გვარის სიყვარული – პირდაპირ ქრისტიანობის სწავლა-მოძღვრების მეოხებითაც მიდიოდა წინ. მეომარ და მხნე ქართველს სულ არ ჰქონდა სარწმუნოებრივი მხარეების ჩთუნება გრიგორიანთა წინაშე. ქართველთ ჰრაზმავდნენ მტრები მხოლოდ კათოლიკების სამტროთ, სომეხთადმი სიყვარულს-კი ისე აზვიადებდნენ, რომ ქართველთ მათ დაუთმეს თელეთის ეკკლესია თავის მამულებით, ბეთლემის ღვთისმშობელი, დღეს ფეთხაინათ წოდებულთ აღშენებული V საუკ. ქართველთ დაჩი ხოსროვიანისაგან. ნიკოლოზის ეკკლესია, დღეს სუფნიშნათ წოდებული, მეიდნის წმინდა გიორგის ეკკლესია და ვინ იცის რამდენი კიდევ სხვები საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებში. სომეხთა ქრისტიანულის სიყვარულით აღვსილნი თვით თვით მეფენიც. ესენი მათ აძლევდნენ თავადის შვილობას, აზნაურისშვილობას და მრავალთ ქართველთ ნებასაც-კი აძლევდნენ, რომ იგინი გრიგორიანობას დაკავშირებოდნენ, ხოლო ყველა ამაებს რა მომავალი მოსდევდა და რა სარგებ-

ლობის მომტანათ დაშთებოდა მომავალში ქართველის გვარის წინაშე, ამას-კი ყურადღებას არავის აქცევდა. ამის გაგება და შეტყობა მათვის შეუმცნევლათ შთებოდა. ეს მხოლოდ უკანა-სკნელს ხანებში იქმნა შენიშნული. გამოჩნდა კარგათ, რომ ქართველთ ქრისტიანულმა სიყვარულის აზვავებამ ქართველთა

გვარის წევრთ ნელ-ნელა უწყო აქეთ-იქით მიკედლება, ქართ-ველთაგან განთვისება და ჩანთქმა არამც თუ გულუბრყვილო მდაბიოთა, არამედ ისეთ მხნე მოძღვართაც, როგორიც იყო პატრი დავითა.

სჩანს პატრ დავითას სმენა ჰქონია თავის გვარტომობის და იმ შეცდომის, რომ იგინი სომხათ იწოდებოდნენ, – ამის საფუძვლათ ვხმარობ მის მოხსენებას, რომლითაც კარგათ სჩანს მის მიერ ლათინურს ენაზე დაწერილს წინასიტყვაობაში, სადაც ეს მოძღვარი თავის თავის სომხობის შესახებ არას სწერს. ეტყობა, რომ იგი ამ გარემოებას მხოლოდ სარწმუ-ნოებრივის გავლენის მეოხებით ემორჩილებოდა. რაკი ქართ-ველთა გვარის წევრთ სომხათ ხმობა ადრევე შესულა ხმარე-ბაში, ამიტომ მასაც არ მიუქცევია ყურადღება და ამ გარემო-ებას ისიც დახმარებია, რომ იგი სომხურათ ყოფილა უფრო გაზრდილ-განათლებული.

რომში სწავლის მიღების დროსვე იგრძნა დავითამ სა-ქართველოს ქართველთ კათოლიკეთ ენის და გვარ-ტომობის ვითარება. ამან ამ გვარის ენის სასარგებლოთ დაინახა ქარ-თულს ენაზე წიგნების დასტამბვა. ეს გვამი მალე შეუდგა ქართულ ენაზედ ლოცვების თარგმნას. რამდენიმე ხნის შემდეგ მან უკვე მოამზადა ქართულს ენაზე გრცელი „საქრის-ტიანო მოძღვრება". წიგნის თარგმნის ამბავი პაპს კლიმენ-ტის ეუწყა, რომელმაც სიამოვნებით მიიღო. პატრს დავითას დახმარება მისცეს და მალე რომის ძველი ქართული სტამბა განახლდა, რამდენიმე ხნის შემდეგ წიგნის ბეჭდვასაც შეუდგ-ნენ და 1733 წ. უკვე გამოიცა რომში გრცელი საქრისტია-ნო მოძღვრება. წიგნის ფურცელზე, ლოცვებში მოიხსენება, როგორც მფარველი ქალთული ენის, კარდინალი სტეფანე ბორჯაანთი, აი როგორ:

„მოცემულ არს ქალაქსა რომისასა, ზემოხსენებუ-ლის წმიდის კრებისა „ფროფაგანდო ფიდეს“ პალატისა-გან, დღესა 5 აპრილს, წლისა უფლისა 1772 წ. სტეფა-

ნე ბორჯაანთი, ხსენებული კრებისა მწიგნობარი, რომე-ლი არს ჟამსა ამის ქართულად თარგმნობისა, წმიდისა რომის ეკკლესიისა კარდინალი“.

სტეფანე ბორჯაანი ჩვენს ისტორიულს და რომის სამ-ღვდელოების ცნობებით XVII საუკ. სჩანს, როგორც საქარ-თველოში ყოფილა მოძღვარი და რომის ქართული სტამბის

დაარსების მეშრობ მოღვაწე, აგრეთვე „პროპაგანდოში" ქართული ენის კათედრის დაარსების მოსურნე და ერთ დროს ქართული ენის პროფესორათაც ყოფილი. ვფიქრობთ, რომ ეს პირები სხვა-და-სხვა პირები უნდა იყვნენ. რომში დაბეჭდილი წიგნები სტამბოლის გზით საქართველოში გამოუგზავნიათ და მოუფენიათ ართვინს, ახალციხეს, გორს, ქუთაისს, თფილის და ზოგიერთ სხვა ადგილებში, სადაც მაშინ ქართველ კათოლიკებს ქართული ენა ჯერეთ დავიწყებული არ ჰქონიათ. წიგნებს მუქთათაც არიგებდნენ ხალხში განურჩევლად სარწმუნოების. ქართველნი იტყოდნენ ხოლმე, რომ წიგნების ბეჭდვაც პატრების მოგონილიაო, რას არ მოიგონებენ ფრანგის პატრებიო. ესენი რომ გახტანგ მეფის მეგობრებათ არ ყოფილიყვნენ, მაშინ ვერც ვახტანგი გახსნიდა სტამბასაო, მაგრამ ეს სულ ფრანგის პატრების ბრალიაო.

კონსტანტინეპოლის კათოლიკეთა ძმობის წევრთ დიდი ამაგი მიუძღვისთ ქართველებზე. ესენი ჰპატრონობდნენ და ქომაგობდნენ ქართველთ. ამათის წახალისებით მიდიოდნენ ქართველნი რომში სასწავლებლათ. წამსვლელი და მომსვლელი ყოველთვის ამათთან ისადგურებდნენ. ქართული მწიგნობრობის საქმესაც ესენი უწყობდნენ ხელს. კათოლიკის ეს ძმობა ასეთს საქმეებს გარდა, კონსტანტინეპოლში ბეჯითად ადევნებდნენ თვალს ქართველთ ტყვეებს და ესენი ხშირათ ათავისუფლებდნენ მათ. მათის მეოხებით იმ დროს კონსტანტინეპოლში 1500 კომლზე მეტი ქართველ კათოლიკენი ყოფილან, რომელზედაც ძმობას დიდი მზრუნველობა ჰქონდა მიქცეული. ქართულს წიგნებს მათში უფრო ეძლეოდა ბინა,

იქ უფრო ვრცელდებოდა, რადგანაც უცხოობაში მყოფნი ქართველნი უფრო მისდევდნენ სამწიგნობრო საქმეებს, თუმც მათს ასეთს მიმდევრობას დიდი ხნის ბოლო არ ექმნა, შემდეგში იგი შეიკვეცა და მთელმა რიცხვმა დაკარგა დავის ენა და გვარტომობა. დღეს კონსტანტინოპოოლში ქართველთ კათოლიკეთ რიცხვი სრულიად გამქრალია. ეს რიცხვი არავინ იუცხოვოს, რადგანაც მაშინ საქართველოდგან ქართველთა შვილები გემებით გაჰყვანდათ ოსმალეთში და იქ ამათ ერთობ კაი ფასათაც ჰყიდნენ. ეს ხომ ისტორიულათაც დამტკიცებულია. ამოდოლ გაყვანილთ ქართველთ რიცხვი ხომ სულ არ ეთვისებოდნენ მუსლიმანობას. მრავალნი თათრობაზე გადასულნი მერე ქრისტიანობას უკავშირდებოდნენ, იქ-კი – უფრო, სადაც მეტს მფარველობას ხედავდნენ. ესეთი ებედური მდგომარეობა ქართველთა არავისთვის იყო დაფარული და მით უფრო ლათინთ პატრებისთვის და ნამეტურ პატრის დავითასი და ასეთ ქართველთ მოძღვართათვის. ახალციხის, ართვინის და სხვა კუთხეების ქართველთ კათოლიკეთა მოძღვარნი იმავ თავითვე დიდის მამულის მოყვარეობით სჩნდებოდნენ. გარემოებას რომ მათი ცხოვრების და მიმართულების საქმეები არ დაეხვანჯა, დღეს აქ მცხოვრებთ კათოლიკენი გაცილებით ჩვენ-

ზე წინ იდგებოდნენ მამულის და ქართველობის სიყვარულით, მაგრამ უბედურმა მოვლენამ და სომეხთა ძალამ აქ ქართველთ მოძრაობის და აღორძინების წარმატება შემუსრა, დააფერფლა, ჩაყლაპა ყველაფერი, გაანადგურა მთელი მხრის ქართველობა. აქ ქართველთა კვალის ოდესმე ცხოვრების ცნობანიც-კი საეჭვოთ გახადა თვით პატრის დავითასთვის და ზოგიერთ ისეთ სომეხ კათოლიკეთა ძეთათვისაც, რომელნიც სომხურს ენაზე მწერლობენ კიდეც და რომელნიც ქართველ კათოლიკეთა შთამომავალნი არიან, მაგრამ დღეს სრულიად გადაბირებულნი.

ეს სამწუხარო მოვლენა ჩვენ დრომდის კარგათ ემჩნევათ ართვინის გადაგვარებულთ ქართველთ კათოლიკებს, რომელთაც დღეს ქართველობის აღარაფერი სწამთ. იგინი სრულიად

სომხები არიან. ცნობა არის, რომ ოსმალოს სამფლობელოს ადგილებში მცხოვრებთ ქართველთ კათოლიკეების დაკარგვის და გადაბირების შემდეგ პირველად გაგვარების მხვედრი ართვინის კათოლიკებს შეესვათ გარსო. მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისს აქ სომხობის ტრფობა უკვე წინ წასული ყოფილა. ვიცით, რომ საქართველოს უპირველეს ძალათ და ქართველთ გაგვარების ფუძეთ ართვინი იქმნა მიღებული. თვით პატრი დავითაც კარგა ხანს ყოფილა ართვინში, ჯერეთ საქართველოდგან რომში განსვლის დროს და მერეც, როცა უკვე ბერათ ყოფილა და საქართველოში დაბრუნებულა. ამას ართვინში უცხოვრია და შემდეგ საით წავიდა, რომში დაბრუნდა თუ საქართველოში, ამის ცნობები არ სჩანს. სჩანს მხოლოდ ის, რომ ამ ბერს დიდი ყურადღება ჰქონია მიპყრობილი ოსების სარწმუნოებრივ რწმუნებებზე და ცხადი საქმეა, რომ ეს გვამი ამ ერის შესახებ რომში მოხსენებებსაც წარადგენდა, მრავალს წერილებსაც დასწერდა ამათ შესახებ.

პატრი დავითას გადაგვარებას უნდა დაუკავშირდეს ისტორია მთელის ქართველთ კათოლიკების გადაგვარებისა. უამისობა არ შეიძლება. როგორც სჩანს, პატრი დავითას საქართველოში ყოფნის დროს ახალციხეს უნდა ესწავლოს კათოლიკების სკოლაში, მერე ართვინს გადასულა, რადგანაც ართვინში უფრო წარმატების გზაზე მდგარა კათოლიკობა. აქ უფრო მეტი ეკკლესიებიც ყოფილა, ხალხი და ფართო სასწავლებელიც, სადაც ქართველ ძეთ სომხურის ენით ამზადებდნენ, სომხურს ტიბიკონზე აყენებდნენ. ასე რომ უმთავრეს შტოთ ქართველთა გადაგვარების ჩვენ ეს ქალაქი და სასწავლებელი უნდა მივიღოთ. რაც იქმნა და რაც მოხდა, სულ ამ პატარა ძველ ქალაქ ართვანის მცხოვრებთ ქართველთაგან მოხდა. პირველად პატრი დავითას აქ ჩაუნერგეს სომხობის სიყვარული და „ხოსტოვანიმ არაჯი ასტუწო“, რომელსაც ეს თავის თარგმანში ხმარობს და სწერს, რა დროსაც წირვის დროს მღვდელი ამ სიტყვებს იტყვის სომხურათ, მაშინათ-

ვე მლოცველმა თავი და ტანი ენდა მოიდრიკოსო. კეთილი. ჩვენ ამ საგანს უყურადღებოთ არ დავსტოვებთ, აქ ამაზე საკმარისად ვრცლად უნდა ვისაუბროთ და გამოვარკვიოთ მიზეზი პატრი დავითას ასეთის მიბირებისა. ეს გამორკვევა ნათლათ დალეწავს და შემუსრავს იმ ოცნებას, რომ ვითომც კათოლიკები სომხის შთამომავალნი არიან, ვითომც ძველათ ქართველ კათოლიკებს სომხურს ენაზე ჰქონდათ წირვა-ლოცვა შედგენილი და რასაც უეჭვოთ ამტკიცებს პატრი დავითას ცნობა. კათოლიკე თუ სომხები არ იყვნენო, მაშ რათ ჰქონდათ მათ წირვა-ლოცვა სომხურს ენაზე გამართულიო.

პატრი დავითას მოწმობით ეს ასე სჩანს ცხადათ, რომ იმ დროის ქართველთ კათოლიკებს სომხურათ ჰქონიათ წირვა-ლოცვა შედგენილი. თვით კათოლიკენიც სომხის გვარათ უნდა ვიგულისხმოთ. ეს კეთილი, კარგი და პატიოსანი, თუ მართლა ასე გახლდათ. ნეტა ვიღა აწუხებდ იმავე პატრს დავითას, რომ სომხურ ენაზე ლოცვის წეს-რიგთა ახსნას ქართულად სწერდა და ბეჭდავდა რომში ვეეება ტომს. ამას მგონი ადვილათ ვერ შესძლებდა, ცოტა ფული არ მოუნდებოდა შრომას გარდა და მეორე, სომხის გვარის კათოლიკეთათვის ქართულს ენაზე წიგნსაც არ დაბეჭდავდა. სომხის შთამომავალთ ვითომც გაქართველებულთ კათოლიკეთათვის თავებს იკლავდნენ, რომ ესენი რათ გაქართველებულანო. დღე და ღამე მათ სომხურ ენას აყვარებდნენ, ასწავლიდნენ და აკითხებდნენ და ასეთის ტომისთვის ქართულს წიგნს დაბეჭდავდნენ, ეს ლოღიკის წინაღმდეგია. ამას სომხის გვარის მოყვარე მოძღვარი სომეხთა ძეთათვის არ იზავდა, არაფერს დაბეჭდავდა ქართულს ენაზე, რადგანაც ასეთი მამები მკაცრათ სპობდნენ ქართველობის ყოველს ჰაზროვნებას თვით ნამდვილ ქართველთ გვარის კათოლიკებში. ასეთმა მეცადინეობამ ჩანთქა ქართველ კათოლიკენი და სრულიად მოაცილა ქართველთა ტომის ნათესაობას.

თვით პატრი დავითა იყო ქართველი გვარის. იმ დრო-

ის კათოლიკებიც ქართველები იყვნენ. ესენი სომხის ტიბიკონზე იდგნენ, ყველაფერი მათთვის სომხურს ენაზე სრულდებოდა. მრევლმა სომხური ენა სჯულის ენათ იწამა, მაგრამ მრავალნი მაინც თავიანთ თავებს ქართველებათ იცნავდნენ, ქართველ გვარის და ენის ერჭო ერათ. ერის ასეთმა მოქმედებამ მისცა საფუძველი პატრს დავითას ქართულს ენაზე საჭირო წიგნის დაბეჭდვა და მის მეოხებით დედა-ენაზე კითხვა საეკკლესიო ლოცვების. უამისობა არც შეიძლებოდა, რადგანაც იმ დროის ქართველთ კათოლიკეთ შორის ქართულ ენას შესამჩნევათ აზვირთებული ადგილი ეკავა. იქ თუ მოხდა შემთხვევა და ქართული ენა მოისპო, ეს იმ გარემოების მეოხებით, რომ კათოლიკობა ართვინისკენ თვით ქართველთ მეფეთა მფლობელობის დროსაც ყოფილა მოფენილი. იქ ყოფილან

ქართველ გვარის კათოლიკენი, რომელთა წინაპართა ისტორია ძველ დროს უნდა ეკუთვნოდეს.

„ართვინში, სომხის კათოლიკების ხელში ნამყოფ კორძულის ეკკლესიაში დღესაც ინახება 1501 წ. შედგენილი გუჯარი, რომელიც ქართველ კათოლიკებს შეუწირავსოთ კორძულის ეკკლესიის გარშემო ადგილ-მამული. სხვათა შორის გუჯარში მოხსენებულია, რომ ის შედგენილია რომის სიქსო პაპის დროს“.

ამ ცნობის მომცემი ბ. ლევან მჭედლიშვილი, ქართველი კათოლიკი, წერილს დასძენს ასე:

„ამ გუჯრის მეოხებით ვრწმუნდებით ნათლად, რომ ართვინში 1500 წლებში ქართველ კათოლიკეთა რიცხვი ისევე უნდა ყოფილიყო გამრავლებული, როგორც ახალციხეში, რადგანაც მამულების შესაწირავს გუჯრებსაც-კი ქართულად სწერდნენ და არა სომხურად“.

ამას რაღა ეჭვი უნდა, რადგანაც იმ დროს და იმაზე წინათაც და მემდგომაც ქართულს მოსაუბრე სომეხნი დასავლეთ საქართველოში სრულებით არავინ სცხოვრებდა, ნამეტურ ართვინისკენ. აქ მაშინ რა ხელი ჰქონდათ სომეხთ, მთე-

ლი მხარე ქართველის ტომით იყო დასახლებული და სავსე. სომხებმა ქართულს ენაზე მხოლოდ მეთექვსმეტე საუკუნეში ამოიდგეს ენა და ისიც ქართლსა და კახეთში. იმ დროს რომ კათოლიკები იყვნენ და ესენი თუ მართლა სომხების სიტყვით სომხის გვარს ეკუთნოდნენ, აბა სომხის გვარის შთამომავალნი და ქართული ენის არ მცოდნენი რაფერ დასწერდნენ ქართულს საეკკლესიო გუჯრებს. ეს არა დროს არ მოსდებოდა სომეხთაგან. გინდ საჭიროც რომ ყოფილიყოს ქართულად დაწერა, მაშინაც არ დასწერდნე: მეორე თვით ერიც არ იზავდა ამას, რადგანაც ერს თავის თამი ქართველათ მიახნდა, ერი კარგა ხანს მაგრობდა ქართველობით და ამ სიმაგრეს პატრი დავითასაგან დაბეჭდილი ქართული წიგნის ისტორიაც ამტკიცებს და შემდეგი ცნობაც, რომელმაც ჩვენ დრომდის უცვალებლათ მოაღწია.

„ბატონს პატრი: უფროსს: და უმთავრეს. მამას. სამღრთო სიბრძნით სავსეს. და სამღრთო მოქალაქობით აღზრდილსა.

ქ. ცოდვანი: ერნი ვალის: ზოგად კათოლიკებათა: ქართველთა გვარისანი უმწყემსოდ დაცვივნულნი მცხოვარნი: პირველად: ღვთისაგან. რჩეულსა და მერმე. წმიდის კრებისაგან აღმორჩეულსა: აღმოსავლეთის კათოლიკე ეკკლესიისა: შვილებზედ: ზედამხედველად: დადგინებულსა: ჩვენ ცოდვილნი და რ... ღირსად წოდებულნი კათოლიკე სარწმუნოებისა... ქედ დადრეკით და დავრდომით ჴელპყრობილნი საღმთოსა მის ფერხთა ანბორებას მიუძღვნით ახლა. ამას გეხვეწებით:. დავცენჯებით რომ: ჩვენ: რიგის: მღდერი: ღმერთს გამოუგზავნია: ჩვენ-

თვის: და ეგ: ჩვენი:. კათოლიკე: მამები: აყენებენ ახლა:
ამ. წყალობას: ვითხოვთ თქვენის. რომ ჩვენ. საბრალო:
სულებს: მოუაროს: ჩვენს: ქართველ რიგზედა: არა თუ:
იმ: შეჩვენებულს ფოციოს: რიგზედა: მაგრამ. იმ წმინ-
და მამის: იოანეს. ოქროს: პირის: რიგზედა: ახლა: თუ

იკითხოთ ჩვენი ნამყენობა: ლათინთ: ნამყენი: და ნამ-
ყოფნი: დამოწაფებულნი. დამონადირებულნი ვართ. არა
თუ სომეხ გვარისაგან: და. ესეც უწოდეთ: ბატონო:
დიაღ ბევრი. სულებს შეგვძინავს ღმერთი.

ამ წიგნის მოწამეა ქ. პირველად ტერ სიმონი, ქ.
მისი ძმის: წული ეფრემა. ქ. ალექსანდრე. ქ. ელიზბა-
რი. ქ. ყარაგოზი. ქ. დავითი, ქ. ამოსტოლი. ქ. მესრო-
ფი. ქ. ასლანი. ქ. ჯოჯოი. ქ. სუნბულა. ქ. პეტრე. ქ.
ისაი. ქ. პავლე. ქ. ოქროი. ქ. შიოი. ქ. ცაცო. ქ.
თათ...
მოხეული აქვს ბოლო.

პატრი უფროს მიერთვას,-ბეპდვის ადგილი.

ამ ცნობიდგან აშკარათ სჩანს, რომ ერი ითხოვს ქარ-
თველ მღვდელს, რადგანაც ჩვენ ქართველ გვარის რომის კა-
თოლიკენი ვართ და არა სომხისო. მუხლ დადგმით გევედრე-
ბით, რომ ჩვენი ამოდოლი სულები შეიბრალოთ, მოგვხედოთ,
ჩვენი რიგის მღვდელი მოგვეცეს და მით დახსნილ ვიქმნეთ
წაწყმედისაგანაო. გონი რომ აქ ეჭვი აღარ უნდა გვქონდეს
ქართველთ კათოლიკობის გვაროვნობის სინამდვილეზე, ცხა-
დი საქმეა, რომ თუ ქართველი ერი გრძნობდა ასე თავის
გვარტომობის ვითარებას, რომ ამათზე უკეთესათ პატრ და-
ვითას არ ეგრძნა თავის გვარტომობის ვითარება, მასზე ფი-
ქრიც არ ჰქონოდეს, ეს რომ ასე არ იქმნებოდა, ამას ცხადათ
ამტკიცებს მისგან ნაშრომნი ქართულს ენაზე და ქართულად
დასტამბული ლოცვის წიგნი, რა ლოცვებიც ადრე თურმე
ქართველთ კათოლიკეთ შორის სომხურის ენით იკითხებოდა.
ამ საქმეს პატრმა დავითამ მიაქცია ყურადღება და კათოლიკეთა-
თვის ლოცვები ქართულს ემაზე დასწერა, ქართული ასოებით
დაბეჭდა. მაშ ქართველ კათოლიკები თუ არ არსებობდენ, პატრს
დავითას რა აწუხებდა, რომ იგი თავს იცხელებდა და სომხის
გვარის კათოლიკებისთვის ქართულს ლოცვის წიგნს ბეჭდავ-
და, ეს ხომ მათი მოძრაობის წინააღმდეგი იქმნებოდა. ეს არ

შეიძლება, ამას ვერც ერთი სომხის გვარის მღვდელი ვერ
გაბედავდა.

რაც მოხდა და გარდახდა ჩვენს ტომს, ეს მოხდა პირ-
ველი მის მეოხებით, რომ დასავლეთ საქართველოში კათო-
ლიკობა ადრევე აღორძინებულა, მეორე იქაურნი ქართველნი
ოსმალთა დევნულების გარდა დიდს უპატრონობაშიაც შთა-

ცვივნულან. ქართველთ მდგომარეობა აქეთ ისე მოეწყო და მოემართა, რომ ქართველს თავის გვარტომობის მფარველობის ჰაზრები მთლათ ამოეწმინდა გონებიდგან. აი ერთი ასეთის დავრდომილების მაგალითი:

არტაანი (არდაგანი) ოსმალებმა აიღეს, რამდენიმე ხნის შემდეგ დამონებულ ქართველთ გათათრება დაუწყეს. ბევრის ტანჯვის შემდეგ გათათრდა მთელი ერუშეთი. დარჩა მხოლოდ ორი სოფელი ქართველთა, რომელნიც ძრიელ მაგრა იდგნენ სჯულზე და არ თათრდებოდნენ. მთავრობას მობეზრდა ამათთან ბრძოლა სჯულის გამო, ესენი ოსმალთ ჭკვიანურათ აძლევდნენ პასუხებს. თათრის მოლა-ხოჯებმაც მომავლისთვის გადასდეს ამათი გათათრება. ქართველნი თავიანთ სოფლებში ცხადათ ქრისტიანობდნენ. ამ დროს არდაგანში ვიღაც გათათრებული ქართველი მჯდარა ფაშათ. ეს ფაშა ავათ გამხდარა, შეწუხებულა, ექიმებს ვერაფერი უშველიათ. ავადმყოფთათვის უთქვამსთ, რომ ახალციხის ფაშის ხელ ქვეშ სცხოვრებენ ფრანგის პატრებიო. ერთი მათგანი ძრიელ ექიმობსო. ახალციხის ფაშას სთხოვეთ, ის პატრი მოვიდეს აქ და მოგარჩენსო. ფაშამ მაშინათვე გაუგზავნა ახალციხის ფაშას თხოვნა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ახალციხის ერთ ექიმ მსწავლულ პატრთაგანი არდაგანში ფაშის კარზე გაჩნდა და ფაშას წამლობა დაუწყო. პატრი კარგი ექიმი ყოფილა, ფაშა მალე მოურჩენია. მორჩენის შემდეგ ფაშას უთხოვნია პატრისთვის, რომ მცირეოდენ ხანს ჩემთან დარჩითო, რომ უფრო კარგათ გავხდეო. პატრს უთქვამს:

– ფაშავ! მე აქ დადგომის დრო არ მაქვს და არც ნება ჩვენის უფროსისაგან. უნდა მოგახსენოთ, რომ მარტოთ აქ ექიმობისთვის როდი ვარ მოსული, ახალციხეში მიტომ ვსცხოვრობ, რომ იქაურს უმღვდელოთ დატოვებულს ქართველებში ქრისტიანობა გავავრცელო. ჩვენ მხოლოდ ამისთვის ვსცხოვრობთ, ამისთვის ვართ აქ მოსულნიო.

– ძრიელ კარგი, მაგ საქმეში მეც დაგეხმარებით, აი, მთელი ერუშეთის ხალხი გათათრდა, აქ ახლოს დარჩა მსოლოდ ორი სოფელი გაუთათრებელი, წადით იქ და ის ხალხი გადიყვანეთ თქვენს ქრისტიანობაზე. ამისთვის მეც მოგცემთ დახმარებას. ამას თუ არ მოახერხებთ, მაშინ დღეს თუ ხვალ მათაც გათათრება მოელისთ. იმათ ქართველათ არ დავსტოვებთ. თუმც მეც არ მსურს მათი გათათრება, მაგრამ ბძანება ასე გახლავსთ.

პატრი დასთანხმდა, იქ დარჩა, მალე წავიდა ხსენებულს სოფლებში და გაიცნა ქართველობა. ნახა, რომ მათ შორის თათრობა უკვე შეპარულიყო და თითო-ოროლა ქართველნი მოლა-ხოჯებს უკვე მიეზიდნათ თვისკენ. პატრი მალე დაუახლოვდა ქართველთ, იგი ქართველთ მფარველათ აღმოჩნდა. ქართმოლთა დიდათ შეიყვარეს პატრი. პატრმა ქრისტიანობის

შესახებ აუწყა.

– შვილებო, თქვენ იცით, რომ დღეს თუ ხვალ გათა-
თრება მოგელისთ. როგორც მთელი ერუშეთი გათათრდა, ისე-
ვე გათათრდებით, უამისობა არ შეიძლებაო. ოსმალნი
ქრისტიანობით არ დაგტოვებენ თქვენ. თქვენ შეუერთდით
წმინდა რომს, წმინდა პაპის ტახტს, თავი ქრისტიან ფრან-
გათ აღიარეთ და ოსმალნი მაშინ აღარ გაგათათრობენ, რადგა-
ნაც ოსმალთ და რომთა პაპის შორის ამის გამო ხელშეკრუ-
ლობა არის დადებული. თქვენ ამით ქრისტიანათ დაშთებით,
თორემ ქრისტიანობას მთლათ დაჰკარგავთ.

ქართველთ სწორეთ იცნეს საქმის ვითარება, გათათრე-
ბას ასცდნენ, გაქრისტიანდნენ – გაფრანგდნენ. გაფრანგების

შემდეგ ამათ ეკკლესიაში ზოგიერთი რამ წირვის წესი ქარ-
თულათ სრულდებოდა. დროის განმავლობის მეოხებით ერუ-
შეთის ქართველებმა მთლათ დაკარგეს, დაივიწყეს ქართული
ენა და ოსმალურათ იწყეს ლაპარაკი, როგორც მუსულმანთ
ქართველთა, ისევე ქრისტიანთ ქართველთ დაავიწყდათ ქართუ-
ლი ენა და ამათაც ოსმალურათ იწყეს საუბარი. კათოლიკ
ქრისტიანებმა კარგა ხანს შეინახეს ქრისტიანობით თავი და
1829 წ. რადგანაც რუსეთმა ახალციხე აიღო, ამიტომ ესენიც
ჯავახეთში გადმოსახლდნენ, ახალქალაქის მაზრაში დასახლდ-
ნენ სოფლად და მოემწყვდნენ სომეხთ კათოლიკეთა სამღვდე-
ლოების ხელში. დღეს ამათ ეკკლესიებში წირვა-ლოცვა სომ-
ხურს ენაზე სრულდება, თუმცა იგინი ნამდვილის ქართველ
ტომის შთამომავალნი არიან, ენით თათრულათ ლაპარაკობენ
და სარწმუნოებით კათოლიკს ეკუთვნიან. ამათში დღეს სო-
მეხთ კათოლიკეთ მოძღვართაგან ყოველისფერი ლოცვა, ქა-
დაგება და დარიგება სომხურს ენაზე სწარმოებს. მცხოვრებ-
თა გვარსა და სახელებსაც სომხურათ არქმევენ, მაგალითად
ნიკოლაშვილს – ნიკოღოსოვი, ბაღდასარა, არტემა, კირაკო-
ზა, მიკირტუმა და კარაპეტა. ცხადათ სჩანს, რომ სომხის
სამღვდელოების მეოხებით ეს ქართველნი სომხურ ენას შეი-
თვისებენ და მცირე დროის შემდეგ ესენიც ისეთივე გადაგვა-
რებულ ქართველებათ აღმოსჩნდებიან, როგორც ართვინის და
სხვა კუთხის ქართველნი დაიღუპნენ. ამას ეჭვი არა აქვს. ქარ-
თველთ გადაღუპვის ხანა მცხოვრებთ კარზე აქვსთ მიმდგარი.
თვით მცხოვრებნიც დაურწმუნებიათ მოძღვართ, რომ ისინი
შთამომავლობით სომხები არიან და არა ქართველები. დღეს
ამ ხალხს სარწმუნოების მეოხებით გადაგვარება მოელის. მათ-
ში სომხური ენა იდგამს ფეხს. ვისი ვალია, რომ ამ საქმეს
ყურადღება მიექცეს, – რასაკვირველია ქართველთ კათოლიკეთ
სამღვდელოების. სამღვდელოებას დიდათ სურს შრომა და მო-
ქმედობა თავის ენაზე, მაგრამ საუბედუროთ ამათ ეს აღკრძა-
ლული აქვსთ.

საქართველოში ქართველთ შორის კათოლიკეთ მოძღვართა მეოხებით ვრცელდება კატალიციზმიო. რომ ამ სენის წინაღმდეგ ვიბრძოლოთ, ამისთვის დახმარება არის საჭიროვო. მე ვითხოვო, რომ დაბეჭდილ იქმნეს მსწავლულის ანტონ კათალიკოზის „მზა მეტყველებაო“. ამის შესახებ უწმინდესის სინოდიდგან მიწერ-მოწერა გაიმართა, საქართველოში გამოძიება მოხდა გაფრანგებულთა შესახებ, მაგრამ ყოველივე ტყუილი აღმოსჩნდა. ანტონ კათალიკოზის „მზა მეტყველების“ გამოცემა იკისრა ალექსანდრე ეპისკოპოზმა და ამის საშუალებით აღნიშნულს პირს ხელიდგან გამოეცალა საფუძველი ჭორების. დაიბეჭდა წიგნი და მთელი ამ მითქმა მოთქმის და დანოსების ისტორიაც თვით წიგნის დასაწყისშივე ჩაურთა აღნიშნულ პირის სულიერი და ზნეობრივი მხარეების გასაცნობათი.

არა მგონია, რომ პატრს დავითას შრომის მნიშვნელობის წინაშე არ მიეცეს მიზეზები იმ გარემოებასაც, რომ სულ ძველათ ქართველ კათოლიკებში, სომხის ხუცებს, სომხური ლოცვები ქართული ანბანის მეოხებით უვრცელებიათ, მაგალითებრ სომხურ ლოცვებს, ე. ი. სომხურ სიტყვებს სწერდნენ ქართულის ანბანით და ასეთის ოსტატობით ავრცელებდნენ ქართველ კათოლიკებში სომხურს ენას, ასეთ ლოცვების ხელთნაწერი მე თვით მინახავს დასავლეთ საქართველოში. სწორეთ ასეთისავე ოსტატობით 1830 წელს თფილისში დაიბეჭდა სომხური ენით ლოცვის წიგნი, ხოლო ქართული ასოებით საქართველოს სომეხთათვის, რომლის მსგავსმა წიგნებმა საქართველოში დაუდო საფუძველი სომხური ენის გავრცელების საქმეს.

ქართველ კათოლიკების გვარტომობის ცნობები რომ ჭეშმარიტია და უტყუარი, ამას პატრი დავითას ცნობებს გარდა დაამტკიცებს მრავალი ზეპირ ამბები ქართველთ მეფეების, რომელნიც დაშთენილია დასავლეთ საქართველოს ქორთველთ

გასომხებულთ კათოლიკებში. მაგალითად გასომხებულ ქართველ კათოლიკები აი რას ლაპარაკობენ ხოლმე.

ხახულის ეკკლესია, იშხნის, პარხალის და თორთომის ეკკლესიების შენება თამარ მეფეს ერთ დროს დაუწყვია. კეთების დროს ფული დაჰკლებია. მერე თამარ მეფეს თავიდგან ერთი თმა გამოუღია, ეს თმა გაუყიდნიათ და ამაში ანაღები ფულით დაუმთავრებიათ ხსენებული ეკკლესიები. ამ ეკკლესიების ქება-დიდებასაც მედიდურებით მოუთხრობენ მსმენელთ, თამარ მეფესაც თავიანთ მეფეთ აძღიარებენ, ძლიერ მეფეთ სახამენ, ამბობენ, რომ თამარ დედოფალი ჩვენი მეფე ყოფილაო. თამარ მეფის და სხვა მეფეების ამბებს გარდა სხვა ძველებური ქართული ამბებიც უხვათ იციან. რაც კაცი მეტს დააკვირდება, მით უტყუვრათ დარწმუნდება მასზე, რომ ოდესმე ქართველთა კათოლიკეთა

რიცხვი ერთობ დიდი რიცხვის უნდა ყოფილიყო, უამისოთ ვერც პატრი დავითა დაიბადებოდა, ვერც მისი ქართული მწიგნობრობა, ვერც ქართულს ენაზე გუჯრების წერა. ქართველთ კათოლიკეთა რიცხვი არამც თუ მარტოთ რიცხვით ყოფილა შესამჩნევი და ქართველობის ჰაზროვნებით აღვსილნი, არამედ ქართულს მწიგნობრობის და ისტორიის სიყვარულითაცა, მაგალითებრ: ალ. ჩუქუანის ძველი წიგნთ-საცავის ერთი ძველი ქაღალდი იძლევა შემდეგ ცნობას დასავლეთ საქართველოზე, რომელიც გადუწერია ახალციხელს ქართველ კათოლიკე ნებიეძეს.

1620 წელს მთლათ გათათრდა ლაზისტანი, 1640 წლებში მთლად გათათრდა კარის ქართველნი, ზოგი გაფრანგდა. 1690 წელს ართვინში გაათათრეს 2000 კაცი, ზოგი გაფრანგდნენ. 1700 წელს მთლათ გათათრდა იშხნის და ხახულის ხეობა. ზოგნი გაფრანგდნენ, სტამბოლს გაიქცნენ. 1705 წ. ხახული და პარხალი ჯამეთ გადააკეთეს. 1715 წ. გათათრდა შავშეთი, ზოგნი გაფრანგდნენ. 1730 წ. ართვინის ხიდთან მოკლულ იქმნა 2000 ქართველი. პარხალს

მოკლეს 1000 ლაზი ქრისტიანი. აჭარაში 1757 წ. მოკლულ იქმნა 3000 ქართველი, ზორგი იმერეთში გაიქცა, ზოგი გაფრანგდა. ამავ წლებს მთლათ გათათრდა ლივანა, ზოგი არზრუმს გაიქცა, ზოგი გაფრანგდა. ერუშეთს გათათრდა 18,000 ქართველი. 1780 წ. მარადიდს აღდგომა დღეს მოკლეს 300 ქართველი, ზეგანი მთლათ გათათრდა. 1770 წლებში მოისპო ქვაბლიანი და ფოცხოვი შემცირდა. არდანუჯს მოისპო ქრისტიანობა, ზოგნი გაფრანგდნენ.

ჩვენ ამ ცნობების დაწვრილებით განხილვაში არ შევალთ. შეიძლება, რომ აქ მცირე ჯამით მეტ ნაკლები რამ იყოს, მაგრამ ეს არ არის დიდი რამ საქმე. ჩვენ თამამათ ვიტყვით, რომ გათათრებულთ ქართველთა და გაფრანგებულთა რიცხვი აღმატებით უნდა იყოს. ამას ეჭვი არ უნდა, რადგანაც საქართველო სამ ნაწილათ განიყოფებოდა. ერთ ნაწილს დასავლეთ და სამხრეთ საქართველო შეადგენდა, სადაც ჩვენის გამორიცხვით ორ მილიონსა და ნახევარზე მეტი ქართველი უნდა ყოფილიყოს, რადგანაც მთელი საქართველო რვა მილიონი იყო. ორივე სქესის მამაკაცთ რიცხვი ოთხ მილიონამდე ითვლებოდა. ყველა ამით ჩვენ გვსურს დავასაბუთოთ, რომ ქართველთ კათოლიკობის გვაროვნობის ისტორიის მასალები არავისთვის იყოს საეჭვო, ქართველთა ქართველობას ნურავინ ჰყოფს უარს, რადგანაც ქართველ კათოლიკეებს საკმარისი ვრცელი ისტორია აქვსთ. ამ ისტორიას ისიც ეხმარება, რომ რომის სამღვდელოებამ ქართველი კათოლიკობა ადრევე იცნა ქართველის გვარტომობით. ეს ცნობა რომ მართალია, ამას უტყუვრათ დაამტკიცებს პატრი დავითას ცნობები, რომელიც ამას მოყვანილი აქვს თავისაგან დაბეჭდილს წიგნში. ჯერ ჩვენ აქ წიგნის სათაურს მოვი-

ყვანთ.

„საქრისტიანო მოძღვრება განაწურთვნა შვიდთა საიდუმლოთა ზედა, გადმოთარგმნილი იტალიანისა ენისაგან ქართველის მხედრულსა ენასა ზედა საქართვე-

ლოს გორელის ტულუკაანთ სომეხთ (!?) დავითასაგან. მთავრობასა კლემეტნო მეთოთხმეტე რომის პაპისა, სასწავლოსა შინა უცხოეთსა, რომელსაცა ეწოდების „პროპაგონდო ფიდე“ სადიდებლად დედისა ღვთისა მარიამ ქალწულისა უმანკო ჩასახვისა და სასარგებლოდ სულთა სულიერთა ძმათა და დათა, ქორონიკონს ქრისტესით ჩღლგ. და მეორედ დაიბეჭდა ქორონიკონს ჩღჟზ. ბრძანებითა უფროსთა“.

ცნობა აჩენს, რომ პატრი დავითასაგან დაბეჭდილს წიგნის უფროსის ბრძანებაც ჰქონია. უფროსად ჩვენ პაპი ან კარდინალი უნდა მივიღოთ და ცხადი საქმეა, რომ ბძანებასთან მოწყალებაც არ ყოფილიყოს. ამ წიგნისკაბადონთა რიცხვი 400 გვერდზე მეტია. წიგნის ბოლოს მიბეჭდილია შემდეგი შენიშვნა, როემლიც აჩენს, რომ წიგნი 1800 წ. დაუბეჭდიათ შესწორებით, თუ ბოლო დაუმატებიათ, ამაზე ჩვენ რას ვიტყვით, მოვიყვანთ თვით ცნობას.

კეთილო აღმომკითხველო, გეუწყებოდეს პირველად, რომ რაჲც პირველის დაბეჭდილსა შინა მეჩვენეებოდა, ან თარგმნობისა, ან სიტყვის ფიქრისა ნაკლულობა, ამასა შინა შევასურულე.

მეორედ რომ შენდობასა ზედა მისვე რაჲობისა შესატყობლად სწავლებისა განვავრცელე და ზოგნი შენდობანი ლათინურიდგან ქართულათ გარდმოღებით მოუმატე. მესამე, რომ თუ გინდ დიაღ უფრთხი მეტ-ნაკლებობასა და შეცვლასა ასოებსა, ჩვენი არც ენა, არც წიგნი იცოდა, მრავალი ვპოვე ამ რიგი შეცილებანი (!) რომელთ უძნელესნი ამას ქვემოდ ვასწორებ და უადვილესნი, გეხვეწები, შენ გაასწორე, მე შემინდო და ჩემთვის ილოცო, რომელ ვარ შენი პატიოსნობისა.

უმცირესი მონა გრიგოლ ბაღიაანთი, ახალ-ციხელი სომეხი (!) მღვდელი, წმიდისა პაპისა მოთარგმანე და კრებულისა „ფროფაგანდისა“ სასწავლოსა შინა მასწავ-

ლებელი სომხურისა და ქართულის ენისა და სომეხთ მონასტრისა წმიდისა მარიამისა ეგვიპტელისა უფროსი, წმიდისა დედა ქალაქისა რომისა, ოცს გასულს ოქტომბრის წლის უფლისა ჩ. ყ. 1800“.

ამ ცნობაში მოხსძნებულია, რომ გრიგოლ მღვდელი, ახალ-ციხელი, პაპის პროპაგანდოში ქართული და სომხური ენის მასწავლებლად ყოფილა, მასთანვე პაპის კოლეგიაში

მთარგმნელათ და იმ დროის ვენეციის სომეხთ მონასტირის უფროსათაც. ერთიცა და მეორეც გვაუწყეს, რომ ამ მღვდელს ყველგან შესამჩნევი ადგილები ჰკავებია. ცხადათ სჩანს, რომ პაპის უმაღლეს სასწავლებლებში და კოლეგიაში ქართული ენის მასწავლებელნი და მოთარგმნენი ყოველთვის ყოფილან. თუ მთარგმნელნი და მასწავლებელი იყო ხოლმე, მაშ ქართველი მოსწავლენიც იქნებოდნენ, ამას ფიქრი არ უნდა. ცნობაში მოხსენებული: – „გრიგოლ მღვდელი, ახალ-ციხელი, ბაღანანთი, სომეხი“ არის საეჭვო. სომეხნი „აქ ამ მოძღვარისაგან სულ უნებლიე-ცდუნებით არის ჩართული სწორეთ იმ აზრით, იმ ოცნებით, როგორც ჩვენ მოვიხსენეთ აქა იქ, ეს მით უფრო წაუძღვებოდა ამ მოძღვარს წინ, რადგანაც იგი სომხურათ ყოფილა აღზრდილი, სომხური ენის მცოდნე, ამ ენის მასწავლებელი, სომეხთ მონასტრის მეუფროსე. ეჭვი აღარ უნდა, რომ იმ დროის სომეხთ კათოლიკეთაგან წინ წამოწეული დაბნელებული ჰაზრები ქართველთ გვარტომობის შესახებ აღსავსებით იქმნებოდა დაჭეშმარიტებული გრიგოლ მღვდლის გვამში ისევე, როგორც პატრი დავითაც იყო. გვარი ბაღინაანთი არის ქართველი გვარი, ძველი სამცხის მკვიდრნი ბაღაშვილნი, სომეხ კათოლიკეთა მეოხებით ბაღინაანათ გადაკეთებული. ბაღაშვილები დღესაც სცხოვრებენ ახალ-ციხის მაზრაში, კათოლიკენი, ქიზიყსა და სიღნაღშიაც მრავალი არიან ამ გვარის ქართველნი. ბაღინოვი კი მოიძებნება თფილისში, გრიგორიანის სარწმუნოების, ქართულ წიგნთა გადამწერი. ერთი ამისაგან გადა-

წერილი ძველი კარაბადინი“ ჩვენს ხელში ინახება. ბაღინოვნი-კი უნდა იყვნენ კათოლიკობიდგან სომხობაზე გადასულნი ქართველთაგან კათოლიკობის დევნის დროს.

მე აქ აღარას გიტყვი, მართალ-მსაჯულის მკითხველისთვის მიმინდვია მის ახსნა, თუ რამდენათ საფუძვლიანი უნდა იყოს ბაღაშვილების და ტულკაშვილების სომხის გვარათ წოდება და ამისთვის დავა კამათიც. ცხადი საქმეა, რომ მალე მოვა ის დრო, როცა ნამდვილ ქართველ კათოლიკეთა ზუბალაშვილებსაც სომხათ აღიარებენ, რადგანაც ქართველთ ამ გვარის წევრთ ძველთავე უწოდეს ზუბალიანი. ესეთი წოდება ვითომც ქართულის ენის ფორმას და გვარის გამოთქმას ეწინაღმდეგება, ვითომც იგი სომხურია და არა ქართული. ჩვენ რამდენიც უნდა ასე ვიფიქროთ და გინდ ზუბალაანი ზუბალიანცათ გადავაკეთოთ, ამით ისტორიული ცნობები არ დამახინჯდება, ამის დრო აღარ არის, რადგანაც მწიგნობრობა და ბეჭდვა ხელთ გვიკავია, ეს წინეთ შეიძლებოდა რომ მომხდარიყო და მანქანებით თვით ზუბალაშვილნიც დაერწმუნებინათ, რომ იგინი სომხის შთამომავალნი არიან, სომხეთის შვილნი და არა საქართველოსი, მაგრამ ეს დღეს ასე ვეღარ მოხდებოდა, ამის განხორციელების ოცნება დალეწილია და დღეს სომეხ კათოლიკენი ძველის სახით ვეღარავის

შეაცდენენ, რადგანაც თვით ქართველ კათოლიკობასაც საკმარისათ ესმის და სწამს თავის გვარტომობის ისტორია. წიგნის დასაწყისს შემდეგ მისდევს წინა სიტყვაობა პატრი დავითასი.

„შეწირვა უმანკო ქალწულ დედისა მღვთისა მარიამისა მიმართ, ჩი, დედაო მღვთისაო, მარიამ ქალწულო, უმანკოდ დარჩი ადამის ცოდვისაგან, რომლისა თანამდები შეიქნენ ყოველნი ძენი შენნი. გარნა შენა პირველ გამოგარჩია მამამ ღმერთმა თავის ასულად, ძემა მღვთისამ პირველად გამოგარჩია თავის დედათ, სულმა წმიდამ ღმერთმა პირველად გამოგარჩია თავის ძლად, წმიდა სა-

მებამ და ერთმა ღმერთმა შეიძლო შენი უადამისცოდოდ ჩასახება. გეკადრებოდა შენ უადამისცოდოთ ჩასახება, რამეთუ ღმერთმა თავის ასულად, დედად და სძლად უწინარეს განესაზღვრა. მაშ აბა ღმერთმა ქნა, რომ შენ უადამის ცოდვოთ ჩასახული შობილიყავ.

აწე ამ ყოვლად დიდი აზატობისა შენისათვის გევედრები, რომ ჩემს სულიერს ძმებს და დებს კათოლიკებს მისცე გონება, ნათელი ცნება, გულის ყური და ნება ამ „საქრისტიანო მოძღვრების“ ზეპირად დასასწავლებლად, რათა შენის მეოხებით იცნონ ჭეშმარიტება, განშორდენ ყოველთა ცოდვათაგან, იზრახვიდნენ გულსა და ხორცის უმანკოებითა და შემდგომად მიეწიონ საუკუნო სასუფეველსა, რათა მუნ გიებდნენ უკუნითი უკუნისამდე ამინ.

თქვენი მდაბალი, მარადის მონა, უღირსი მღვდელი ტულუკაანთ დავით".

ამ მიმართვაში პატრი დავითა თავის ძმებსა და დებს კათოლიკებათ აღიარებს, თან ამუდარებს მათ, რომ ეს ქართული ლოცვები დაისწავლონ. მიმართვის ბოლოს თავის სახელს და გვარს აწერს, სიტყვა „სომეხს“-კი აღარ იხსენიებს. ცხადათ სჩანს, რომ საცა-კი ეს სიტყვა „სომეხი“ მიკერებული აქვს დავითა პატრს, იგი ძალადობით არის მომხდარი. ნეტა რა ძალა ადგა პატრს დავითას, რომ თავის თავს ერთ ალაგას სომხათ აღიარებს და და მეორე ალაგასა-კი ჩუმდება ამაზე.

წიგნს სხვათა მორის დართული აქვს: – „წურთვნა წამკითხველთათვის, სულიერთა ძმათა, და დათა სულთა სიყვარულისათვის, გარდმოვთარგმნე იტალიანის ენისაგან, ესე მოკლედ დარიგებული „საქრისტიანო მოძღვრება“ ქართულს მხედულსა ენასა ზედა“. აწე ძმანო, და დანო სულიერნო, დიდის ცდითა და სიყვარულითა ეცადენით, რომ ზეპირად ისწავლოთ, ამისთვის რამეთუ ვითარცა

ყოველი ხელოსანი თავის ხელოსნობას უპასუხებს და
იქმს: ასევე ქრისტიანი თავის ქრისტიანობას უნდა უპა-
სუხებდეს, და იქმოდეს: ხოლო უკეთუ ხელოსანმა თა-
ვის ხელობა არ ამუშაოს, იმისთვის დიდი სირცხვილი
იქნება: ასრევე თუ ქრისტიანმა თავის ქრისტიანობა საქ-
მით არ ამუშაოს, არა-თუ მორ თათრისაგან უარესი
იქმნებ სააქაოსა, მაგრამ უეჭველად საიქიოსაც წაწყდება.
აქ ქრისტიანის ვალი ეს არის, რომ ესე ზეპირად ისწავ-
ლოთ და ამით კეთილ მოქმედებაში ინაყოფიეროთ: აწ
ესრედ უწყოდეთ, რომ ეს საქრისტიანო მოძღვრება ფრი-
ად მსოფლიურს ენასა ზედა აღვწერეთ ამისათვის, რამე-
თუ ენა ქართულის ხუცური თავად არ ვიცოდი და თუ
რამ ცოტა ვიცოდი, ისიც და მხედრული ენაც დამავი-
წყდა. ჭეშმარიტად აგერ თითქმის ათი წელიწადი არის,
რომ ქართველის ენის და წიგნის მონატრე შევიქენ,
ხოლო მისთვის ურიცხვთა ადგილთა, სიტყვანი უშვერნი
ჩაურთევი და ჴარის წილად ხანი ვიხმარე და სხვანიც
ამისებრნი მრავალნი ღვარძლნი. არამედ ოღომც უმე-
ცარნი და უმცირენი თვინიერ ვახშისა არა მიიქცენ უკა-
ნა, ხოლო მეცნიერთა ამხილონ მეჩემად რაჲ? და ჩემის
ნაკლებობისათვის თქვენგან სიმდაბლით შენდობასა ვთხო-
ულობ".

არა მგონია, რომ სომხის გვარის შთამომავალს მოძ-
ღვარს ისე ჰქონოდეს ქართველთა გვარის სიყვარული, ქარ-
თული ენის ტრფიალება, რომ მას წინა-სიტყვაობაში თუნდ
შემდეგი სიტყვები ეთქვას: – „ათი წელიწადი არის, რომ
ქართული ენის და წიგნის მონატრე შევიქენ“. ჩვენს ჰაზრს
ცხადათ ამტკიცებს ამ წიგნის ლათინური წინასიტყვაობაც, სა-
დაც პატრი დავითა თავის სომხის გვარის შესახებ არას ამ-
ბობს. ლათინურს წინასიტყვაობაში მოიხსენება აგრეთვე ვინ-
მე თფილისელი კათოლიკი იოანე ჟიგონანთტი. ეს სახელი
ჩვენს ძველს მწერლობაში ხამია, უცნობი. ამის შესახებ არც

თვით კათოლიკებშია რამე ცნობები დაშთენილი. ერთის შე-
ხედვით გვარი უცხო, გვარათ სჩანს, თითქმის იტალიუ-
რათაც-კი, მაგრამ მოხსენება აჩენს, რომ იგი თფილისელი
ყოფილა და ცხადი საქმეა, რომ იგი ქართველი იქმნებოდა.
მხოლოდ ცნობილის გარემოების მეოხებით გვარი ქართული-
დგან გადუკეთებია, გადუსხვაფერებიათ. იოანე ჟიგონანტი
გამოსაცნობია და ამაზე გონი რომ ვერც სომეხ კათოლიკე-
ნი განაცხადებენ რამე ჰაზრებს. მაინც სომეხ კათოლიკებს
დიდი შნო ჰქონდათ გვარების გადაკეთების. დღეს ართვინში
კაცი ქართველთ შორის ისე გადაკეთებულ გვარებს ნახავს,
როგორც საფარიძე – დღეს პუჭპუჭიანცი.

ჩვენის ცნობის საფუძვლად აქვე მოგვყავს ლათინური
წინა-სიტყვაობაც.

IMPRIMATUR

Si videbitur Rmo Patri Mag. Sac. Pal. Apost.

F. Xav. Passari Archiep. Lariss. Yicesq.

APPROBATIO.

EGo Fr. Claudius a Regio Ord- Cappuc-cin. S. P. Francisci Concionator, nec non Protonotarius Apostolicus, post undecim annos Missionum in Regno Persarum, praecipue in ideria Orientali seu Georgia, Armenae & Georgicae linguarum Professor; cum ibidem non sine magno mei oblectamen- ac emolumento Animarum curae meae demandatarum frequenter prae manibus habuerim librum, cui titulus est: Dottrina Crvistiana per uso delle Missioni della Giorgia: per admodum Reverendum D. David Tlukaanti a Goride Georgianum jam

Alumnum in hoc Veil. Collegio Urb. de Propaganda Fide compositum, & ab eodem peregregie lingua Georgica expressum, ex tunc summopere optaveram typis mandatum ad non modicam tum Missionarjnrum, tum illarum Nationum utilitatem, cum ram illi, quam istae prorsus destituantur hujuscemodi libris idiomate Georgico exartis. Cum antem hic Romae eundem librum viderim apud Rev. D. Joannem Gigananti Tiplisensem fieorgianum hujusce Sac. Cong. de Propag. Fide Alumnum: Optimum duxi eidem consulere ejusdera libri impressionem, illucque transmissionem eo majori, quo posset numero, ut totidem esset beneficio; cum fatear in dicto libro non solum procul esse quidquid minimum Sacris Dogmatibus & Catholicis moribus 11011 consonum, sed abundare potius, quocumque mirum in modum conducere potest ad Fidem Catholicam ac Christianam pietatem. Ideoque si ita Rmo D. Sae. Palatii Magistro, & aliis quibus spectat, videbitur; non tantum necessum puto, sed Sz obnixe precor, ut mandent, & curent dictum librum typis mandari, mnangnam remuneranationem ab Illo obtenturi qui dixit: Euntes in mundum universum praedicate Evangelium omni

Creaturae.

In quorum fidem praesentem paginam meae testationis, & obtestationis propria manu firmatam, ac sigillo, quo utor, munitam do. Romae in Conventu Capuccinorum 22 Aprilis anno Domini 1740. Fr. Claudius a Regio Capuccinus qui supra Vc.

APPROBATIO.

E Go infrarc-riptus Ven. Collegii Urb. de Pro-

paganda Fide Alumnus, fidem facio ac testor, me summa animi voluptate perlegisse librum, cui titulus: Dottrina Cristiana per uso delle Missioni della Giorgia: desumptum Rev. D. David Tlukaanti a Goride Georgianum ejusdem Ven. Collegii Aluminum: & fateor procul ab eo esse vel quid minimum Catholicae Fidei, bonisve imnoribus non consonum. Qua de re 11011 censura, sed propter extremam illarum Gentium spiritualem indigentiam, quae hujuscemodi libris suo idiomate expressis prorsus sunt destitutae, in lucem exire quam justissimum arbitror.

Romae ex eodem Coll. die 19 Martii A. D. 1741:

Joannes G'gananti a Tiflis Georgianus.

რას ნიშნავს ეს წინასიტყვაობა თუ საქართველოში ქართველი კათოლიკები არ იყვნენ.

ერთს მაგალითს კიდევ მოვიყვან აქ, ბეჭდვით დაშთეს ის, თუ ძველათ ქართველობა რა უნებლიეს სცთუნებით უნდა აღმოკვეთილიყო ქართველთ კათოლიკებთ შორის. 1896 წ. მე ვიყავ თფილისის კათოლიკების სამრევლო სკოლის მასწავლებელ ქართველ კათოლიკ იაკობ ლაზარეშვილთან. იაკობ ლაზარეშვილი ჯავახელი იყო, ერთი გულმხურვალე ქართველ კათოლიკე, ენერგიული მასწავლებელი, ქართულს ენაზე პიესებსაც სწერდა. სხვათა შორის ამან დასწერა შესანიშნავი ისტორიული პიესა „მტარვალი“, რომელიც დიდის პატივისცემით იქმნა დაჯილდოვებული ქართველთაგან, როგორც კარგი და სამართლიერი ისტორიული ნაწერი. იაკობ ლაზარეშვილი ავათ იყო. ეს გარდაიცვალა 1896 წ. გაზაფხულს. ავათმყოფობის დროს მე ხშირათ დავდიოდი მასთან. ერთხელ მასთან მოვიდნენ ჯავა-

ხელი ქართველთ კათოლიკეთ გლეხნი. საუბრის შემდეგ გლეხებს კითხვები მივეცი, ვკითხე: „ვინ ხართ, სადაურები, რა გვარი? – ერთმა სთქვა, რომ უცინარაძე ვარო, მეორემ – საფარაძეო, მესამემ – მერაბაძეო. ჩემის კითხვების შემდეგ ერთმა გლეხთაგანმა აი რა მიამბო: – მე მინდა შენი ჭირიმე რომ ჩემი შვილი სოფლის მღვდლათ გავზარდო. ჩემმა შვილმა ყველაფერი კარგათ ისწავლა, მხოლოთ ერთი სჯულის ენა, სომხური ენის სწავლა აკლია. ახლა ამ დედა სჯულის ენასაც ისწავლის და მერე ღმერთი შემაძლებინებს მის მღვდელობას.

მე უთხარი:

თქვენ უცინარაძე ხართ გვარათ, მეორე მერაბაძე, მესამე საფარაძე, თქვენ ქართველები ხართ და თქვენს სჯულის ენათ სომხურს ენას რათ ს თ ვ ლ ი თ , ეს როგორ შეიძლება. მათ მოკლეთ მომიგეს პასუხი: – ჩვენი სჯულის ენა სომხური ენა გახლავსთ, და მაშ რა ენაზე უნდა ვითხოვოთ სწავლება, თუ არ სომხურს ენაზე? მე მიუგე თქვენ ხომ ქართველები ხართ, თქვენც თქვენს ენაზე ითხოვეთ სწავლა და მღვდლები. მათ მომიგეს: ეს არ შეიძლება, მთავრობა ნებას არ მოგვცემს. ჩვენ თუმც ქართველ გვარისანი ვართ, მაგრამ სომხის ტიბიკონზე ვსდგევართ. ძველათვეა დადგენილი, ამის წინააღმდეგობა სჯულის ცოდვა არის, ეკკლესიისთვის კარგი აო იქნება. ბევრის ლაპარაკის შემდეგ ამათ სთქვეს, რომ ჩვენ ძველებს-კი ამაზე სჯა და ცდაც ჰქონიათო, რომ მათ ქართული ენის მცოდნე მღვდლები ჰყოლოდეთო, მაგრამ ეს ვერ მომხდარა, ნატვრა არ შესრულებიათ, დღევანდლამდე ქართველთ კათოლიკეთა საქმეებს სომხის ხუცები განაგებენო.

პატრი დავითას შრომა მარტოთ „საქრისტიანო მოძღვრების“ თარგმნით არ გათავებულა, ამას სხვა-და-სხვა წიგნებიც უთარგმნია, წერილებიც უწერია, რომელთა დაბეჭდვაც სდომნია, მაგრამ გარემოებას არ მიუცია ნება, – მის სიკვდილის მემდეგ ნაწერები მთლათ დაფანტულან და დაკარგულან.

გადარჩა მხოლოდ რამდენიმე წერილი და ერთი ვრცელი თარგმანი „მიბაძვა ქრისტესი“ თარგმანი ქუთაისს, პატრი დაგითასაგან. გრცელი ტომია, თვით დავითას ხელით არის ნაწერი, სხვილი ქართულის ასოებით „საქრისტიანო მიძღვრების“ ენით არის ნათარგმნი. რასაკვირველია უფრო ძველის ქართულის ენის წესით არის ნაწერი. ხელთ ნაწერი სხვა ნაწერებთან ერთათ მე მოვიძიე ალ. ჩიქუანის წიგნთ-საცავში. დღეს ეს ხელთნაწერი „წერა-კითხვის სამართველოს ეკუთვნის“.

თუმცა პატრი დავითას მიერ ნაშრომს არ ეღირსა დაბეჭდვა და იგი ერთის მხრით ჩვენი დროის ერისთვის არც გამოდგებოდა, რადგანაც თარგმანი რთული წესით არის, მაგრამ მაინც ეს საქმე უყურადღებოთ არ დაშთა ქართველ კა-

თოლიკეთა სხვათა მოძღვართათვის. ჩვენს დროს „ქრისტეს მიბაძვა“ თომა კემფელისა ლათინურის ენიდგან ქართულს ენაზე სთარგმნა გორში კათოლიკების ეკკლესიაში ყოფილმა ქართველთ კათოლიკეთა მოძღვარმა ანსელმო მღებრიშვილმა ახალის ქართულის ენით და ეს თარგმანი ამავე პატივცემულმა მოძღვარმა დაბეჭდა ქ. გორმი, რაც მრავალთათვის გახდა საკვირკელათ, რადგანაც ქ. გორში ქართული წიგნის დაბეჭდვის პირველი მაგალითი იყო და ისიც ქართველთ კათოლიკის მამულისშვილის მომღვრისაგან. ამ საქმით პატრმა უფრო სამაგალითო საქმე ქმნა. კათოლიკის მოძღვარმა აჩვენა ქართლის ხალხს მაგალითი, რომ გორშიაც შეიძლება ქართული წიგნები დაიბეჭდოს და თავის დროს გაზეთიც-კი გამოიცესო. პატივი და დიდება ასეთს მხნე მოძღვრის მოქმედებას და მამულის შვილობას მიძინებულ გორელების წინაშე.

პატრი დავითა საქართველოში მოსული სცხოვრებდა ქუთაისს, იყო იმერთა მეფის და ბატონიშვილების საყვარელი პირი და მასთანვე მრჩეველიც, დამრიგებელი, მწიგნობარი და ექიმიცა. ამ დროს ახალციხის ქართველ კათოლიკებში საკმარისად აღორძინდა საქართველოს ერთობის სიყვარული. ევრო-

პიდგან მოსულ ქართველ კათოლიკებს ძრიელ ეთანაღრებოდათ გული საქართველოს დარღვეულ მდგომარეობაზე, – ქართველთა ერთობისათვის მეტათ დიდ ხმას აძლევდნენ მეფეებს ახალციხის კათოლიკენი. ამათ დიდათ სურდათ, რომ ახალციხე ქართლს ან იმერეთს დაკავშირებოდა, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. ახალციხის ქართველთ ბრძენ კათოლიკენი ხშირად დაიარებოდნენ ქუთაისს. ამათ თვით მეფესთანაც ჰქონდათ ხშირი მისვლა-მოსვლა. პატრი დავითას და ასეთ პირების მეოხებით იმერეთში გამოითქვა ნატვრა და ჰაზრი ქართლ-კახეთ-იმერეთის დაკავშირებისა. ამ ჰაზრს კურთხევით შეხედეს თფილისში იონე ორბელიანმა, ნამსაჯულემა, კათოლიკის ბერების გავლენის ქვეშ ყოფილმა და სოლომონ ლეონიძემ, კაცმა მაღალ გონების მექონმა. ესეც ხომ პატრი ნიკოლას და მავროს მარჯვენა მხარი იყო.

ქართლ-კახეთ-იმერეთის დაკავშირებას პატრებთ შორის დავითას გარდა მავრო პატრიც ამუდარებდა მეფეს და მის საშუალებით ახალციხის დახსნას ოსმალთაგან. ამ სამღაღადებლო ნატვრას დიდს ხმას აძლევდნენ ახალციხის ქართველ კათოლიკენი და თვით „ასპინძის ომიც“ ამათის თაოსნობით იქმნა დაწყობილი. კეთილ პატრს დავითას და მავროს ქადაგების მეოხებით იმერთა დიდებულთ შორის შესდგა წრე სხვა-და-სხვა გვამთა, რომელნიც წარეგზავნენ მეფე ერეკლეს და სთხოვდნენ ურთიერთ შორის დაკავშირებას. ქართველთაც ჰქმნან ერთობა შინაური და გარე ერთობა მათთვის აღარ იქნება საჭირო, ქართველთ თავიანთ პატრონობა ადვილათ შეუძლიანთ. მხოლოდ ერთობა ჰქონდეთ შინაურიო. ყველა ქართველი მედიდურებდა ამით და თან ასაბუთებდა, როგორც პა-

ტრების რჩევაც და ნათქვამი.

მალე იმერთა მეფის დესპანნი თფილის მოვიდნენ მეფის კარზე ერთობის სათხოვნელათ. ეს ამბავი ახალციხის ქართველ კათოლიკებსაც ეუწყათ. მათ ძრიელ გაეხარდათ, განიძრახეს მეფესთან მოციქულების გამოგზავნა და პატრების

პირით იმერთ თხოვნის შეწყნარება, ერთ-მეფობის დაარსება, თორემ იმერთან ჯავახეთიც მთლათ დაიღუპებაო. კათოლიკეთ მოციქულების გამოგზავნა აღარ დასცალდათ. თფილისში საქმე ერთმეფობის დაკავშირების შესახებ ასე უკუღმართათ დაბოლავდა.

თფილისში, ქუთაისს და ნამეტურ დაჩაგრულთ ჯავახეთის ქართველთ კათოლიკებს დიდათ უხაროდათ კურთხეული ჰაზრი მეფეთა, მთავართა და დიდებულთა. ყველას ლოცვა ჰქონდა ამისთვის პირზე მომდგარი, ახალციხეში მცხოვრებ მეფე ერეკლეს მომხრე ხურსიძეებმა და სხვებმაც მოჰფინეს ხმა კეთილ ღაღადებისა, ხმა ქვეყნის სიყვარულისა და მომავლისა. მოაწია უკვე დრომ, მეფის სახლში იქმნა შეკრებილება, მეფისა და კრების წინაშე წარსდგნენ იმერთა დესპანნი, ქართლ-კახეთის მხრივ დაესწრნენ ყველა დიდებულნი და ამათ შორის ბრძენი სოლომონ ლეონიძე, ჭაბუა ორბელიანი, დუცალ ბარათაშვილი, პატრი ნიკოლა, პატრი ივანე, პატრი ანდრია, პატრი მავრო, ანტონ ქათალიკოზი და მრავალნიც სხვა გვამნი ქართველთა.

სიტყვა აღიძრა ერთობისათვის ქართველთა. აქ იმერთა მოციქულთა მოახსენეს ჰაზრი და ნატვრა იმერთა. დახატეს მნიშვნელობა ერთობისა: აღიარეს, დროაო: რომ შევერთდეთო, განვძლიერდეთ და აღვსდგეთ ქვეყნითურთ. – საქართველო ძლიერი იყო მაშინ, როცა მათ ერთ მეფობა ჰქონ დათ. საქართველო დაეცა მას შემდეგ, როცა იგი დანაწილდა და გაიყო რამდენსამე სამთავროთ და სამეფოთ. იმერთა ერი ითხოვს მადლით ცხებულს კავშირს, მეფურს მამაშვილობას, სამეფოს წესების გამაგრებას, ქართველთა ბედნიერებას, ქრისტიანობის ხმის ღაღადებას. მეფეო, დროა ვიგრძნათ მხვედრი და ვალი ჩვენი.

სიტყვა ჯერით იქმნა წარმოთქმული. საფუძვლიანი და ჯეროვანის ჭკუით მოსაზრებული სიტყვა წარმოსთქვა იოანე ორბელიანმა, რომელ სიტყვის თანამომხრენიც იყვნენ ქართ-

ველთ პატრები და ნამეტურ ახალციხელი კათოლიკენი და ხურსიძენი, რომელნიც ქართველთ მეფეებს ფარათ და ხმლათ ჰყვანდნენ ოსმალთა წინაშე. ამ გვარის წევრთ ისეთი სიყვარული ჰქონდათ საქართველოსი და ქართველთ მეფეების, რომ ესენი ოსმალეთიდგან მეფე ერეკლეს ყველაფერ ამბებს უზიდავდნენ და ატყობინებდნენ. იოანე ორბელიანმა აღიარა და

აკურთხა დიდებული ჰაზრი იმერთა. ბრძანა: – მეფეო, საფ-
ლავს ქართველთა ძვალნიც-კი შეირყევიან სიხარულით. გა-
ნიხარებს ქართველთა ტანჯული გული, მკვდრეთით აღსდგე-
ბიან ქართველთა წამებულნი მამულისა და ეკკლესიის შვილნი,
ქართველთა ვედრება, ცრემლი და სისხლი შეწყნარებულ იქ-
მნება ბედისაგან, მოხუცნი გულ-ჩათხრობილნი და დანგრეულ-
ნი შთენნიც გაიხარებენ, მათ გარს შემოევლება სურო სიხა-
რულისა. მიიღეთ გვირგვინი იმერთა, მეფობა იმერთა და ჰქმე-
ნით მეფობა ქართველთა. აკმარეთ ქართველ დედას ცრე-
მლი, მწუხარება, ტანჯვა და გულდათუთქული უბედურება.
დროა მეფეო, რომ ქართლის ერმა ერთობა დაიმკვიდროს,
ერთი მეფე, ერთი კათალიკოზი, ერთი სული და ერთი ხორ-
ცი. ამას ითხოვენ თვით ჩვენთა მამაპაპათა ძვალნიც-კი სამა-
რიდგან. იოანე ორბელიანის თანხმათვე მიუგო პატრმა ნიკო-
ლამ და დაურთო ზედ შემდეგი:

– მეფეო და დიდებულნო ქართველთა! მღვთის მადლით
დანაწილებულ საქართველოს ერნი მოდიან ერთობის შეგნება-
ზე. როცა საქართველოს ერი ერთობით იყო, მაშინ ამაღლდა
იგი ქრისტიანობით, სწავლით და განათლებით. ჩვენ დაწვრი-
ლებით ვერ მოგახსენებთ ერთობის სარგებლობას. ევროპის
ერნი და სახელმწიფონიც მაშინ ამაღლდნენ და დაწინაურდ-
ნენ, როცა იგინი ერთი ტომის ერნი ერთმანეთს დაუკავშირ-
დნენ, როცა შეიგნეს ერთობის მნიშვნელობა და ძალა. თქვენც
ესევე აღგადგინეთ ძმანო ქრისტიანო და შვილნო ჭეშმარიტე-
ბისაო. თქვენის თვალით ხედავთ, თუ რა მოჰყვა თქვენს
უბედურს დარღვევას, თქვენს დანაწილებას. ამიტომ მადლით

სავსე რჩევა იმერთა ერისა მიიღეთ კეთილათ, შეიწყნარეთ და
მით აღადგინეთ დაცემული ტომი. დაიფარეთ ტახტი და გვი-
რგვინი ძველთა ჩინებულთა და კურთხეულთა ქართველთა მე-
ფეთა. ასევე მიუგეს მრავალთა და მათ შორის ბრძენმა და
შორს მხედველმა სოლომონ ლეონიძემ. სოლ. ლეონიძემ მა-
ღალის განსჭვრეტით და შესმენილობით აუწყა მეფე ერეკლეს
დაკავშირების მნიშვნელობა. ამან თავის სიტყვას ისტორიული
ხასიათი მისცა და ისე დაასურათა შეერთების მნიშვნელობა.

კეთილი რჩევის და ნატვრის წინააღმდეგი აღმოსჩნდნენ
მრავალნი და მათ შორის კოსტანტინე მუხრანის ბატონიც,
სიძე მეფე ერეკლესი. ამან სთქვა: ჩვენ არ ძალ-გვიძს შეერ-
თებაო. ჩვენ ჩვენი თავისთვისაც ვერ მოგვივლია და ახლა იმე-
რეთიც მოვიხვიოთ თავზეო. ვერ ვიზამთ ერთობასაო. ერის
კურთხეული თხოვნის უარ-ყოფამ დაბადა დიდებულთ შორის
შფოთი. მრავალთ ჰყვედრეს სიძე მეფე ერეკლესი, მუხრანის
ბატონი და ბოროტება მისი. გმობა ეწყინა მეფეს და
ამიტომ კრება დაიშალა. კრების დაშლამდის პატრმა სთქვა:

– მეფეო და დიდებულნო! დააკვირდით ამას: ძლიერი
და ქრისტე მოსილი მეფე ჩვენი ასე აწერს ხელს: – „ფეხთა
მტვერი ყაენისა, მეფე ირაკლი ქართლ-კახეთსა. იმერთა

პატიოსანი და მირონ-ცხებული მეფე ასე აწერს“ ხელსა: „მონა ღვთისა, ყმა ღონთქრისა, მეფე სოლომონ იმერეთისა“. რას ნიშნავს და რას მოასწავებს ქრისტე მოსილ მეფეთაგან ასე დამდაბლება თავისა არა ქრისტიან მეფეთა წინაშე. დროა ბატონებო ამას მიხედოთ და იგრძნათ ერთობის მნიშვნელობა.

მეფემ სდუმნა და ამისთვის დანიშნა მეორე, მესამე და მეოთხე კრებაც. კრებებზე ქართველთ პატრებმა ჭკვიანათ აღადგინეს ღაღადება ერთობისათვის, მაგრამ არა იქმნა-რა. ამ კეთილ ჰაზრს აეწინაღმდეგა დარეჯან დედოფალი, დაიყოლია მეფე ერეკლე, მიიბირა თვისკენ მრავალნი დიდებულნი, თვინიერ პატრების და მეფეს უარი აყოფინა ერის რჩევა, წადილი და კურთხეული მუდარება. ყველა ესენი მოხდა მის მეო-

ხებით, რადგანაც ქართლ-იმერეთის დაკავშირებით დაირღვეოდა და გაუქმდებოდა სამეგრელოს სამთავროც, სადაც მთავრობდა ძმა დარეჯან დედოფლისა. ძმას ვერ გამოსწირა ტახტი და ყოველივე უბედურება ამიტომ ისურვა.

საქმის ასე დაბოლოვებისათვის გული გაუტყდათ პატრებს და ნამეტურ ახალციხის ქართველთ კათოლიკებს, ქართველთ მართლ-მადიდებლებს და სხვათაც მრავალთა. უწყებულ იქმნა ოთხსავ კუთხივ უბედური ამბავი და ქართველთ პატრების რჩევა და კეთილი თათბირი დარჩა მხოლოდ იმერთა კარის წინაშე. იმერთა არ უღალატეს ამ რჩევას და უკანასკნელს ჟამამდე დაშთენ უცვალებელათ და მათს უცვალებლობას ხელს უწყობდნენ პატრი ნიკოლა, სოლომონ ლეონიძე და ყველა ის პირნი, ვინც-კი ოდესმე ხსენებულს დაკავშირების თათბირში მონაწილეობას იღებდნენ. იმერთა დიდებულთა მეოხებით თუ როგორ გათავდა ადრევე შემცნებული ჰაზრები, ეს მგონი ყოველ ჩვენგანმა უნდა იცოდეს და ამას ისიც ცხადათ აჭეშმარიტებს, რომ მათ ევროპაში გაგზავნეს დეპუტაცია პატრი ნიკოლას თავსმჯდომარეობით. იმერთა მიწერ-მოწერა არც შემდეგ შეწყვეტილა. ამის მაგალითს წარმოადგენს შემდეგი.

წერილი სოლომონ მეფისა, „მათს უწმინდესობას პიო პაპს მეექვსეს, (Alla santita pio pp VI) უწმიდესისა და უნეტარესის წმიდათა მოციქულთა ყოვლისა ქრისტიანობისა განმანათლებელთა პეტრესა და პავლესა დიდსა საყდართა და პატიოსანსა ეკკლესიასა ზედა მჯდომარესა დიდსა ქალწულსა რომისა მბყრობელ გამგესა ყოვლისა დიდებისა აღსავსეს უფალს ბატონს. ჩვენ მაგით ჟამ მარად სამსახურისა და კარგათ ბრძანების წადიერ სრულიად იმერეთის მეფეს სოლომონ წმინდას მარჯვენას ხელს მოხვევნას მოვახსენებთ. ვიკითხავთ მაგათს უწმინდესობის მშვიდობის ამბავს, ვთხოვთ უფალსა ჩვენისა იესოს ქრისტესაგან გვეუწყოს, ამას მოვახსენებთ მათს უწმინდესობას: ჩვენ და ჩვენი ქვეყანა ყოველთვის

ბრძოლით უსჯულოთაგან დიაღ შევიწროებულია, რათა მოხედოთ, სხვას ამას მოგახსენებთ – ვედრებას ვყოფთ წინაშე მათსა: ორი აქიმი ასრეთი გვიწყალობოთ, ყოველის სნეულების ოსტატობით სრული იყოს თავისის წამლებით, და რიგის სტომაქის სნეულების, თრიაქის ჩამოსვლის, თუ ჩამოუსვლელობის კარგათ იცოდეს, თქვენეულად, თქვენ რომ გეკადრებოდეს. ერთი საათიც კარგი გვიბოძეთ ბატონო. აღიწერა თვესა აგვისტოსა კ. ე. ქ˜კს უᲫზ. ბეჭედი სოლომონის: „მის უწმინდესობას უფალს ბატონს პიო პაპას მეექვსეს მიერთვას ეს წიგნი".

რომ ყოველი მოსაზრება მართალია და რომი საქართველოს ადრიდგანვე მხოლოდ ქრისტიანულის სიბრალულით უმზერდა, ამას დაამტკიცებენ მეფე ერეკლეს ორი წერილი, რომელიც მიუწერია ვენეციის მთავრობისათვის 1782 წ. ეს წერილები წაიღო პატრმა მავრომ. ამ პატრმა და სხვებმა მეფე ერეკლეს დაარღვევინეს 1781 წ. პირობა და მათ ევროპას მიმართეს. ამ წერილებიდგან ცხადათ სჩანს პატრი მავროს მაღალი შემძლებლობა და თვით მეფეზე და სამეფო საქმეებზედაც ზე გავლენა. პატრი მავრო, ნიკოლა და სოლომონ მსაჯული ქართლ-კახეთ-იმერეთის დაკავშირების ისტორიაში მაღალის მიდრეკილებით სჩანან. მოვიყვანთ ახლა შემდეგს:

„განათლებულთა მაგათ დიდსა ვენეციის ქალაქსა შორის შემძლებელთა შეკრებულთა.

მრავლის ჟამითგან დაგვჭირდა, რათამცა ევროპიის თვით მპყრობელთა ყ˜დ მაღალთა კეისართა, და ყ˜დ დიდებულთა ჴელმწიფეთა, და მეფეთა, და უგანათლებულესთა მაღალთა შეკრებულებათა ვაწყინოო თავი და დამჭირნეცა ჩვენი მოვახსენოთ, და რათამცა ჰყონ წყალობა, მაგრამ აქამომდე მძლავრთა მტერთაგან ისმაიტელთა, და სხვათაცა წინააღდგომთაგან ვერ მივიღეთ ჟამი“.

და არა დროსა შინა ვეწიენით მოწყალესათა ღვთისათა

და მოვიღეთ ესდენი ბედნიერება, და აწ დროსა ამას გა წყინეთ და განათლებული გონება თქვენი ნუ უმე შევაწუხეთ, და გთხოვთ თქვენის განათლებულებისაგან, რათა ახლა ღვთის წყალობად აღიარო, და რომელიც ამ პატრი მავროსაგან დაბარებული აქვნდეს წერილით თუ ზეპირათ უნაკლულოთ მოიხსენოთ ჩვენად და რა გვარათაც ჩვენის სათხოვრის აღსრულება მოგახსენოთ, ის აღგვისრულოთ.

ჩუᲫნ თქუᲫნს განათლებულებასთან სიშორით არაფერი სამსახური არა მიგვიძღვის რა, მაგრამ ქრისტიანობისათვის და ერთა შეწუხებულთათვის იღვაწეთ და ივახსეთ, ღვთისა თხოვილი ჩუᲫნი აღგვისრულეთ, და ესდენ უმრავლესთა შეწუხებულთა ქრისტიანეთა გული თქუᲫნთვის მოიგევით განათლებულებისა მრავლნი თქვენნიც საქმენი

წარგიმართოსთ ღმერთმან ყოველსა შინა. რადგანაც აზიის ერთის კერძოდამ ევროპაში ვსახეთ შეწევნად, თქვენცა რომ წყალობა შეგიძლიანთ ჩუ$ნდა ჩვენს ერზედ თქვენიცა საკადრისი გვგონია, რომ ჩუ$ნი თქვენიან მოხსენებული თხოვილი აღგვისრულოთ. აღვასრულებთ თქუ$ნს განათლებულების იმდენ თავის წყენას.

ვითხოვთ, რომ ეს მოხსენება თქუ$ნს განათლებულს გონებას არ შესწყინდეს.

განათლებისა თქვენისა უერთგულესი მეფე ქართლ-კახეთისა
და სხვათა

ერეკლე.

ქ. თფილისს.
ოქტომბერის 18 დღესა.
1782 წ.

„მათ განათლებულთა დიდსა ვენეციის შეკრებულთა.

ქ: თუმცა ამ მოხსენებისათვის დიდად ვრცხობთ და ვეკრძალვით, მაგრამ რომელიც ჩვენის ქვეყნის მწუხარება და შეჭირვება სხვას არზით მოგვიხსენებია ის მაკადნიერებს: ჩვენის სათხოვრის ჰაზრი ეს არის, რომ ერთის პოლკის ჯარის ჯამაგირი გვებოძოს, რომ კაცი ჩვენ

ვიშოვოთ, და იმ ჯამაგირით ის ჯარი გავაწყოთ ევროპის რიგზე, რომ მტერი ამ ჯარის რიგს საბოლოოთ რომ სცნობს, ვერას დროს ჩვენს მტრობას ვეღარ გაბედავს“.

მეფე ქართლ-კახეთისა და სხვათა

ერეკლე.

ოქტომბრის 18,
1782 წელსა.

ცხადათ სჩანს, რომ თვით მეფე ერეკლესაც კარგათ სცოდნია, რომ ვენეციის კათოლიკენი საქართველოს ქრისტიანობის სიბრალულით უმზერდნენ და არა გაფრანგების. ამიტომაც სთხოვს თვით მეფეც დახმარებას ქრისტიანობის გულისთვისო. პატრმა მავრომ და დავითამ ეს მოსაზრება ცხადლივ და უტყუვრათ მოჰფინეს მთელს ქართველობაში. ამისთვის მათ დიდი შრომა მიუძღვით.

პატრი დავითას შრომა და მის მხნეობა იმერეთის კარის წინ მარტოთ კეთილის რჩევით არ თავდებოდა. ამათ შემოიტანეს და განავრცელეს ქართველთ კათოლიკეთა ყმობისაგან განთავისუფლება და სრული თავისუფლება. ქართველთა შორის ყმობა თვით ებრაელებზედაც-კი იყო, ყმები ჰყვანდათ თვით თფილისის მოქალაქეებსაც, ზოგნი მებატონეთაგან ვალში ნაყიდი, ზოგნი სამეფოს ნაჩუქარი. კათოლიკობაში-კი ეს სულ არ არსებობდა. საქართველოში კათოლიკს ვისიმე ყმათაგანს ვერავინ ჰპოვებდა, ისე-კი იყო, რომ კათოლიკის სარწმუნოების მექონ ქართველთ მებატონეს-კი ჰყვანდა ქართველთაგან ყმებათ. აქ უნდა დაურთათ, რომ ქართველი ყმობისაგან თამისუფლდებოდა იმ დღიდგან, რა დღიდგანაც იგი მუსლიმანობასაც უკავშირდებოდა. მუსლიმანობა ბატონყმობას არ

სტოვებდა, იგი ამას მუსრავდა. ეს იყო სწორეთ მიზეზი მუსლიმანობის გადღესასწაულების და ქართველთ გლეხების მიზიდვის. კათოლიკეთ პატრები კიდევ რა ასეთს სჯულ გამოცვლილ ქართველებს ქრისტიანობაზე აბრუნებდნენ, აქ-კი მობრუნებული ცხადდებოდა სრულს თავისუფლათ. პატრებს რომ

ვინმე ქართველი ქრისტიანობიდგან გადაეყვანათ კათოლიკობაზე, მაშინ ცხადი საქმეა, რომ ქრისტიან ყმა ქართველს ვერავინ განათავისუფლებდა. კათოლიკობა ჩვენში ვერ არღვევდა ამას, ვერ მუსრავდა ბატონყმობის ჯაჭვს.

მე ვიმოწმებ ამ ამბებს იმ პირთა დასახმობათ, რომელნიც პატრებზე ჭორებს ავრცელებდნენ და ცილებს, რომ ვითომც პატრები ქრისტიან ქართველებს აფრანგებდნენო. არ შეიძლება რომ ასეთი მაგალითების შემდეგ პასუხი მოგვცენ, თუ რომელი ქართველი გააფრანგეს პატრებმა? – რომ მოეხერხებინათ პატრებს და ვინმე ქართველი მიებირათ თვისკენ. ამ პირს მის მებატონე ხომ არ მისცემდა სარწმუნოების გამოცვლის ნებას, ან ბატონყმობისაგან ხომ არ გაანთავისუფლებდა. ამიტომ დროა, რომ ასეთ ცილის წამებას ქართველთ შორის ბოლო მოეღოს, გათავდეს ისტორიული ჭორების თესვა და ზიზღის ვრცელება. ვიტყვით და კულაკაც გვითქვამს, რომ პატრები აკათოლიკებდნენ მხოლოდ ოსმალეთში დაშთენილთ უპატრონო ქართველთ, რომელთაც მალე გათათრება მოელოდათ. ასეთ უმწე ქართველთაგან ძრიელ ბევრი გააფრანგა პატრმა დავითამ ართვინში ყოფნის დროს და იგინი რომს შესძინა. ართვინს გარდა სხვა დაშორებულს ოსმალოს ქალაქებშიაც მრავალი გაუფრანგებია დავითას და მის თანამედროვე მოქართულთ პატრებს.

პატრი დავითას სახელს და შრომას გორის ქართველთ კათოლიკებზედაც დიდი გავლენა ჰქონია. გორის ქართველ კათოლიკენი ამაყობდნენ და მედიდურობდნენ, რომ მათ რომში ჰყვანდათ თანამემამულე ქართველი, სასულიერო პირი, ბერი, რომელიც გორის კათოლიკეთა შვილებსაც დიდათ ამხნევებდა და ახალისებდა. ეს გამხნევება გახდა მის ძალათ, რომ ქართველ კათოლიკენი საკმარისად წინ წავიდნენ თვით ქართველებზედაც.

უწყიან, რომ გორში, ქართველ კათოლიკეთა ზუბალაშვილების გვარის აღორძინება ამ დროს ეკითვნისო. პატრი და-

ვითა გორელების წინაშე სარკეთ მდგარა. ამბობენ ზოგნი, რომ ზუბალაშვილები საყდრიდგან არიანო. ესენი მეთვრამეტე საუკუნეში გადმოსულან გორში და დასახლებულან ქართველთა მეფეთა პატივისცემით და მფარველობითო. ვითომც ზუბალაშვილები ძველათვე გაფრანგებულან დასავლეთ საქართველოში. გორში მოსულთ ქართველთ კათოლიკებს დიდი მხნე-

ობა და ცოდნა გამოუჩენიათ ცხოვრებაში, მეფეთა წინაშე თავი უსახელებიათ სხვა-და-სხვა საქმეებიით. ზოგნი უწყიან, რომ ზუბალაშვილები ჯავის ხეობიდგან არიანო. ამათ წინაპარნი ჯავის ხეობაზე შეწუხებულნი ყოფილან მტერთა თავდასხმისაგან, ზოგი მათგანნი გორში გადმოსასლებულან. ერთი ზუბალაშვილი გორის პტრებს გამოუწურთნავთ, – შემდგომ ამის გორი ოსმალებს დაუჭერიათ, ქართველნი შეუწუხებიათ ხარკის გადახდით და სარწმუნოების გამოცვლის ძალდატანებით. სურვილი ჰქონიათ, რომ გორის ქართველნი მთლათ უნდა გაეთათრებინათ. აი ამ დროს ზუბალაშვილები თავიანთ ნებით დაკავშირებიან კათოლიკობას და მით გადურჩენიათ თავები გათათრებისაგან. ასეთი ცნობაც არის დაშთენილი, რომ ზუბალაშვილები ახალციხეში ხურსიძისაგან დახსნილ და მათს ხელმძღვანელობითვე შეუერთდენ კათოლიკობასაო. ასე იყო თუ ისე, საქართველოში და ოსმალეთში კათოლიკობას თავისი წარმომადგენელნი ჰყვანდნენ. წარმომადგენთა რიცხვში უპირველესი ადგილი პატრს დავითას უხდა მიეწეროს. ეჭვი გვაქვს, რომ ამდროსვე გორში ძრიელ მრავალ ქართველთ დევნულნი უნდა დაკავშირებოდენ კათოლიკობას, რომელთა რიცხვი შემდეგ სასტიკათ შემცირდა.

პატრმა დავითამ გორს ჯეროვანი ყურადღება მიაქცია და 1750 წ. აქ უკვე ქართველთათვის სკოლა გაიხსნა, სკოლაში კათოლიკებს გარდა ქართველთა და სომეხთა შვილებსაც ასწავლიდნენ და სწურთნავდენ. სკოლაში ასწავლიდნენ იმ დროის საჭირო ლოცვებს და საგნებს. მასწავლებლათ ერთ დროს პატრი დავითაც ყოფილა. პატრი დავითას კავშირი ანტონ კათა-

ლიკოზთანაც სჩანს, როგორც სჩანს დავითა პატრს ქართველთ კათოლიკების და ნამეტურ გორის ქართველთა კათოლიკების წინაშე საკმარისი სამსახური და შრომა დაუძს. არ უნდა დავსტოვოთ ისიც უყურადღებოთ, რომ მეთვრამეტე საუკუნის ნახევარს, პატრებთ შორის კვალად აღორძინდა კითხვები ოსეთის გაქრისტიანების შესახებ. ამაზე რომში მიწერ-მოწერაც გაუმართავსთ. პატრს დავითასაც ჰქონია ამაზე საუბარი, წერა და თვალთ ყურის ჭერა, მაგრამ გაკეთებით-კი ვერა გაუკეთებიათ რა, მიუვალობას ხელი შეუშლია და ნამეტურ ენის უცოდინრობას. ესეთი დაბრკოლება რომ არ აღმოჩენილიყო, მამან უქრისტო ოსებთაგან მრავალნი შეუკავშირდებოდნეს კათოლიკობას და დღეს ამის მეოხებით აღარავისთვის იქმნებოდა საეჭვოთ ქართველთ კათოლიკების გვაროვნობის ისტორია. მრავად კათოლიკენი ვეღარ გადააკეთებდნენ ქართველთ გვარებს ასე: მიქელაძე – ტერ-მიქელოვ, მამინამვილი – მამინოვ, მელიაშვილი – ტერ-მელიანცი, ხატიშვილი – ხატისიანცი, დალაქიშვილი – დალაქიანცი, ხიდირბეგისშვილი – ტერ-ასატუროვათ – და მრავალნიც ასეთნი. ქართველთ ტომის რიცხვი შესდგება მართლ-მადიდებელ ქართველთაგან, ქართველ კათოლიკენი, ქართველ ებრაელნი, ქართველ მაჰმადიანები და ქართველ სომეხ-

ნი. ქართველნი ეკუთვნიან ბერძნის ეკკლესიის წესებს და ესენი დღეს თამამათაც ქართველობენ, ჩვენ გვერდით სდგანან ქართველ მუსულმანები. ესენი სატირელ მდგომარეობაში არიან ჩაყრილნი, დღეს თუ ხვალ ესენი თავიანთ ენას დაკარგავენ, რადგანაც უმეტესმა ნაწილმა დაკარგა ქართული ენა, ამათ მოსდევენ ქართველ ებრაელნი.

ქართველთ კათოლიკეთა რიცხვი თვალთ საჩინოა. ამათი დედა-ენა ქართული იყო. ოცმა ნაწილმა და უფრო მეტმა ადრევე დაკარგა ქართული ენა. ქართველ კათოლიკებისაგან ქართული ენის დაკარგვა ჩვენის უხეირობით მოხდა, ბედასლოზით და გულ-გრილობით. კათოლიკეთაგან თუმც მცირე რიცხვი დარჩა ქართველათ, მაგრამ შედარება რომ იქმნეს, იგი-

ნი მაღლა სდგანან ჩვენზე, ჩვენ მათ ვერაფრით შევედრებით. ქართველ კათოლიკებში იშვიათია, რომ ქალმა და კაცმა ქართული წერა-კითხვა არ იცოდეს. ყველა მათგანს ხელში უკავია ქართული ლოცვები და კითხულობენ. ჩვენში-კი ასში ხუთმა ქალმაც არ იცის ქართული კითხვა. ამათს ერთს ნაკლს ის შეადგენდა, რომ ესენი თავიანთს თავებს აქამდის „კათოლიკათ" აღიარებენ, ანუ „ჰაი კათოლიკათ“. ეს აქამდის იყო ასე და ისიც ყველგან არა. მე არა მგონია, რომ ისარლოვებს, ზუბალოვებს და სხვებს ოდესმე ეთქვათ, რომ ისინი ქართველები არ არიან. დღეს კათოლიკობაში ამაებს ბოლო მოეღო, ვინც ქართველის გვარისა არის, ის დღეს თამამათაც ქართველობს, მის სასარგებლოთ იგინი არაფერს იშურვებენ, ცდილობენ შეერთებულის ძალით, რათა დაიფარონ მამა-პაპის ყოველივე ზნე-ჩვეულება და წესები.

ქართველთ გვარის ღალატს, გადაყლაპვას და ჩანთქმას რომი არა დროს არ მფარველობდა. მისთვის ყველა გვარი ერთი იყო, ყველას ენა მის ენის სალაროთ და საუნჯეთ მიაჩნდა. სანაქებოც იყო ის, რომ რომის ტახტს ყველა გვარის და ენის თანამორწმუნე ჰყოლოდა. საქართველოში რომის და პოლონელი პატრები ხშირათ იყვნენ, მაგრამ ამათ არა დროს ქართველის – იტალიანცათ, ისპანიელათ, ან ფრანცუზათ გადაკეთება-კი არ მოუნდომნიათ, თუმცა ხშირათ ქართველნი ამათ სდევნიდნენ კიდეც და საკმარისათაც სჩაგრავდნენ, მაგრამ მათში-კი მოქმედების მიზანი თავის დღეში ცნობილს ძმურს სიყვარულის ჰაზრებს არ გადასცილებია. იგინი მაინც თავიანთ ჰაზრებს მკაცრათ იცავდნენ, ყოველთვის კეთილს ჰაზრებს ავრცელებდნენ ერში და მის მეოხებით შეურყევდათ ნერგავდნენ ძმურს სიყვარულს. თუმც მრავალნი მათს ასეთს მოქმედებას შურიანის თვალით უმზერდნენ და ყოველთვის იმას ავრცელებდნენ, რომ ვითომც ყველა ამაებს პატრები კათოლიკობის გავრცელებისთვის ითმენდნენო. ეს არ არის ნამდვილი. კათოლიკის ბერებს რომ ქართველთ გაფრანგება ჰქო-

ნიყოთ ჰაზრათ, მაშინ ამათ არავინ რას დაუშლიდა. ამათ ხელში ეკავათ ცოდნა ექიმობის, ბებიობის, სამღთო კითხვების და ხალხის ცხოვრების. ესენი თავიანთის ენერგიით მთელს საქართველოს 10 წლის განმავლობაში გააფრანგებდნენ. ეს ჰაზრი პატრებთაგან თვით მეფე ერეკლეს დროს იქმნა გამოთქმული. ამათ განაცხადეს მაშინ შემდეგი: მეფე ერეკლეს თუ ახალციხეს და ჯავახეთს დაიპყრობს და ქართველთ თუ საქართველოს დაუკავშირებს, მაშინ ჩვენ ვეცდებით, რომ 10 წლის განმავლობაში მთელი ამ მხრის გათათრებული ქართველობა ისევ ქრისტიანობას დაუკავშიროთ. ამას ეჭვი არ უნდა. ასეთივე ჰაზრი ამ უკანასკნელს წლებშიაც იქმნა ზოგიერთ მოძღვართაგან ნათქვამი, რომ დასავლეთ საქართველოს ქართველთ თათრებს ათი წლის განმავლობაში გავაქრისტიანებთ და მეორე 10 წელს დაღესტანს მოვხვევთ ხელსაო. მაგრამ როგორც ვსთქვით ზემოთ, რომის ტახტს ეს მიმართულება უკან მიტოვებული ჰქონდა და იგინი ქართველთ უფრო ძმურის ქრისტიანულის სიყვარულით უმზერდნენ, რაც არა ერთხელ დამტკიცებულა თვით საქმეებითაც.

რომის სამღვდელოების განძრახვა იყო მხოლოდ ოსმალეთის საქართველოში მყოფთ ქართველთ თათრებთა გაქრისტიანება, რომელთა რიცხვიც ოსმალეთში დღევანდლამდეც ერთობ დიდია. ამ საქმის ნატვრა ადრევე გამოირკვა რომის სასულიერო წოდებაში, მათს საეკკლესიო კანონდებულებათა კოდექსში უმთავრესი სახე მიიღო. ასეთივე შეხედულება ჰქონდა თვით პეტრე ხარისჭირაშვილსაც, რომლის ნატვრა და მიზანი ფრანგულს გაზეთებსაც ხშირად გამოუცხადებიათ ხოლმე, ასე: – „ნაციონალურის გრძნობების აღძვრის საშუალებით კათოლიკის სარწმუნოების გავრცელება ოსმალეთის გამაჰმადიანებულთ ქართველებში“. დღესაც ქართველ მაჰმადიანებს ისე კარგათ არავინ იცნობს, როგორც ჯავახეთის ქართველთ კათოლიკეთა მოძღვარნი. ერთი ქართველ კათოლიკეთ მოძღვარი აი რას სწერს:

„შეჩვენებულმა ბექამ დაღუპა სამცხე. ამის გათათრებამ საფუძველი დასდო და განამტკიცა ქართველთა გათათრება. ოსმალთ ხშირათ ჩვენი წმინდა ქართველ კათოლიკენიც გაუთათრებიათ და უხოცვიათ“. ეჭვი არის, რომ ვითომც 1730 წლებში ართვინის ახლოს ოსმალთაგან დახოცილთ ქართველთ ქრისტიანთ რიცხვის უმეტესი ნაწილი ქართველთ კათოლიკები ყოფილან, რადგანაც მაშინ ართვინის კათოლიკები ქართველობდნენ, ქართული გვაროვნობის წესები არ ჰქონდათ დავიწყებული. მაშინ ქართველ გვარის კათოლიკებსაც ისე უმზერდნენ, როგორც ქართველებს. ეს ცნობა შეიძლება მართალი იყოს, რადგანაც ართვინში ქართველთ კათოლიკეთ მზე ადრევე განათდა. აქ წინეთ ქართველ კათოლიკე ცხადათ ქართველობდა. თავის დროს აქ კათოლიკის

ეპისკოპოზის კათედრაც არსებობდა. უკანასკნელ ეპისკოპოზათ იყო ზაქარიანი, ჯავახელი, ქართველი გვარის ზაქარიაშვილი, ნათესავი ბათუმელის ქართველთ კათოლიკების მჭედლიშვილების. რუს-ოსმალთა უკანასკნელ ომის შემდეგ ეს ეპისკოპოზი თფილისში ჩამოვიდა, ქართველთ კათოლიკების ეკკლესიაში სწირა ერთ დღეს და ქადაგების დროს თავის ვინაობა ქართველათ აღიარა: „ჩვენ თუმცა დროის და გარემოების მეოხებით ქართველობა და ქართული ენა დავივიწყეთ, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ ქართველ გვარის კათოლიკენი ვართ, ქართველთ შთამომავალნი. ჩვენი დედა-ენა ქართული ენა არის, ჩვენი სამშობლოც საქართველოა, ჩვენ ქართველნი ვართ. აი თვით მეც ქართველი ვარ, ძველათ ჯავახელი, ზაქარიაშვილი. თუმცა ჩვენ დღეს სომეხ კათოლიკეთ მიწოდებით და სომხურ ტიბიკონზე ვსდგევართ, მაგრამ მოდგმით ქართველები ვართ“.

ზაქარიაშვილის ასეთი განცხადება იმ დროის კერპ ქართველ გვარის კათოლიკებს დიდათ ეწყინათ. ამათ სთქვეს მრისხანებით, რომ სრფაზანმა ეს რა სთქვა, ქართველათ

რათ აღიარა თავის თავიო. თვით თუ სურდა ქართველებთან მიკედლება, ჩვენ რას გვემართლებოდა, ჩვენ ხომ ქართველნი არა ვართო. ამას ამბობდნენ ნამდვილ ქართველ გვარის კათოლიკენი, შემცდარმი, გადაბირებულნი, გზა-კვალ არეულნი! ჩვენ ამათზე ვართ უკმაყოფილონი, თორემ სომხის გვარის ნამდვილს კათოლიკებზე არას ვიტყვით. ეპისკოპოზი ზაქარიანი ართვინში დაბრუნდა. ჰაზრი დაიბადა, რომ ეს პირი თფილისში უნდა გადმოეყვანათ, თფილისში უნდა დაარსებულიყო კათოლიკეთა ეპისკოპოზის კათედრა, მაგრამ ეს ვეღარ მოხერხდა. მგზავრობის დროს ეპისკოპოზი გზაში ავათ გახდა და უცნაურის სენით უცებ გარდაიცვალა. ამ ეპისკოპოზმა ძრიელ ბევრი ცნობები იცოდა ოსმალეთის ქართველ კათოლიკების ცხოვრებაზე, ნამეტურ მათ გადაგვარებაზე, ასევე ქართველთ მაჰმადიანებთა შესახებ. ამისაგან ნაამბობის ძვირფასის ამბებით მთელი ტომი დაიწერებოდა.

ამ პირს პატრი დავითას ამბებიც ბევრი სცოდნია, რომელ ამაბებიც მას მოესმინა ახალციხის კათოლიკების ეპისკოპოზის პავლე შაჰყულიანისაგან, რომელმაც რომში სწავლა 1795 წ. დაამთავრა და ამავ წელს სხვათა ქართველ კათოლიკეთა შვილებთან ერთათ საქართველოში დაბრუნდა. შევიტყეთ, რომ ადრე საქართველოს კათოლიკის ბერებში და ნამეტურ შაჰყულიანსაც კარგათ სცოდნია ქართველთა და სომეხთ გვაროვნობის გარჩევა, მაგრამ იგი ამ ჭეშმარიტებას თვითქოს ეურჩებოდა და სხვათა სასარგებლოთ მოქმედებდა. პატრი დავითას ცნობები და წიგნებიც საქართველოში შაჰყულიანს მოუტანია. მერე მისგან რგებია ვინმე ალ. ჩიქუანს, ქართველ კათოლიკს, კარგს მელექსეს. ეს გვამი იყო ერთ დროს „ცი-

სკრის“ თანამშრომელიც, 1835 წლებში კეთილშობილთ სასწავლებელში მასწავლებლათაც ყოფილა. ამას ბევრი გვარიანი წერილები დაშთა. იყო ნ. ბარათაშვილის კარგი მეგობარი, ქართული მწიგნობრობის დიდათ მოყვარე. ამ პირის სიკვდილის შემდეგ გაიპნა მთლათ მისი მდიდარ წიგნთ-საცავის ძვე-

ლი და ახალი წიგნებიც და მათვე გაჰყვა და დაიკარგა ყველა ის მასალები და ცნობები, რაც-კი პატრი დავითას ცხოვრებას შეეხებოდა. დღეს ჩვენ თუ რამ ცნობები გვაქვს, ესეც დიდის შრომით მოპოვებული, თორემ უმეტესი ნაწილი ამ მასალებისა მეწვრიმლების დუქნებში დაიხა კევი, ლილა, საპნის სახვევათა. სწორეთ ასეთივე ბედი ხვედრია პავლე შაჰყულიანის მდიდარ წიგნთ-საცავსაც. ამ გვამს დიდი ცოდნა ჰქონდა საქართველოს და ქართველთ ისტორიის. მართალია ამას პეტრე ხარისჭარაშვილთან უსიამოვნება ჰქონია ატეხილი, მაგრამ ვინმე მესხი ამ ეპისკოპოზს მაინც ქართველების მოსარჩლეთ აღიარებს, ქართველთა მეტრფეთ. ესევე პირი ყოფილა პ. იოსელიანის ლათინური ენის მასწავლებლათ. ამაზე თვით სწერს პ. იოსელიანი და შაჰყულიანს (ჯინაშვილი) სომხის გვარათ აღიარებს!

პ. იოსელიანი, ჩვენთა ძველთა ამბავთა მცოდნე იყო, და ეს რათ უშვებდა ასეთს შეცდომებს, ჩვენ არ უწყით – ისიც-კი უნდა ითქვას, რომ „თფილისის აღწერა“-ში ეს თფილისის კათოლიკების ეკკლესიას სომხის გვარის კათოლიკების ეკკლესიათ აღიარებს, თუმცა ჩვენ ისიც კარგათ ვიცით, რომ ეს ეკკლესია მთლათ ქართველ კათოლიკებისაგან არის აღშენებული. ისტორიკოსს თუ ეს ეკკლესიაც სომხების საკუთრებათ მიაჩნდა, მაშ მას ქართველ კათოლიკენი სულაც არ ეწამებოდა. ისტორიკოსის ასეთ შეცდომა ჩვენში შეიძლება რომ უმნიშვნელოთ დაშთეს და არავინ რა სთქვას, მაგრამ მოვა დრო და ჟამთა ვითარების მეოხებით ზოგიერთი გვამნი ასეთ შეცდომას ჭეშმარიტებით შემოსვენ, მას ავტორიტეტებრივ მნიშვნელობასაც მისცემენ, მაგრა დაიხვევენ ხელზე და თვით ქართველთ უნებლიეს შეცდომებითვე გაგვამტყუნებენ ჩვენ და მთელ ქართველ კათოლიკობას სომხათ დაამტკიცებენ. ამას ფიქრი არ უნდა თუ ჩვენ შორის ასეთი შეცდომები ხშირათ იქმნენ განმეორებულნი.

კათოლიკეთ კეთილ სულოვნობა, გლახაკთ მწეობა, ღა-

რიბთ პატრონობას და მფარველობასაც დიდი, ვრცელი ისტორია აქვს. ქართველთ პატრების ძველებური ჯარა ექიმობა ქებულ იყო ყველგან. მათ არა ერთი დიდებული და მცირებული ავათმყოფ უძლური მოუბრუნებიათ და დაუყენებიათ ფეხზე. გვითქვამს და აქაც ვიტყვით, რომ ქართველ პატრები სრული მამები იყვნენ, ყველა დევნილთა და ჩაგრულთა კაც-

თა პატივისცემა და სიბრალული პატრებს გარდა თვით ერ-
შიაც დიდათ იყო აღორძინებული, მაგალითებრ: საბა ორბე-
ლიანი როცა ევროპიდგან დაბრუნდა, მაშინ მას აქ დევნა და-
უწყეს, მეგვარეებმა მამულები წაართვეს და კინაღამ ჩააქვავეს.
ლუკმა პურის შოვნაც გაუძნელდა. ეს მიეკედლა ერთ ქართ-
ველ კათოლიკეთა დედაკაცს, თავის ნათლიდედას, რომელიც
იმ დროს სოლოლაკზე იდგა. ამ დედაკაცს სახელათ ელენე
ერქვა. ამ ღატაკმა კათოლიკმა მიიკედლა ეს, ფული მოუგრო-
მა, ასაზრდოვა და რუსეთში წასვლის დახმარებაც მისცა. ამას
შემდეგ ქართველთ ამ დედაკაცსაც-კი დაუწყეს დევნა, რომ შენ
საბა ორბელიანს დახმარება რათ მიეციო. ასეთ შეშინებულ
დედაკაცისთვის ადვილათ ხდებოდა სათქმელი, რომ მე ქართ-
ველი არ ვარ, სომეხი, ანუ სომხის ფრანგი ვარო. თუ-კი
ისეთი გვარის წევრიც-კი, როგორიც საბა იყო, იდევნებოდა
კათოლიკობის გამო, მაშ მდაბიონი რაღა დღეში და მდგომა-
რეობაში იქნებოდნენ შთაცვივნულნი. საკითხია: თუ ნეტა ქარ-
თველთაგან დევნილთ ქართველთ კათოლიკენი ვისი რომელ ტო-
მის შვილებს უნდა დამეგობრებოდნენ, ქართველთა, რომელ-
ნიც სდეკნიდნენ თუ სომეხთა, ვინც დიდს მფარველობასაც
უჩენდნენ. – რასაკვირველია, რომ სომხებს. ეს ასე მოხდა და
ქართველ კათოლიკენი არამც თუ მარტოთ მეგობრობით დაუ-
ახლოვდნენ სომეხთ, არამედ სულიერათაც შეუკავშირდნენ და
გვარტომობაც შეიერთეს მათი. მაშასადამე აქ აღარავისთვის
უნდა იყო ის საეჭვო და საკვირველი, რომ ზოგიერთ ქართველ
გვარის კათოლიკი აქამდის რათ ასხვაფერებდა თავის ვინაო-
ბას.

ამიტომ დღეს ჩვენი ვალია, რომ ასეთ შეცდომაში შე-
ყვანილს ცნობებს ყურადღება მივაქციოთ და გავარკვიოთ ჩვე-
ხი გვარტომობის ჭეშმარიტ ისტორიული ცნობები დასასაბუ-
თებლათ იმის, რომ პატრი დავითა ქართველი იყო. ამას და-
ასაბუთებს შემდეგი მაგალითიც: გურიაში სცხოვრებდნენ თა-
ვადნი თავდგერიძენი. ვინმე სტეფანე თავდგერიძე ახალციხეში
წაუყვანიათ. იქ ამ სტეფანეს საშინელი ყვავილი დამართნია.
ძლივს მორჩენილა, ყვავილისაგან სულ დათენთილა, ანუ და-
ჩენჩილა. – ამის გამო შემდეგ მას გვარათ დაჩენჩილიშმილი
სწოდებია, დღეს ჩილაშვილია. იმავ დროს ახალციხის ქარ-
თველებს დიდი გაჭირება სდგმიათ კარს. ოსმალნი ქართველთ
გაუთათრებლათ არ სტოვებდნენ. სტეფანე თავდგერიძეს გა-
თათრება ელოდა, ამიტომ ეს კათოლიკობას მიეკედლა და პა-
პის მფარველობის ქვეშ შევიდა. ამით იხსნა თავი და ქრის-
ტიანათ დაშთა. შემდეგ დროებში ესენი სომხის გვარის კა-
თოლიკებათ იქმნენ ხმობილნი. მათი ძველი გვარი-კი თა-
ვდგირიძეა და ნამდვილ მკვიდრნი მცხოვრებნი არიან გური-
ისა და ქართველის გვართ შთამომავალნი. დღეს თავდგერიძე-
ნი სხვა გვარით სომხობენ კიდეც.

ასეთს ცნობებს მე აქ ძრიელ ბევრს მოვიყვანდი, მაგ-

რამ რა საჭიროა. მგონი ესეც ვარგა დასასაბუთებლად იმ გარემოების, რაზედაც ჩვენ ვსაუბრობთ, თუმცა ისიც-კი უნდა ითქვას, რომ ამის შესახები ყველა ცნობები ჩვენთვის დიდათ საინტერესონი უნდა იყოს, რადგანაც იქიდგან კარგათ გამოსჩნდება ცნობები მის შესახებ, თუ ქართველი როგორ ჰკარგავდა თავის გვარს და რანაირათ უკავშირდებოდა სხვას. იმედია, რომ დღევანდელი და შემდეგი დროის კათოლიკობა ასეთ უნებლიე შეცდომებს ჯეროვან ყურადღებას მიაქცევენ და უნებლიე გადაგვარებისაგან თავს იხსნიან მით უფრო, რადგანაც რომის ტახტს ქართველთა გვარის გადასაბირებლათ, გადასაგვარებლათ და მოსასპობლათ ერთი ჰაზრი, ერთი სხივიც არ გავლებიათ. ქართველთა ყურადღების მიპყრობა გამოწვე-

ულ ჰყო წმიდა ქრისტიანულმა და კაცობრივმა ძმურზ სიყვარულმა. ვინც ამას არ ირწმუნებს, იმან ამის შესახებ დაგვიწეროს რამე წერილი და სწორის ჭეშმარიტის ცნობებით დაარღვიოს ჩვენი მოსაზრება.

კარგა ხანია მას შემდეგ, რაც ქართველთ კათოლიკების შესახებ ისტორიულს ცნობებს ვაგროვებთ, არა მცირედი ისტორიული მასალები შეიკრიბა ქართველთ კათოლიკეთა გვაროვნობის შესახებ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თუ ქართველთ კათოლიკეთა ახალი ახალგაზდობა ამ საქმეს ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს, მაშინ ჩვენის ტომის ისტორიის სასარგებლოთ ბევრი რამ შეიკრიბება, თუ შრომა არ იქმნა მიღემული და ქართველ კათოლიკეთა ახალგაზრდებთა ცდა, უამისოთ დაიკარგება ყოველივე ის მასალებიც-კი, რაც დღევანდლამდის შენახულან და დროს აქა-იქ გაპნეულან. ეხლა ხან შევიტყე, რომ ახალციხეში აქამდის შენახული ყოფილა ძველი ბარათები, რომის პაპისაგან მოწერილი, სადაც მოხსენებულნი ყოფილან ქართველთ კათოლიკენი. ეს ძველი წერილები ადრევე უთარგმნიათ ქართულს ემაზეახალციხის ქართველთ კათოლიკებს. ამ წერილებში პირდაპირ ყოფილა ნათქვამი, რომ საქართველოში მცხოვრებ კათოლიკენი გვარტომობით ქართველნი არიანო. დღეს ეს ცნობები გაპნეულია აქა-იქ ქართველთ კათოლიკეთ შორის. ამ რამდენიმე წლის წინეთ ასევე დაიკარგა ძველი წიგნი „მემხოლოე სულიერი", რომელშიაც აღწერილი ყოფიდა საბა ორბელიანი და მისგან რომიდგან მოყვანილ ლათინთ მოძღვართ მგზავრობის და საქართველოში ცხოვრების ცნობები. ეს წიგნი ერთ ქართველ ბერს ათონის მთაზე წაუღია. ბევრი ვეცადეთ მის გასაცნობათ, მაგრამ ვეღარა ვპოვეთრა. ქართველ კათოლიკებს თუ სურთ თავის წარსულის ცნობების დაფარვა და შენახვა ყოველივე მის, რაც მათ ყოველს ამ გვარს ისტორიულს ცნობას სიფრთხილით უნდა მოექცნენ, შეინახონ იგი, დაიფარონ დახევისაგან, მომავლის მკვლეკარს მისცენ საკმარისი და ჯეროვანი მასალა, თორემ ჟამთა ვითარება ისე

გარდაქმნის ყოველივეს სახეს ჩვენის წარსულის ყოფა-ცსოვ-
რებისას და აწინდელს ქართველთ კათოლიკეთა მდგომარეო-
ბასაც ისე გადაასხვაფერებს, რომ მალე, სულ რამდენიმე ხნის
შემდეგ, არამც თუ მარტოთ ქართველ კათოლიკების არსებო-
ბა იქმნეს საეჭვოთ გამხდარი, არამედ შესაძლებელ იქმნება,
რომ თვით ამ ხალხის ძირეულ ქართველთ გვარის მკვიდრთ
ვინაობაც-კი უარი-ჰყონო და მათი გვარებიც სხვაფერ გადააკე-
თონ. ამიტომ ბატონებო, შრომა გვმართებს ამისთვის და არა
წყნარი დუმილი და სხვათა იმედი. დროა ქართველ კათოლი-
კობამ შეიგნოს თავისი მოვალეობა და ყურადღება მიაქციოს
ისეთ საპატიო გვამთა ცხოვრების ცნობებს, რომელნიც ამ ორი
სამი საუკუნის განმავლობაში მათში სცხოვრებდნენ, რომელნიც
ქართველ კათოლიკების გვარის სასარგებლოთ მოქმედებდენ და
რომელნიც ცხადათ ამშვენებენ მათს ისტორიას. ამ საპატიო
გვამთა „აღსარება“ დასტოვეს ისეთ ქართველ კათოლიკეთა
საგმობლათ და საწყევრათ, რომელნიც თავიანთ გვარტომობას
და ენას ივიწყებენ.

ზ.ჭ.

1896